პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეთერთმეტე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის (ბ)
ცენტრ. კომიტეტის
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 11 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6 საათიდან 11 საათამდე.
ტელეფ. რედაქტორის . . . 14-76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. № 34 ტელეფონი № 8-81.

ხელისმოწერის ფასი
1 თვით 1 მანეთი
1 წლით—12 მან.
უცხოეთში
1 თვით—3 მანეთი

გაზეთის მიუღებლობის შემთხვევაში დარეკეთ ტელ. № 17—55

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—1 მ., ტექსტის შიგნით—2 მ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მ.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს, თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტისშეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. სამგლოვიარო განცხადებები—20 და 25 მ. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43.

კვირა, 1 მარტი 1931 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 50 (3005)

დღიური

— მენშევიკ - ინტერვენციონისტების პროცესთან დაკავშირებით სოციალ - ფაშისტური პრესა აძლიერებს ანტისაბჭოთა კამპანიას.
— 150.000 მუშის დემონსტრაციები ჩეხო - სლოვაკიაში.
— შესრულდა ათი წელი ავღანისტან - საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ხელშეკრულების დადებიდან.
— ეკონომიური კრიზისი გერმანიაში ღრმავდება.

კვირას, მარტის 1-ლს, საღამოს 7 საათზე

შესდგება

სრულიად საქართველოს ცაკის

პრეზიდიუმის სხდომა

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ს. ს. ცაკის მდივანი ხ. თოდრია.

შევამოწმოთ თესვისათვის მზადება

გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარება ხუთწლედის მესამე დამკვრელი წლის გეგმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ნათესი არეს გაფართოვება, მოსავლიანობის აწევა, სპეციალური და ტეხნიკური კულტურათა ნათესის გადიდება, სათანადო ღონისძიებათა გატარება მეცხოველეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის, საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის გაძლიერება და ღარიბ, საშუალო გლეხთა ახალი მასების ჩაბმა კოლმეურნეობებში — აი ის უდიდესი ამოცანები, რომელიც უნდა გადავჭრათ გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის პერიოდში.

ამ ამოცანების გადაწყვეტა მოითხოვს ჩვენი კლასობრივი ძალების მაქსიმალურად შემჭიდროება - დარაზმვას, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტული პრაქტიკის ძირშივე აღკვეთას, კულაკების წინააღმდეგობის გატეხას, მუშაობაში ბოლშევიკური ტემპების მიღწევას და პარტიის გენერალური ხაზის გადაუხრელად გატარებას.

უახლოესი მომავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თესვისათვის მომზადებას. ორიოდე კვირის შემდეგ საქართველოს მთელ რიგ რაიონებში დაიწყება თესვა; მარტის დამლევისათვის კი დაიწყება მასიური თესვა ყველა რაიონებში.

ეს მდგომარეობა გვავალებს დაუყოვნებლივ შევუდგეთ იმის **შემოწმებას**, თუ რამდენად მოემზადნენ რაიონები, სოფლები, საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, ღარიბი და საშუალო გლეხთა მასები საგაზაფხულო თესვისათვის.

წარსული წლების შეცდომები არ უნდა განმეორდეს; ადგილი არ უნდა ჰქონდეს ისეთ მდგომარეობას, როდესაც თესვის დაწყების შემდეგ, მინდვრად მუშაობის პროცესში ირკვევა თესვისათვის მოუმზადებლობა. ახლავე, სანამ თესვა არ დაწყებულა, სანამ კიდევ ცოტაოდენი დრო ჩვენს განკარგულებაში — უნდა მივიღოთ ზომები, რათა გამოვააშკარავოთ ყველა დეფექტები, სუსტი ადგილები, ჩამორჩენები და დავსახოთ კონკრეტული ღონისძიებანი ამ დეფექტების უახლოეს დღეებში გამოსასწორებლად.

უპირველესად ყოვლისა უნდა გამოირკვეს, თუ რამდენად არის შესრულებული ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დირექტივები მანქანა - იარაღების აღრიცხვის, მათი შეკეთების და საერთოდ გამწევი ძალის მინდვრად მუშაობისათვის მომზადების შესახებ.

თესვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სათესლე მასალის მომარაგებას, მის გაწმენდას და შეწამვლას. ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად სათესლე ფონდების შეგროვების გეგმა დღემდე არ არის შესრულებული. ჩვენ უნდა ვიცოდეთ სად და ვისი მიზეზით არ შესრულდა სათესლე მასალის შეგროვების გეგმა, უნდა მივიღოთ გადამჭრელი ზომები დამნაშავეთა დასასჯელად და თესვის კამპანიის თესლით უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წელს საქართველოში ბამბის ნათესები ერთიორად უნდა გადიდდეს; მთავრობის დადგენილების თანახმად სათანადო რაიონებში უნდა ჩატარებულიყო მიწის ნაკვეთების გამოყოფა ბამბისათვის და უნდა მიღებულიყო ზომები, რომ ამ ნაკვეთებში მხოლოდ ბამბა დათესილიყო. საჭიროა იმის შემოწმება, თუ როგორ შესრულდა მთავრობის დირექტივები ბამბის ადგილების გამოყოფის შესახებ და სწარმოებს თუ არა სათანადო მზადება ამ ნაკვეთებზე ბამბის დასათესად. აგრეთვე უნდა გამოირკვიოთ — არის თუ არა მზად სარწყავი სისტემა ბამბის რაიონებში.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის პლანტაციებისათვის ნიადაგის მომზადებას. 20 თებერვლისათვის ჩაის საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 9.7 პროცენტით. ჩხოროწყუს და სენაკის რაიონებში ჩაის თესვის გეგმას ჩაშლა მოელის. ახლავე უნდა გამოირკვეს ამ ჩამორჩენის მიზეზები, უნდა გამოაშკარავდეს კონკრეტული დამნაშავენი და მიღებული იქნას საჭირო ზომები მოცემული დავალებების მთლიანად შესრულებისათვის.

თესვისათვის მზადების შემოწმებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმის შემოწმებასაც, თუ როგორ ხელმძღვანელობენ ადგილებზე ღარიბ და საშუალო გლეხების ახალი მასების დენას კოლმეურნეობებისაკენ, როგორ ებრძვიან ისინი კულაკურ პროვოკაციას და მავნებლობას და რა ღონისძიებებს ატარებენ არსებული კოლმეურნეობების სამეურნეო - ორგანიზაციულ განმტკიცებისათვის.

თესვისა და კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის შემოწმებაში გადამჭრელი როლი უნდა ითამაშოს ბეჭდვითი სიტყვამ. ცენტრალურმა და ადგილობრივმა გაზეთებმა მთელი თავიანთი ძალები, ბრიგადები, სადუშაგოები და მუშკორთა მასა უნდა დარაზმონ გაზაფხულის კამპანიის კონკრეტული ამოცანების ირგვლივ.

მაგრამ აშკარაა მარტო ბეჭდვითი სიტყვა ვერ შესძლებს ამ უდიდესი შემოწმების ნაყოფიერად ჩატარებას. თესვის და კოლექტივიზაციის გატარების შემოწმებაში ფართოდ უნდა ჩაებას პარტიული აქტივი, კომკავშირის უჯრედები, „მსუბუქი კავალერიის“ ჯგუფები და მუშათა, გლეხთა ინსპექციის ორგანოები. უნდა მოეწყოს **შემმოწმებელი ბრიგადები** და უზრუნველყოფილ უნდა იქნას ამ ბრიგადებში სასოფლო - სამეურნეო მუშების, მოწინავე კოლმეურნეების, მოჯამაგირეების, ღარიბ, საშუალო გლეხების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ჩაბმა.

აღნიშნულ შემოწმების წარმოების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის გენერალური ხაზის მტკიცედ გატარებას და ლენინური კლასობრივი პოლიტიკის ურყევად დაცვას. უნდა გაიზარდოს თვითეული კომუნისტის და კომკავშირელის კლასობრივი სიფხიზლე და სიმტკიცე მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლისათვის. „თესვის გეგმის შესრულება, არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცება, კოლმეურნეობებში შემსვლელ ღარიბ, საშუალო გლეხთა მასების ახალი ნაკადის შექმნა, ღარიბთა შორის მუშაობის გაძლიერება, კავშირის განმტკიცება საშუალო გლეხთან და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე (კულაკობა) შემდგომი შეტევის მოწყობა — ყოველივე ეს უნდა გახდეს პარტიული ორგანიზაციების დაკვრითი ამოცანად“ (ს.კ.პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის წერილიდან).

მემარჯვენე ოპორტუნისტები — კლასობრივი მტრების ეს ნამდვილი აგენტები — ყოველმხრივ ცდილობენ საკოლმეურნეო მშენებლობის შეფერხებას და გაზაფხულის თესვის ჩაშლას; ისინი აშკარა პანიკიორობას და საბოტაჟს ეწევიან, ადგილობრივი ორგანიზაციების კლასობრივ სიფხიზლეს ადუნებენ, ცდილობენ არევდარევა შეიტანონ სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში და ყველა ამით პირდაპირ დახმარებას უწევენ კულაკებს. — შეუბრალებელი ბრძოლა მემარჯვენე, „მემარცხენე“ ოპორტუნიზმთან და მათთან შემარიგებლობასთან — არის ის აუცილებელი პირობა, რომელიც საჭიროა გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის ბოლშევიკურად ჩატარებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასიური და ორგანიზაციული მუშაობის გაშლას იმ ღონისძიებათა გასატარებლად, რომელიც საკ. კომპარტიის ცეკას და საკავშირო სახკომსაბჭოს დირექტივების თანახმად ნათესების კონტრაქტაციას შეეხება. დღემდე ამ მხრივ წარმოებული მუშაობა აშკარად არადამაკმაყოფილებელია. კონტრაქტაციის დარგში გადამჭრით ბოლო უნდა მოეღოს ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობაზე დაყრდნობას და უნდა დაირაზმოს მთელი ძალები ამ დარგში პარტიის და ხელისუფლების უმაღლეს ორგანოების დავალებათა შესასრულებლად.

თესვის მომზადებისათვის ცოტა დრო დარჩა. დეტალურად შევამოწმოთ საგაზაფხულო კამპანიისათვის მზადების მდგომარეობა, დავირაზმოთ ყველა ძალები თესვის და კოლექტივიზაციის დეფექტების აღმოსაფხვრელად, გავსტეხოთ კლასობრივი მტრების წინააღმდეგობა, სათავეში ჩაუდგეთ მეორე ბოლშევიკური საგაზაფხულო თესვის საქმეს და მით უზრუნველვყოთ ხუთწლედის მესამე დამკვრელი წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის დარგში.

შავი მეტალურგიის შესახებ
ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება
(დადგენილება გადმოცემულია შემოკლებით)

მოსკოვი 28 თებერვ. ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება შავი მეტალურგიის შესახებ, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ხუთწლიანი გეგმის შესრულება მრეწველობის ძირითად გადამწყვეტ დარგებში (ქვა-ნახშირი, ნავთი, მანქანათმშენებლობა, ელექტროტეხნიკა და სხვ.) უკვე 1931 წლიდან უყენებს შავ მეტალურგიას ისეთ მოთხოვნებს, რომელნიც აღემატებიან მისი განვითარების დასახულ ტემპებს.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგების შემდგომი განვითარება მოითხოვს მეტალურგიის ზრდის ტემპის დაუყოვნებლივ გაძლიერებას. შავი მეტალურგიის ქარხნების (მაგნიტნაია, კუზნეცკი, დნეპროსტალი, ნიჟნი ტაგილი) დაჩქარებულ მშენებლობასთან ერთად, ლითონების წარმოების მოკლე ხანში დაუყოვნებლივ გადიდებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამხრეთის ქარხნების რეკონსტრუქციის დაჩქარებას, აგრეთვე ურალის ქარხნების რეკონსტრუქციის დამთავრებას 1932 წელს.

სახკომსაბჭო აღნიშნავს, რომ ურალის მომქმედი მეტალურგიული ქარხნების რეკონსტრუქცია ძალზე ნელი ტემპით ხორციელდება და ადასტურებს, რომ ურალის მომქმედი ხის ნახშირის მეტალურგიული ქარხნები უკვე 1932 წელს უნდა გადაიქცნენ ჩვენი ქვეყნის ხარისხოვან და მაღალხარისხოვანი ლითონით მომარაგების მთავარ ბაზად.

სახკომსაბჭო წინადადებას აძლევს საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს: შეუდგეს 1931 წ. ურალის ქარხნებში 1931 წ. გეგმის ზევით ხუთი ახალი ბრძმედის მშენებლობას 1.900.000—1.500.000 ტონა თუჯის წლიური პროდუქციით, მარტენის სატკეცი საამქროების სათანადოდ გაფართოებით, უზრუნველყოს ურალის ხის ნახშირის ქარხნების (ზლატოუსტის, ნადეჟდინსკის, ჩუსოვის, ბელორეცკის, აშხაპაშოვსკის, ვერხნე ისეტსკის) რეკონსტრუქციის ისეთი ტემპი, რომ ამ ქარხნებში 1933 წელს დამზადდეს არანაკლებ 700 ათასი ტონა ხარისხოვანი და მაღალხარისხოვანი სატკეცი ლითონი, განახორციელოს 1931 წლის განმავლობაში ურალის მომქმედი მაღაროების მექანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს 7,1 მილიონი ტონა მადნის ამოღებას 1931 წელს და მზადებას ამოღების გადიდებისათვის 1932 წ. 1931 წელს დაჩქარდეს საგამოკვლევო მუშაობა ნადეჟდინსკის ქარხნის რაიონში იმ მაზნებით, რომელიც საჭირო იქნება ამ ქარხნის პერსპექტივების გამოსარკვევად, აგრეთვე დაჩქარდეს საგამოკვლევო მუშაობა ზლატოუსტის აზაროვკის საბადოების რაიონში. საგამოკვლევო სამუშაოთა გაშლის დროს გამოყენებულ იქნას მაგნიტნაიას მთაზე საგამოკვლევო საქმის ორგანიზაციის გამოცდილება.

საკავშირო სახკომსაბჭო წინადადებას აძლევს საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს დაიწყოს 1931 წელს და დაამთავროს 1932 წელს შემდეგი თუჯის ჩამომსხმელი ქარხნების მშენებლობა, რომელთა წლიური პროდუქცია უნდა იქნეს 1.050.000 ტონა თუჯი: სანარსკის ქარხანა ურალში, ლიპეცკის ქარხანა ლიპეცკის საბადოების რაიონში, ტულის ქარხანა ტულის საბადოების რაიონში; თვითეული ამ ქარხნის პროდუქცია უნდა იქნეს 350 ათას ტონას.

ყველა ამ სამუშაოთა განსახორციელებლად საკავშირო სახკომსაბჭო აძლევს შრომისა და თავდაცვის საბჭოს—350 მილიონი მანეთით გაადიდოს ასიგნობები შავი მეტალურგიისათვის 1931 წელს, დაავალოს სახკ. კავშირის ს.მ.უ. საბჭოს გადასინჯოს კოქსისა და ქიმიური მრეწველობის განვითარების გეგმა და კოქსის წარმოება შეუფარდოს შავი მეტალურგიის საწარმოო პროგრამას.

სამუშაოები შავი მეტალურგიის დარგში უნდა სწარმოებდეს დაკვრითი მშენებლობის წესით. (ადს).

150.000 მუშის დემონსტრაცია

პრაღა, 27 თებერვალი. ჩეხო-სლოვაკიის ყველა მუშურ ცენტრებში 25 თებერვალს, უმუშევრობასთან ბრძოლის საერთაშორისო დღეს, გაიმართა მრისხანე დემონსტრაციები და მიტინგები.

პარდუბიცეში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო ათასზე მეტმა უმუშევარმა და მუშამ. ჟანდარმებს, რომელნიც ცდილობდნენ დემონსტრანტების გაფანტვას, უკანასკნელებმა ქვები დაუშინეს. დაპატიმრებულია მრავალი უმუშევარი. პილზენში დემონსტრაციაზე გამოვიდა რამოდენიმე ათასი უმუშევარი. პოლიციამ, რომელმაც ვერ შესძლო დემონსტრანტების გაფანტვა, დააპატიმრა 23 უმუშევარი. ტეპლიცში მოეწყო მძლავრი დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 3 ათას უმუშევარმა. ბოდენბახში უმუშევართა დემონსტრაციას შეუერთდნენ საწარმოთა მრავალრიცხოვანი მუშ[illegible]. რაიხენბერგში დემონსტრაციაზე გამოვიდა საათასამდე [illegible]მა და უმუშევარი. ძლიერი დემონსტრაციები გაიმართა აგრეთვე დუქსში, აუსიგში, გრასლიცში და კომოტაუში; ამ დემონსტრაციებში მონაწილეთა საერთო რიცხვი 12.000 კაცს აღემატებოდა. შლუკენაუში დემონსტრანტებსა და ჟანდარმერიას შორის მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკება, რომლის დროს მოკლულ იქნა ერთი მუშა და 32 დაპატიმრებული. ბრიუნში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობდა 5.000 მუშა. ოსტროვაში, სადაც დემონსტრაციაზე რამოდენიმე ათასი მუშა გამოვიდა, მიუხედავად ჟანდარმერიის გაფრთხილებული თავდასხმებისა, დემონსტრანტებმა გაარღვიეს მისი რკალი, გაემართნენ პოლიციის სამმართველოსაკენ და იქ ფანჯრები დაამტვრიეს. ტარანოვოში ჟანდარმერიამ დაჭრა 5 დემონსტრანტი.

კომუნისტური პრესა აღნიშნავს, რომ 25 თებერვლის დემონსტრაციებში მონაწილეთა საერთო რიცხვი აღწევს 150.000 კაცს. 25 თებერვალს სულ დაპატიმრებულ იქნა 600 მუშამდე.

„პოსლედნი ლისტ“ აღნიშნავს, რომ დემონსტრანტებმა აიძულეს სახელმწიფო აპარატი მოეხდინა პოლიციის მთელი ძალების მობილიზაცია (ადს).

აგრარული კრიზისის შენელების ცდები

პარიზი, 27 თებერვალი. პარიზში შემდგარ აგრარულ კონფერენციის („ევროპიული კომისიის“ პირველი ქვეკომისიისა, 1930 წლის მოსავლის ზედმეტი პურის რეალიზაციის საკითხის გამო) უკანასკნელ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია ხორბლის საკითხის შესახებ.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ „არსებობს ზედმეტი პურეულის გასაღების სრული შესაძლებლობა“.

რეზოლუციაში შემდეგ აღნიშნულია, რომ კონფერენცია მოკლებულია შესაძლებლობას განსაზღვროს თვით გარიგებათა დადების პროცედურა, რომლის საშუალებით ეს გასაღება უნდა მოხდეს, ამიტომ კონფერენციის მონაწილენი ამ საკითხს დამატებით გარკვევენ, რის შედეგები გადმოცემული იქნება ევროპიული კომისიის მორიგ სესიაზე (ადს).

კაპიტალისტური ექსპლოატაციის ნაყოფი

ბერლინი, 27 თებერვალი. უმუშევრობის ზრდასთან დაკავშირებით უფრო და უფრო იზრდება ბერლინის მშრომელთა ფართო მასების გაჭირვება, რაც განსაკუთრებით ბავშვებზე ახდენს უმძიმეს გავლენას. „ფორვერტს“-ის ცნობითაც კი მუშათა რაიონების სკოლებში **ჯანსაღი ბავშვი გამონაკლისს წარმოადგენს. ბავშვთა 80 პროცენტი დასნეულებულია ძვლების და სახსრების სხვადასხვა ავადმყოფობით.** გადაშენების ეს საშინელი ციფრები, სავსებით გასაგები გახდება, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ თვითეული გამოკვლეულ ბავშვის მამა წელიწადში საშუალოდ 3—4 თვის განმავლობაში უმუშევარია. აჰა ლპობის გზაზე დამდგარი კაპიტალიზმის ნაყოფი (ადს).

მეცნიერება საბჭოთა კავშირში

ლონდონი, 27 თებერვალი. „მანჩესტერ გარდიან“-ის სამეცნიერო კორესპონდენტმა, კრაუდერმა, რომელიც შარშან ლენინგრადსა და მოსკოვში იყო, გამოსცა წიგნი სათაურით—„მეცნიერება საბჭოთა კავშირში“.

ავტორი ფიქრობს, რომ მეცნიერებას განვითარების სსრ. კავშირში ბევრად უფრო დიდი პერსპექტივები აქვს, ვიდრე კაპიტალისტურ ქვეყნებში. იმ გარემოებას, რომ მეცნიერება მთავარ ყურადღებას აქცევს ტეხნიკური და ეკონომიური პროგრესის ამოცანებს, არაჩვეულებრივი შედეგები მოჰყვება. ამის მეოხებით საბჭოთა კავშირი ყველაზე უფრო ძლიერ ქვეყნად გადაიქცევა მსოფლიოში (ადს).

პოლონეთი აძლიერებს შეიარაღებას

ბერლინი, 27 თებერვალი. პოლონეთის სამხედრო უწყებამ 22 თებერვლიდან სამხედრო მოწყობილობის არაჩვეულებრივად დიდი ტრანსპორტი შეიტანა დანციგის ნავთსადგურით. ამასთან დაკავშირებით ნავთსადგურის სამხრეთი ნაწილი 4 დღის განმავლობაში დახურული იყო სავაჭრო ოპერაციებისათვის (ადს).

ავღანისტან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

მოსკოვი, 28 თებერვალი. 28 თებერვალს შესრულდა ათი წელიწადი ავღანისტან-საბჭოთა კავშირის შორის მეგობრობის ხელშეკრულების დადებიდან. ხელისუფლების სათავეში ნადირ-ხანის ჩადგომის შემდეგ ავღანისტან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა გრძელდებოდა წინანდელ ხელშეკრულებათა საფუძველზე. **წარმატებით ვითარდებოდა სავაჭრო დამოკიდებულება** საბჭოთა რესპუბლიკების კავშირსა და ავღანისტანს შორის. ორთავე მხარის შორის ვაჭრობა წლითი-წლობით იზრდება. საბჭოთა ექსპორტი 1929-30 წელს უდრიდა 7.618 ათას მანეთს, ხოლო იმპორტი—10.672 ათას მანეთს. უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირმა ავღანისტანში გააგზავნა ბამბის ქარხნების მოწყობილობა, ელექტრო-მოწყობილობა, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და საამშენებლო მასალა (ადს).

უნდა გაუმჯობესდეს მუშათა საბინაო მშენებლობა

მოსკოვი 28 თებერვალი. საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებულმა შესრულების კომისიამ მოისმინა საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს, შრომის სახ. კომისარიატის, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის და რუსეთის ს.ფ.ს.რ.ის საბინაო მშენებლობის კავშირის ცენტრის წარმომადგენელთა მოხსენება საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ მუშათა საბინაო მშენებლობის გაუმჯობესებისათვის მოცემულ დირექტივების შესრულების შესახებ. კომისიამ აღნიშნა, საბინაო მშენებლობის მდგომარეობა ამჟამად აშკარად არადამაკმაყოფილებელია. არ აქვს ადგილი აუცილებელ მთლიანობას საბინაო მშენებლობის დაგეგმვაში. პროექტებს ადგენს მრავალი ორგანიზაცია. კრედიტების მიწოდების პრაქტიკა არ შეეფერება საბინაო მშენებლობის გაშლას. მუშათა საბინაო მშენებლობა ხშირად არ აკმაყოფილებს მუშების და მათი ოჯახების კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებას (სასადილოები, აბანოები, სამრეცხაოები, საბავშვო დაწესებულებანი). ბევრ შემთხვევაში მშენებლობა ძალზე ძვირად ჯდება და საერთოდ არ არის გამოყენებული არსებული მოწყობილობა სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაციისათვის და სათანადოთ არ არის გამოყენებული სტანდარტული მშენებლობის მსუბუქი ტიპის ბინები.

შესრულების კომისიას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ პროფესიონალური ორგანიზაციები ხშირად არ აქცევენ სათანადო ყურადღებას მუშათა საბინაო მშენებლობის გაუმჯობესებისა და გაიაფების საქმეს. ყოველივე ამის გამო და, განსაკუთრებით იმასთან დაკავშირებით, რომ 1931 წელს საბინაო მშენებლობაში დაბანდებული იქნება 1,100 მილიონი მანეთი (შარშან კი 582 მილიონი მანეთი იყო დაბანდებული) შესრულების კომისიას საჭიროდ მიაჩნია გადაჭრით ბოლო მოეღოს მთელ რიგ სამეურნეო, საბჭოთა და პროფესიონალური ორგანიზაციების მხრით მუშათა საბინაო მშენებლობის საქმისადმი უყურადღებო დამოკიდებულებას. შესრულების კომისია აუცილებლად მიიჩნევს, რომ საკავშირო სახკომსაბჭომ განიხილოს მუშათა საბინაო მშენებლობის მთელი ორგანიზაციის გაუმჯობესების და მიმდინარე წლის საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებული სახსრების სწორად ხარჯვის უზრუნველყოფის საკითხი, რათა ნამდვილად გაუმჯობესდეს მუშათა საბინაო მშენებლობა. (ადს).

დავაჩქაროთ სათადარიგო ნაწილების დამზადების ტემპი

მოსკოვი, 28 თებერვალი. საკავშირო სახკომსაბჭოსთან არსებულმა შესრულების კომისიამ გამოარკვია, რომ მთელმა რიგმა სამეურნეო ორგანოებმა გულგრილი და ბიუროკრატიული დამოკიდებულება გამოიჩინეს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივებისადმი, რომლებიც შეეხებიან გაზაფხულის თესვისა და აკრეფის კამპანიებისათვის ავტოპარკისა და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებით მომარაგებას, რის გამოც ჩაიშალა სათადარიგო ნაწილების დამზადების პროგრამა 1930 წლის განსაკუთრებულ კვარტალში: 2.033 ათასი მან. სათადარიგო ნაწილების ნაცვლად დამზადდა მხოლოდ 850 ათასი მანეთისა. სრულიად არ არის აგრეთვე დამაკმაყოფილებელი ჯერ-ჯერობით სათადარიგო ნაწილების, განსაკუთრებით საიმპორტო ავტომანქანების ნაწილების დამზადება 1931 წლის პირველ კვარტალში. გაზაფხულის თესვისა და აკრეფის კამპანიებისათვის ავტომანქანების უზრუნველსაყოფად სათადარიგო ნაწილებით დაევალოს საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს და „ვატო“-ს გამგეობას—მიიღონ ყოველგვარი ზომა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივების შესრულებისათვის; დაევალოს „ვატო“-ს —გაანაწილოს დაკვეთები იმ სათადარიგო ნაწილებზე, რომლებიც არ შესულან საიმპორტო კონტიგენტებში, შემდეგ ქარხნებს შორის: ქარხანამ „არმეზ“-მა („მოსკოტრანსი“) და ქარხანამ „სპარტაკ“-მა („ვატო“) ა.-წ. 1-ლ აპრილისათვის უნდა დაამზადონ 380 ცალი, ხოლო 1-ლ ივნისისათვის 360 ცალი რადიატორი AA ფორდებისათვის; ქარხანამ „არმეზ“-მა („მოსკოტრანსი“) ა.-წ. 1-ლ ივნისისათვის უნდა დაამზადოს 3.000 ცალი დგუში და 25 ათასი ცალი დგუშის გორგალი AA ფორდებისათვის.

გარდა ამისა, ქარხანამ „არმეზ“-მა ა.-წ. 1-ლ აპრილისათვის უნდა დაამზადოს არანაკლებ 250 ათასი მანეთის სათადარიგო ნაწილებს მე-2 „ამო“-ს 660 მანქანისათვის და 340 მანქანისათვის Я—5 და Я—6. ქარხანამ „როსტოკ“-მა („მოსმეტრ“-ის) 1-ლ აპრილისათვის უნდა დაამზადოს ათასი ცალი და 1-ლ ივნისისათვის 2.500 ცალი რესორი AA ფორდებისათვის. დაევალოს „ავტორემსნაბს“ უზრუნველყოს ქარხანა „არმეზ“-ი ნახშირით, ნედლეულით და ლითონით დგუშებისა და რგოლებისათვის (ადს).

თბომავალი „სომხეთი“ ბათომში

ბათომი, 28 თებერვალი. (საქ. კორ.) 28 თებერვალს, ნაშუადღევის 2 საათზე ბათომის ნავთსადგურში გაჩერდა თბომავალი „სომხეთი“, რომელიც აგებულ იქნა ლენინგრადის ქარხნებში. თბომავლის შესახვედრად ბათომში ჩამოვიდა სომხეთის მთავრობის დელეგაცია, სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის [illegible] თავმჯდომარეობით. დელეგაციის წევრებს შორის არიან მწერალი შირვანზადე და მხატვარი პროფ. ტერ-[illegible].

თბომავალს შეეგებნენ აჭარისტანის მთავრობის, პარტიულ და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლები. ნავთსადგურში მოეწყო მიტინგი. საღამოს აკადემიურ თეატრში შესდგა საზეიმო სხდომა.

სოციალ-ფაშისტების განგაში
მენშევიკ-ინტერვენციონისტების პროცესის გამო
ანტისაბჭოთა კამპანიის გაძლიერება

ბერლინი, 27 თებერვალი. „ფორვერტს“-მა და სხვა სოციალ-დემოკრატიულმა გაზეთებმა უკანასკნელ დღეებში საგრძნობლად გააძლიერეს ანტი-საბჭოთა კამპანია. ეს ალბად გამოწვეულია იმით, რომ მენშევიკების მომავალ პროცესზე მოსკოვში სავსებით გამოაშკარავდება მენშევიკების მოქმედება მე-2 ინტერნაციონალიდან.

„ფორვერტს“-ი სარგებლობს შემთხვევით და ცდილობს ანტისაბჭოთა აგიტაციისათვის გამოიყენოს გერმანელ მრეწველთა მრავალი გამომგზავრება საბჭოთა კავშირში (ადს).

ვენა, 27 თებერვალი. სოციალ-ფაშისტურმა „არბეიტერ ცეიტუნგ“-მა ახალი გაძლიერებული კამპანია გაუშვა საკ. კ.პ. (ბ) და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მენშევიკ ინტერვენციონისტების მომავალ პროცესთან დაკავშირებით. (ადს).

—:—

ბერლინი, 27 თებერვალი. „ფოსიშე ცეიტუნგ“-ისა და „გერმანია“-ს გარდა, გერმანიის სხვა ბურჟუაზიულ გაზეთებს უკომენტარიოდ მოჰყავთ მოკლე ამონაწერები საბრალმდებლო დასკვნიდან რ.ს.-დ.მ.პ. ცენტრალური კომიტეტის „საკავშირო ბიუროს“ საქმის გამო.

„ფორვერტს“-ი ათავსებს ცნობას, რომელშიაც მოჰყავს საბრალმდებლო დასკვნა მენშევიკ-ინტერვენციონისტების საქმის გამო.

„ფორვერტს“-ი ამ ცნობას, რათქმა უნდა ათავსებს ანტისაბჭოთა კომენტარიებით. (ადს).

თბილისის პროლეტარიატი მოითხოვს
მენშევიკ-კონტრრევოლუციონერების სასტიკად დასჯას

გუშინ, თბილისის ფაბრიკა - ქარხნებში შესდგა მუშების საპროტესტო კრებები მენშევიკ კონტრ-რევოლუციონერების „საკავშირო ბიუროს“ პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით. სახელდახელოდ გამართულ მიტინგებზე მუშები მოითხოვენ კონტრრევოლუციონერთა სასტიკად დასჯას. ქვემოდ ვაქვეყნებთ ზოგიერთი საწარმოების მუშების საპროტესტო რეზოლუციებს.

26-ის სახელობის ქარხანა

მუშაობის დამთავრებისთანავე შესდგა 26 კომ. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ტეხნიკურ პერსონალის გაერთიანებული სახელდახელო კრება. კრებამ მოისმინა ცნობა მენშევიკების „საკავშირო ბიუროს“ პროცესის და რიაზანოვის პარტიის რიგებიდან გამორიცხვის შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღო 17 დამკვრელმა მუშამ. ისინი აცხადებდნენ, რომ მენშევიკების კონტრ-რევოლუციონური ორგანიზაციის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კაპიტალისტური წყობილების აღდგენა საბჭოთა კავშირში. ჩვენმა პროლეტარულ სახელმწიფოს სასამართლომ მათ უნდა აჩვენოს ჩვენი მახვილი, რომ ერთხელ და სამუდამოდ მოუვაშორონ თავიანთი მავნებელი ხელები იმპერიალისტების აგენტებმა.

მიტინგი მიმართავს უზ. სასამართლოს—„საკავშირო ბიუროს“ წევრები **დასჯილ იქნან უმაღლესი სასჯელით—დახვრეტით.**

ამასთანავე მიტინგი პირობას აძლევს საკავშირო კომპარტიას, რომ ისინი **ერთი წუთითაც არ შეანელებენ თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას, და პარტიის სწორი ხელმძღვანელობით, წარმატებით შეასრულებენ ხ. წ. მესამე გადამწყვეტ წელიწადში დასახულ საწ. საფ. გეგმას.**

ძირს იმპერიალისტების აგენტები—მენშევიკები! გაუმარჯოს მსოფლიო ოქტომბერს და მის ბელადს ამხ. სტალინს.

თბილისის სოფლმრეწვი

27 თებერვალს შესდგა „თბილისის სოფლმრეწვი“-ს მუშა-მოსამსახურეთა მიტინგი, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. აკაკი რუხაძის ინფორმაციული მოხსენება მენშევიკური ცენტრის „საკავშირო ბიუროს“ აღმოჩენის შესახებ. ამ ცნობამ გამოიწვია მიტინგზე დამსწრე მუშა-მოსამსახურეთა აღშფოთება. კამათის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„თბილმრეწვის“ მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებამ გულის წყრომითა და აღშფოთებით მოისმინა ცნობა მენშევიკური „საკავშირო ბიუროს“ არსებობის შესახებ. საბჭოთა კავშირი, რომელიც იბრძვის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესასრულებლად ვერ მოითმენს, რომ მის სალ სხეულს ღრღნიდეს უილაჯო და უღღეური ხალხი, რომელიც ისტორიამ უკვე გაასწორა და რომლის ხსენებაც მხოლოდ მოგონებაში თუ შეიძლება.

ჩვენ მოვითხოვთ რომ „საკავშირო ბიუროს“ წევრები სასტიკად იქნენ გასამართლებული და მათ მიმართ გამოყენებულ იქნეს სოციალური დაცვის უმაღლესი ზომა“.

ფერო - მარგანეცის საცდელი ქარხანა

ფერო-მარგანეცის საცდელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ მოისმინა რა ამხ. გორდაძის მოხსენება რუსეთის მენშევიკურ კონტრ-რევოლუციონურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ბიუროს აღმოჩენის შესახებ, რომლის მუშაობა მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად, კრება აღშფოთებით აღნიშნავს მენშევიკურ ორგანიზაციის არსებობის ფაქტს.

ჩვენ სავსებით ვიწონებთ, საკავშირო საკონტროლო კომისიის დადგენილებას რიაზანოვის პარტიიდან გამორიცხვის შესახებ, მოვითხოვთ კონტრ-რევოლუციონური მენშევიკურ ორგანიზაციის ყველა წევრების უმაღლესი სასჯელით დასჯას. ჩვენ, მუშები კიდევ უფრო გავაძლიერებთ ბრძოლას მემარჯვენე-„მემარცხენე“ და მათთან შემარიგებლობის წინააღმდეგ. პარტიის გენერალური ხაზის მტკიცეთ ცხოვრებაში გატარებით, შევსძლებთ 5 წლედის 4 წელში და კიდევ უფრო ადრე შესრულებას.

გაუმარჯოს სოციალისტურ აღმშენებლობას, გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და მის ბელადს ამხ. სტალინს.

სტამბა „კოლექტივი“

გუშინ საღამოს 5 საათზე სტამბა „კოლექტივის“ კლუბში შესდგა პარტიის წევრების, კომკავშირელების და უპარტიო მუშა-მოსამსახურეების გაერთიანებული კრება. მენშევიკ-კონტრრევოლუციონერთა ფარული ორგანიზაციის აღმოჩენის შესახებ კრებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ერ. ტოროტაძემ.

მომხსენებელმა მუშებს გააცნო მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტების—მენშევიკების ფარულ ორგანიზაციის—ეგრედ-წოდებულ „საკავშირო ბიუროს“ კონტრრევოლუციონური ზრახვები და ის საშუალებები, რომელსაც ისინი აწარმოებდნენ საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

კონტრრევოლუციონური ორგანიზაციის აღმოჩენის ცნობამ მუშებში უდიდესი აღშფოთება გამოიწვია. მუშები მოითხოვდნენ მენშევიკ - კონტრრევოლუციონერთა და ყველა მათი ხელის შემწყობთა რევოლუციური კანონიერების მთელი სისასტიკით დასჯას.

ამხ. ტოროტაძის მოხსენების გამო მიღებულ რეზოლუციაში მუშები პარტიას და ხელისუფლებას აღუთქვამენ თავდადებულ ბრძოლას ყოველგვარი მტერთა წინააღმდეგ სოციალისტური სამშობლოს დაცვისათვის. მუშებმა მტკიცედ გადაწყვიტეს მორიგ მენშევიკ-კონტრრევოლუციონერთა მავნებლურ ცდას უპასუხონ სოცშეჯიბრების და დამკვრელობის კიდევ უფრო გაძლიერებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით და პარტიის გენერალური ხაზის გატარებისათვის შეურიგებელი ბრძოლით.

— ჩვენი ქვეყნის მუშები და მშრომელი გლეხობა—ნათქვამია რეზოლუციაში — ძირშივე აღკვეთენ მსოფლიო იმპერიალიზმის აგენტების—მენშევიკების ყოველგვარ ცდებს მიმართულს პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ და მიიღებენ ყველა ზომებს იმისათვის, რომ ხუთწლედის მესამე წელს უზრუნველყოფილი იქნას ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ეკონომიკის საძირკვლის წარმატებით დამთავრება.

ძირს ახალი ომის და ინტერვენციის ორგანიზატორები—მენშევიკები!

სიკვდილი იმპერიალიზმის ჯაშუშებს!

გაუმარჯოს სოციალიზმის ძლევამოსილ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში და მის ღირსეულ ხელმძღვანელ საკავშირო კომპარტიის ცეკას.

უახლოეს დღეებში შევასრულოთ სახსრების მობილიზაციის გეგმა

წალენჯიხის და ჩხარის რაიონებში ანაბარების ჯამი გადიდების ნაცვლად შემცირდა. — ლიუქსემბურგის რაიონში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გატარების პრაქტიკაში ადგილი აქვს მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრებს

საზოგადოებრივ ბუქსირზე ავიყვანოთ ჩამორჩენილი რაიონები და მით უზრუნველვყოთ სახსრების მობილიზაციის გეგმის მთლიანად შესრულება

საჭიროა დამკვრელი ტემპები

ხუთწლედის მესამე დამკვრელი წლის პროგრამის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება მოითხოვს ფულადი სახსრების მობილიზაციის კამპანიის დარგში მოცემულ დავალებათა დაუყოვნებლივ რეალიზაციას.

ეს გარემოება ზოგიერთ ადგილობრივ ორგანიზაციებს ვერ აქვთ სათანადოდ შეგნებული: ირკვევა, რომ ამ საქმეში ადგილი აქვს ოპორტუნისტულ თვითმდინარეობაზე დაყრდნობას და არ სწარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა იმისათვის, რომ დროზე შესრულდეს სახსრების მობილიზაციის გეგმა და მით უზრუნველყონ სოციალისტური მშენებლობის შეუფერხებლად წარმოება.

ფულადი სახსრების მობილიზაციაში მეტის-მეტად **ჩამორჩნენ** ერწო - თიანეთის, ბოგდანოვკის, გარე-კახეთის, ჩხორო-წყუს, ყვარელის რაიონები, ქვ. სვანეთი და სამხრეთ ოსეთი.

სახსრების მობილიზაციის გეგმა ერწო - თიანეთის რაიონს შესრულებული აქვს 23,9 პროცენტით, ბოგდანოვკის რაიონს კი 25,7 პროცენტით.

ზემოხსენებულმა რაიონებმა დღემდე ვერ მოახდინეს გარდატეხა სახსრების მობილიზაციაში და ვერ გააუმჯობესეს აღნიშნული კამპანიის ტემპი, რაც უნდა მიეწეროს ამ რაიონების მხრივ სახსრების მობილიზაციის მნიშვნელობის სათანადოდ შეუფასებლობას და ოპორტუნისტულ თვითმიმდინარეობისადმი მინდობას.

სახსრების მობილიზაციაში გვაქვს მთელი რიგი მიღწევებიც. მაგ. ზემო - სვანეთის, ხევის, ალგეთ-მანგლისის, გორის, ლანჩხუთის, სენაკის და ფოთის რაიონებმა 20 თებერვლისათვის სახსრების მობილიზაციის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე თავისუფალი ანაბარების მოზიდვის პირველი კვარტალის საკ. ციფრი.

იქ, სადაც აღნიშნულ კამპანიის გატარებაში თავიდანვე დამკვრელი ტემპები აიღეს — შესაძლებელი გახდა მოცემული გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. იქ კი, სადაც თანხების მობილიზაციის კამპანიის სერიოზულობა ვერ შეაფასეს, ადგილი აქვს საგრძნობ ჩამორჩენას.

ცალკე რაიონებში აღმოჩენილია მემარჯვენე ოპორტუნისტული გადახრების აღმაშფოთებელი ფაქტები: ლიუქსემბურგის რაიონში აშკარა კულაკური მეურნეობანი, რომელნიც სარგებლობენ სისტემატიური დაქირავებული შრომით, ეწევიან მევახშეობას, აქირავებენ იარაღ-მანქანებს, აქვთ მექანიკურ ძრავიანი საწარმოები, წისქვილები და სხვა — არ იყვნენ დაბეგრილნი ინდივიდუალური წესით.

ეს ფაქტები ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ადგილებზე არ სწარმოებს გადამწყვეტი ბრძოლა კულაკების და მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ, რომელნიც ყოველმხრივ ცდილობენ სახსრების მობილიზაციის კამპანიის ჩაშლას.

კულაკების და მემარჯვენე ოპორტუნისტების წინააღმდეგ დაუნდობელ და სისტემატიურ ბრძოლის წარმოებასთან, ერთად უნდა მივიღოთ ყველა ზომები იმისათვის, რომ ამ კამპანიის გარშემო დავრაზმოთ მუშები, კოლმეურნეები, მოჯამაგირეები და ღარიბ, საშუალო გლეხთა ფართო მასები. მშრომელებმა უნდა იცოდნენ, რომ სახსრების მობილიზაციის წარმატებით ჩატარება ხუთწლედის მესამე წლის გეგმის შესრულების აუცილებელი პირობაა. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ახალი სესხის ხელის მოწერის რეალურად განაღდებას. აღმოფხვრილი უნდა იქნას ხელის მოწერა მხოლოდ ქაღალდზე. — ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვადაზე და ადრეც დავფაროთ სესხზე ხელმოწერილი თანხა.

მართალია დაზოგვის ერთთვიურის ვადა ამოიწურა, მაგრამ ამან ოდნავადაც არ უნდა შეასუსტოს ახალი მეანაბრეების და ანაბრების მიზიდვის საქმე.

სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე სასოფლო - სამეურნეო გადასახადთა ნარჩენების, ვადა გადაცილებული სესხების, სახ. დაზღვევის გადასახადის, საპაიო გამოსაღებების, საბინაო გადასახადის და სხვ. — მთლიანად აკრეფის უახლოეს დღეებში დამთავრებას.

კულაკების, ნეპმანების, მემარჯვენე - „მემარცხენე“ ოპორტუნისტების და ყველა ჯურის კლასობრივ მტერთა წინააღმდეგობის და მავნებლობის აღკვეთით და მთელი ძალების დარაზმვით უზრუნველვყოთ ფულადი სახსრების მობილიზაციის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

ირ.

დირექტივები „საქმეში“ ჩაბარეს
(სტალინისი)

დაზოგვის კამპანია რაიონში არადამაკმაყოფილებლად იშლება, მრავალი სასოფლო საბჭოები თვითმიმდინარეობაზე არიან დამყარებულნი და არავითარ მუშაობას, კამპანიის გასაშლელად არ აწარმოებენ. ამიტომაა, რომ საკონტროლო ციფრი 20 თებერვლამდე მხოლოდ 50 პროც. არის შესრულებული.

პირველ მარტამდე ანაბრების რაოდენობა საკონტროლო ციფრის მიხედვით დაგროვილი უნდა ყოფილიყო 28 ათასი მან. არის კი მხოლოდ 14.000 მანეთი.

სამი დირექტივა არსებობს რაიონულ აღმასკომისა დაზოგვის კამპანიის წარმატებით ჩატარების შესახებ, უმეტეს შემთხვევაში ადგილებზე ეს დირექტივები დამალულნი არ არის; ზოგან კი ადგილებზე ამ დირექტივებს არავინ არ გაეცნობია. მაგალითად სურამის სასოფლო საბჭოში არავინ იცოდა ამ დირექტივების არსებობაზე და მხოლოდ რამოდენიმე საათის ძებნის შემდეგ იპოვეს იგი საქმეში მიკერებული. შრომის საბჭოში დაზოგვაზე დირექტივები არხივში აღმოჩნდა გადაყრილი.

ასეთივე მდგომარეობაა ბრუთის, რუისის, გომის და ხვის სასოფლო საბჭოებშიც.

საჭიროა ფართოდ გაიშალოს მუშაობა შემნახველ სალაროებში ანაბარების მოსაზიდავად, სასოფლო საბჭოებმა ამ კამპანიაში უნდა ჩააბან მთელი აქტივი. რაიაღმასკომმა კი უნდა აწარმოოს ადგილებზე ჩატარებულ მუშაობის შემოწმება და პასუხისგებაში მისცეს საბჭოს ის თავმჯდომარეები, რომელნიც უმოქმედობას იჩენენ და თვითმიმდინარეობაზე ამყარებენ იმედებს.

„კომუნისტის“ ბრიგადა.

შედეგები არ არის დამაკმაყოფილებელი
(აჭარისტანი)

დაზოგვის ერთთვიურმა იანვრის განმავლობაში აჭარისტანში არ მოგვცა დამაკმაყოფილებელი შედეგები.

ანაბარების სახით ხულოს რაიონს იანვარში უნდა დაეგროვებინა 7.540 მანეთი. თანხების დაგროვების მაგივრად შემჩნეულია ანაბარების რიცხვის შემცირება. ქედის რაიონმა 5.000 მან. მაგივრად დააგროვა 2.000 მან.; ქობულეთის რაიონმა გეგმა შეასრულა 76 პროც.—23.000 მან. დააგროვა 18.000 მან.

გეგმის გადაჭარბებით შესრულება მოგვცა ბათომმა რაიონმა: 42.000 მან. ნაცვლად დაგროვილია იანვარში 73.000 მან. გეგმა შესრულებულია 75 პროც. გადაჭარბებით.

დაზოგვის ერთთვიურის 1-ლ მარტამდე გაგრძელებასთან დაკავშირებით, რაიონების შემნახველ სალაროებს მიეცათ ახალი დავალებები.

1-ლი მარტამდე აჭარისტანის შემნახველმა სალაროებმა თავი უნდა მოუყარონ 110.940 მანეთს.

უნდა აღინიშნოს, რომ მუშაობა დაზოგვის ერთთვიურის წარმატებით ჩატარებისათვის არ არის ფართოდ გაშლილი რაიონებში. თუ პირველ ხანებში, ერთთვიურის დასაწყისში, შემჩნეული იყო მუშაობის გამოცოცხლება, შემდეგ მუშაობის ტემპი შენელდა.

აჭარისტანის პროფსაბჭო არ აქცევს ერთთვიურის ჩატარებას სათანადო ყურადღებას. თანახმად პარტიის აჭარისტანის საოლქო კომიტეტის 21 იანვრის დადგენილებისა, პროფსაბჭოს ევალებოდა მოესმინა კავშირების გამგეობების და ფაბქარხკომების მოხსენებები მათ მიერ ჩატარებულ მუშაობაზე. საოლქო კომიტეტის ეს დადგენილება არ არის მოყვანილი სისრულეში.

აჭარისტანის კოლმეურნეობათა კავშირმა მხოლოდ ამ დღეებში დაუგზავნა დირექტივა თავის ორგანიზაციებს ერთთვიურში მონაწილეობის მიღების შესახებ, აღსანიშნავია, რომ რაიკავშირები არ იღებენ არავითარ მონაწილეობას ერთთვიურის ჩატარებაში.

საჭიროა მთელი ძალების მობილიზაცია, რომ აჭარისტანმა მიცემული გეგმა გადაჭარბებით შეასრულოს.

აჭარელი.

სახსრების მობილიზაცია
20 თებერვლისათვის

რაიონები	იანვარ-თებერვლის [illegible] გეგმა	შესრულდა 20 თებერვლამდე	გეგმის შესრულება %%-ით
აფხაზეთი	2223500	1569200	70,6
აჭარისტანი	1188900	1011800	85,1
ქუთაისის	957600	793900	82,9
ზესტაფონის	495800	325500	65,6
სამტრედიის	416900	302700	72,6
ჭიათურის	406700	260200	63,9
ამბროლაურის	234400	160000	68.2
ბაღდათის	131500	115700	87,9
ვანის	128800	60600	47
ოკრიბის	102500	72900	71,1
ონის	149700	83600	55,8
ჩხარის	144500	70700	48,9
ქვ. სვანეთი	37700	15200	43,3
ცაგერის	133300	92100	69,1
ხარაგოულის	154100	122700	79,6
ხონის	166800	116800	70
სენაკის	260400	264300	101,4
მარტვილის	183800	104700	56,9
აბაშის	231000	126000	54,5
ზუგდიდის	301200	215800	71,6
ჩხოროწყუს	133600	52100	38,9
წალენჯიხის	154600	83500	[illegible]
ხობის	159100	103200	64,8
ოზურგეთის	256600	234100	91,2
ლანჩხუთის	155500	162200	104,3
ჩოხატაურის	149400	103600	69,3
ზემო სვანეთი	23000	61800	268,8
ფოთის	122900	124100	100,9
სამხ.-ოსეთი	378600	129100	34.1
თბილისის	6524300	4948100	75,8
ბორჩალოს	415100	192600	46,3
ბაშკიჩეთის	75400	58900	78,1
წალკის	108400	70300	64,8
ლიუქსემბურგის	145700	99400	68,2
გარე-კახეთის	169700	62100	36,5
მცხეთის	170500	82300	48,2
ერწო-თიანეთის	107200	25700	23.9
ალბ.-მანგლისის	200600	223100	111,2
დუშეთის	170300	83000	48,7
თელავის	478600	230500	48,1
სიღნაღის	508800	390100	76,6
გურჯაანის	514600	251500	48,8
ლაგოდეხის	223100	171700	76,9
ყვარელის	345900	154800	45
გორის	307600	332840	108,2
ბორჯომის	167700	140100	76.9
კასპის	150700	92400	61.3
სტალინისის	413400	209700	50,7
ახალქალაქის	280700	207400	73,8
ბოგდანოვის	173400	44600	25,7
ახალციხის	171300	151500	88,4
ადიგენის	162900	92300	56,6
ტოლოშის	101500	61500	60.5
ხევის	49400	78700	159,3
სულ	21718800	15892840	75,9

დაუყოვნებლივ აღმოვფხვრათ დეფექტები
(წერილი სენაკიდან)

მიმდინარე კვარტალისათვის მოცემული იყო საკონტროლო ციფრი—377.350 მანეთი. ჩატარებულ იქნა სათანადო მუშაობა და შედეგად 20 თებერვლისათვის გეგმა შესრულებულია რაიონში 70 პროც., ე. ი. აკრეფილია 264.367 მან. მუშაობა ფართოდ გაიშალა იმ ვარაუდით, რომ გეგმა მთლიანად შევასრულოთ 1 მარტამდე.

მაგრამ ფინრესურსების მობილიზაციის საქმეში გვაქვს მთელი რიგი დეფექტები.

ვადაგადაცილებული სესხები ასაკრეფი იყო 78000 მან., აკრეფილია 18136 მან. ან 24 პროც.

სამომხმარებლო კოოპერაციის პაები სოფლად და ქალაქად ასაკრეფი იყო 63000 მანეთი, აკრეფილია 18934 მან. ან 31 პროც.

მიზნობრივი სესხები ასაკრეფი იყო 7700 მან., აკრეფილია 1805 მან. ანუ 23 პროც.

სახდაზღვევის გადასახადები ასაკრეფი იყო 12900 მან., აკრეფილია 5057 მან., ან 39 პროც.

თვალსაჩინოდ სჩანს, რომ ამ დარგებს ხელმძღვანელმა ორგანოებმა ოპორტუნისტულად მიუდგნენ ფინრესურსების მობილიზაციის საქმეს, ვერ აამუშავეს აპარატი ისე, რომ გეგმის შესრულება უზრუნველეყოთ.

ყველა ზომები უნდა მივიღოთ იმისათვის, რომ დაუყოვნებლივ გამოვასწოროთ სახსრების მობილიზაციის ჩამორჩენილი დარგები

ბ. უჩანეიშვილი.

დღეს, 1 მარტს.
გაზ. „კომუნისტი“-ს მთ. კანტორა
(რუსთაველის პროსპ № 34)
ღია იქნება ხელის მოწერის მისაღებად
დილის 9 ½ დან 4 საათამდე.

კულტურული აღმშენებლობა

ვემზადოთ კულტესტაფეტისათვის

კულტესტაფეტა—მასების მობილიზაციის ახალი ფორმაა კულტურულ რევოლიუციის პრობლემათა ბოლშევიკურად გადაწყვეტისათვის

კომკავშირის ცეკას ინიციატივით კულტესტაფეტა 10 მარტიდან დაიწყება. — პროფკავშირის, განათლების და კომკავშირის ორგანიზაციები დაუყოვნებლივ უნდა შეუდგნენ მოსამზადებელ მუშაობას 10 მარტისათვის ადგილებზე კულტესტაფეტის შტაბებისა და კულტმელაშქრეთა მოსამზადებლად. | არც ერთი მუშა, კოლმეურნე, განათლების მუშაკი, კომკავშირელი და პიონერი კულტურულ ლაშქარის გარეშე

ს. კ. პ. (ბ) ყველა რაიკომებს

ჩქარი ტემპებით მიმდინარე სოციალისტური აღმშენებლობა როგორც სოფლად, ისე ქალაქად, მოითხოვს ყველა სახის კვალიფიციურ მუშა-ხელს. ხოლო ამხ. ლენინის ლოზუნგი—„დავეწიოთ და გავუსწროთ ტექნიკურ-ეკონომიურად კაპიტალისტურ ქვეყნებს"—განხორციელდება და ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის [illegible] წინსვლა შეუძლებელია კულტურული მშენებლობის სწრაფი ზრდის გარეშე. მე-16 პარტყრილობამ ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და დასახა ამოცანები კულტურულ ფრონტზე ჩამორჩენილობათა აღმოსაფხვრელად. ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე, კულტურულ რევოლიუციის პრობლემათა ბოლშევიკური გადაწყვეტა მშრომელ მასის ფართო მობილიზაციას მოითხოვს. კულტურული მშენებლობის აღნიშნულ ამოცანათა გადასაწყვეტად დღემდე ყველა შესაძლებლობანი არ ყოფილა გამოყენებული.

კულტურულ რევოლიუციის საკითხების გარშემო მშრომელთა ფართო მასების შემოკრებისა და ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭ. ორგანოების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების მიზნით, 10 მარტიდან საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით) ტარდება კულტესტაფეტა (შეჯიბრების საფუძველზე), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების შემოღების, წ.-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, სკოლის ასაკამდე აღზრდის და სკოლების პოლიტექნიზაციის ფრონტზე მდგომარეობის გამოკვლევას, ღონისძიებების დასახვას არსებულ ჩამორჩენათა და მათდამი ოპორტუნისტულ დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად (კულტლაშქრობის საშუალებით).

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს რა კულტესტაფეტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ფართო მასების საშუალებით კულტურულ მშენებლობის მიმდინარე ამოცანების გადაწყვეტის საქმეში, წინადადებას გაძლევთ:

1. რაიკომის ბიუროს სხდომაზე მოისმინოთ მოხსენება და პრაქტიკული ღონისძიებანი კულტესტაფეტის თქვენს რაიონში ჩატარების შესახებ.

2. ალკკ რაიკომთან არსებულ კულტესტაფეტის შტაბზე პარტიული ხელმძღვანელობის გასაწევად მიამაგროთ რაიკომის კულტპროპის სექტორის გამგე.

და 3. აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება კულტესტაფეტის რაიონულ შტაბს, არსებულ დირექტივების საფუძველზე, დასახულ ამოცანათა შესრულების საქმეში.

საქ. კომპ. (ბ) ც. კ. მდივანი
გ. დევდარიანი.

საქ. პროფსაბჭოს, საქ. ლ. კომკავშირის ცეკას და განათლების კომისარიატის მიმართვა

ყველა პროფსაბჭოებს და ადგილკომებს, კომკავშირის რაიკომებს და უჯრედებს, სოცკულტურის განყოფილებებს და ყველა კულტურულ - განმანათლებელ დაწესებულებებს

კულტესტაფეტის რესპუბლიკანურ შტაბის დადგენილების თანახმად, კულტესტაფეტა საქართველოს ყველა კუთხეებში იწყება 10 მარტიდან.

კულტესტაფეტის წარმატებით ჩატარების მიზნით, ამ დირექტივის გაცნობისთანავე, საჭიროა კომკავშირის რაიკომებმა დაუყოვნებლივ ჩამოაყალიბონ კულტესტაფეტის რაიონული შტაბები შემდეგი შემადგენლობით: კომკავშირის რაიკომის მდივანი (შტაბის უფროსი), წევრები: პარტკომის კულტპროპის გამგე, რაიპროფსაბჭოს თავმჯდომარე, სოცკულტ. განყ. გამგე, კოოპერ. კულტმუშაობის ხელმძღვანელი, კოლმეურნეობათა კავშირის წარმომადგ. და 3 დამკვრელი მუშა წარმოებიდან.

რაიშტაბი, კულტესტაფეტის ჩატარების გეგმის საფუძველზე, დაუყოვნებლივ იმუშავებს პრაქტიკულ ღონისძიებებს რაიონში კულტესტაფეტის ჩასატარებლად.

რაიშტაბის ჩამოყალიბებისთანავე, შტაბის უფროსის ბრძანებით, შტაბის წევრები და მობილიზაციაქმნილი კულტმუშაკები იგზავნებიან მომხსენებლებად წარმოებებსა, სოფლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კულტესტაფეტის ამოცანებისა და მარშრუტების ჩატარების მნიშვნელობის შესახებ.

წარმოებებთან კულტესტაფეტის ჩასატარებლად უნდა ჩამოყალიბდეს ადგილობრივი შტაბი შემდეგი შემადგენლობით: კომკავშირის უჯრედის მდივანი (შტაბის უფროსი), საქარხნო-საფაბრიკო ადგილკომის თავმჯდომარე (შტაბის უფროსის მოადგილე), პარტუჯრედის და წ-კ. უც. მებრძოლ საზოგადოების წარმომადგენლები, კლუბის გამგე და 2 დამკვრელი მუშა წარმოებიდან.

სასოფლო საბჭოებში კომკავშირის უჯრედთან უნდა ჩამოყალიბდეს შტაბი შემდეგი შემადგენლობით: კომკავშირის უჯრედის მდივანი (შტაბის უფროსი), კოლმეურნეობის ახალგაზრდობის სკოლის, სადაც არ არსებობს, 7 წლედის გამგე (შტაბის უფროსის მოადგილე), პარტუჯრედის და კოლმეურნეობის გამგეობის წარმომადგ., კლუბ-სამკითხველოს გამგე, განათლების კავშირის წარმომადგენელი, დელეგატ-ქალების წარმომადგენელი და 3 დამკვრელი კოლმეურნე.

კულტესტაფეტაში მონაწილეობა უნდა მიიღოს მშრომელთა მასამ და ამიტომ მუშაობა დაწყებული უნდა იქნეს ესტაფეტის ჩატარების ამოცანებისა და წესის განმარტებით.

როგორც კი ჩამოყალიბდება შტაბები, ისინი უნდა შეუდგნენ ესტაფეტის ამოცანებისა და გეგმის გაცნობას საერთო კრებებზე, მიტინგებზე, საუბრებში, კედლის გაზეთების, სპეციალური ფურცლების, ლოზუნგების, პლაკატების საშუალებით.

ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს მთელი პროფკავშირის, კომკავშირის კოლმეურნეთა აქტივი იმ ანგარიშით, რომ კულტესტაფეტის იდეა გასაგები და პოპულარული გახდეს მშრომელი მასებისათვის.

მასიური განმარტებითი მუშაობის შემდეგ იწყება კულტმოლაშქრეთა შეკრება, რომელიც ტარდება როგორც საერთო კრებებზე, აგრეთვე კედლის გაზეთის საშუალებით, ინდივიდუალურადაც, შეკრებისათვის გამოყენებული უნდა იქნეს სოც. შეჯიბრების მეთოდები.

კულტმოლაშქრეთა შეკრება შეიძლება დაევალოს კულტსაბჭოების წევრებს და პირველად შეკრებილ თვით კულტმოლაშქრეებსაც. მოლაშქრეთა რიცხვი არ უნდა იქნეს შეზღუდული, საჭიროა მუშების, მუშა-ქალების, კოლმეურნეების და პირველ რიგში დამკვრელების რაც შეიძლება მეტი რიცხვის ჩაბმა ესტაფეტაში.

ადგილებზე შედგენილი უნდა იქნეს მოლაშქრეთა ზუსტი აღრიცხვა. კულტარმია ადგილობრივ შტაბის მიერ იყოფა რაზმებად, რომლებსაც რაზმების უფროსები ხელმძღვანელობენ. რაზმი ატარებს ამა თუ იმ მარშრუტს. რაზმები გაიყოფებიან ჯგუფებად, ჯგუფი ასრულებს მარშრუტის ამა თუ იმ დავალებას. ცალკე შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია, ინიშნება სპეციალური საგუშაგოები (მაგალითად, საგუშაგო წესდება წერა-კითხვის უცოდინარობის თვით სალიკვიდაც. სკოლასთან, რომელსაც მოწაფეები არ ესწრებიან, ან საგუშაგო ინიშნება იმისათვის, რომ მეთვალყურეობა გაუწიოს კოოპერატიულ წერტს, რომელიც ამარაგებს სკოლას.

სარაიონო შტაბის განკარგულებით, შეიძლება სხვადასხვა წარმოებებიდან გამოყოფილი იქნეს მოლაშქრეები, რომლებისაგან შედგენილი რაზმი უშუალოდ შტაბის განკარგულებაში იმყოფება სხვადასხვა დავალებათა შესრულებისათვის გამოყენების მიზნით (ესტაფეტის მსვლელობის შემოწმება, ჩამორჩენილთათვის დახმარების გაწევა და სხვ.).

ეწყობა მასიური მიტინგი, კონფერენციები, რომლებზედაც ყოველი კოლექტივი იღებს კონკრეტულ დავალებებს იმ მარშრუტის მიხედვით, რომელიც თვით რაზმმა აირჩია. რაზმის მიერ მიღებული საერთო დავალება განაწილდება ცალკე დავალებებზე, რომელიც ცალკე ჯგუფებს მიეცემა.

ყოველ რაზმს და ჯგუფს ინიშნება მოცემულ დავალებათა შესრულების მტკიცე ვადა.

დავალებათა მიღებისთანავე რაზმები და ჯგუფები შეუდგებიან მათ განხორციელებას, ურთიერთ შორის სოც. შეჯიბრების მეთოდების გამოყენებით. დავალებათა შესრულების მსვლელობის შესახებ ყოველი მოლაშქრე პატაკს აძლევს ჯგუფს, ჯგუფი რაზმს, რაზმი შტაბს, ადგილობრივი შტაბი—სარაიონო შტაბს, და ეს უკანასკნელი რესპუბლიკანურს. პატაკის წარმოდგენის ვადებს ნიშნავენ შტაბები და ის ვადები მტკიცედ უნდა იქნეს დაცული. იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულ ვადაში პატაკი არ იქნა წარმოდგენილი, დამნაშავეთა წინააღმდეგ მიღებული უნდა იქნეს სათანადო ზეგავლენითი ზომები (შავი დაფა, კედლის გაზეთი, გამოქვეყნება პრესაში, რაზმის, შტაბის უფროსების გადაყენება და სხვა).

ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული შავი და წითელი დაფების სისტემა. კედლის გაზეთებმა სისტემატიურად უნდა გააშუქონ ესტაფეტის მსვლელობა

თუ რომელიმე მარშრუტზე, ან მთელ საწარმოში გამოირკვა ტემპების შენელება, სათანადო შტაბი (სარაიონო ან ადგილობრივი), აწყობს მათ დამხმარე რაზმებს, რომლებიც „საზოგადოებრივ ბუქსირის" წესით ეხმარებიან ჩამორჩენილ ამხანაგებს დავალებათა შესრულებაში.

შტაბებმა უნდა შეამოწმონ მიცემულ დავალებათა შესრულება და აწარმოონ მთელი მუშაობის აღრიცხვა. ამისათვის საჭიროა, შტაბებმა სისტემატიურად, დაწესებულ ვადებში, შეადგინონ მოკლე, მაგრამ გარკვეული ცნობები იმის აღნიშვნით, თუ რა დავალება იქნა შესრულებული ყველა მარშრუტების მიხედვით და როგორი შედეგები მოგვცა მათ შესრულებამ.

კულტესტაფეტის ჩატარების დროს ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული სოც. შეჯიბრების, დამკვრელობის, „საზოგადოებრივი ბუქსირის" და ბოლომდე მიმყოლ ბრიგადების მეთოდები.

მუშაობის წახალისების მიზნით თვითეულ რაიონში იქნება თითო გარდამავალი დროშა, რომელსაც რაიონული შტაბი აძლევს საუკეთესო წარმოებას, ან სოფლის შტაბს. გარდამავალი დროშა შტაბიდან შტაბზე გადადის იმის მიხედვით, თუ ვინ ვის აჯობა. გადაცემის შემთხვევები ქვეყნდება პრესაში. რაიონულ შტაბებისათვის კი ამავე წესით იქნება ერთი გარდამავალი რესპუბლიკანური დროშა.

ყოველი მოლაშქრე, რაზმი, საწარმოო, რაიონი, პროფკავშირი, ყოველი ორგანიზაცია—კულტესტაფეტის მონაწილე უნდა ეჯიბრებოდეს ერთმანეთს, ხოლო ჩამორჩენილ რაზმებს, საწარმოებს დახმარება უნდა გაუწიონ „საზოგადოებრივი ბუქსირის" წესით. კულტესტაფეტამ საძირკველი უნდა ჩაუყაროს სოც. შეჯიბრების ფართოდ გაშლას კულტურულ მშენებლობის საკითხების გარშემო,

ადგილკომებმა იმგვარად უნდა წარმართონ მოსამზადებელი საქმიანობა, რომ 10 მარტს კულტესტაფეტის სტარტის (დაწყების) გამოცხადების დღეს, გამზადებული და აღრიცხვაზე აყვანილი კულტარმია, დაყოფილი რაზმებად და ჯგუფებად, წინასწარ შერჩეულ მარშრუტებისა და დავალებათა მიხედვით, დაიძრას კულტურულ ფრონტზე დასახულ ამოცანათა ბოლშევიკური ტემპით გადასაწყვეტად.

კომკავშირის რაიკომის მდივნებმა (ესტაფეტის შტაბის უფროსებმა) ჩატარებულ მოსამზადებელ მუშაობის შედეგებზე წერილობითი მოხსენება უნდა წარმოუდგინონ რესპუბლიკანურ შტაბის უფროსს ამხ. ბუჟიაშვილს, არა უგვიანეს 5 მარტისა.

საქ. პროფკავშირთა საბჭოს თ-რე
გ. მაჩაიძე.
ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას მდივანი
ბუჟიაშვილი.
განათლების სახალხო კომისარის მოადგილე შ. ჟაფარიძე.

პარტიული მშენებლობა

ქვედა პარტიულ ორგანოების გადარჩევისათვის მოსამზადებელი მუშაობა სოფლად დაუშვებელი ნელი ტემპით მიმდინარეობს

„უჯრედებში საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის მიმართვის დამუშავებასთან ერთად უნდა შეიქმნას საუჯრედო შემმოწმებელი კომისიები, რომელთაც უნდა დაევალოთ ბრიგადების გამოყოფა მუშაობის ცალკე დარგებში და პარტიის წევრებისა და კანდიდატების მაქსიმალურად ჩაბმა აღნიშნულ ბრიგადებში".

(საქ. კ. პ. (ბ) ცეკას სამდივნოს დადგენილებიდან)

უჯრედების მუშაობის შემმოწმებელ კომისიებში გამოვყოთ ენერგიული და მომზადებული მუშაკები

უჯრედების ბიუროების საანგარიშო გადარჩევის კამპანია

(26-ის რაიონში)

ქვედა პარტორგანოების გადარჩევის შესახებ საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვის დამუშავება 26-ის რაიონში დაიწყო დღიდან ამ მიმართვის გამოქვეყნებისა.

რაიკომის უჯრედთა მდივნების თათბირებზე შემუშავებულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი უჯრედთა ბიუროების საანგარიშო-გადარჩევის კამპანიის ჩატარების შესახებ.

მაგალითად, ქალაქის გაწმენდის სამმართველოში გაიმართა პარტიის და კომკავშირის უჯრედების საერთო კრება, სადაც 14 თებერვალს დამუშავდა საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვა. კამათში მონაწილეობა მიიღო 5 კაცმა, მიცემულ იქნა 12 შეკითხვა.

უჯრედის მუშაობის შესამოწმებლად გამოყოფილია თვითშემმოწმებელი ბრიგადა 3 კაცისაგან: ბრიგადასთან შექმნილია საინიციატივო ჯგუფი. ბრიგადის საორგანიზაციო სხდომა მოწვეულ იქნა იმავე დღეს. კამპანიასთან დაკავშირებით რამდენიმე მუშამ შეიტანა განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

არსენალში, პარტკოლექტივის ბიუროს სხდომაზე და პარტუჯრედების და კომკავშირელების საერთო კრებაზე წერილი დამუშავდა 13 თებერვალს. დაესწრო პარტიულების და კომკავშირელების 90 პროც. და 29 უპარტიო. კამათში მონაწილეობა მიიღო 14 კაცმა, მიცემულ იქნა 15 შეკითხვა. უჯრედების თვითშემმოწმებელ ბრიგადებში გამოიყო ხუთ-ხუთი კაცი, კომისიაც შედგენილია. საინიციატივო ჯგუფი. შემოწმების უკეთ ჩასატარებლად ბრიგადებსა და უჯრედებს შორის გაიმართა შეჯიბრება. შესდგა ბრიგადის საორგანიზაციო სხდომა. კამპანიასთან დაკავშირებით საინჟინერო-ტექნიკური ძალების მიერ შემოტანილია 4 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ, განცხადებების მიღება როგორც მუშებისა, ისე საინჟინერო-ტექნიკურ ძალებისაგან გრძელდება.

18 თებერვალს საარტილერიო საწყობში უჯრედის ბიუროზე საკითხის დამუშავების შემდეგ, მოწვეულ იქნა პარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება უპარტიოებთან ერთად. კრებას დაესწრო 45 პარტიული, 38 კომკავშირელი, 25 უპარტიო, კამათში მონაწილეობა მიიღო 5 კაცმა, მიცემული იქნა 9 კითხვა. გამოიყო ბრიგადა 7 კაცის შემადგენლობით და ცალკე საინიციატივო ჯგუფი.

საინსტრუქციო თათბირზე მოწვეულ იქნა ადგილობრივი გაზეთის რედკოლეგია, რომელსაც მიეცა ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა გაუწიოს სამსახური ამ კამპანიას.

შემოტანილ განცხადებებიდან პარტიაში ჯერ ჯერობით მიღებულია 8 მუშა.

მკერავთა პირველ ფაბრიკაში საკითხი დამუშავდა პარტკოლექტივის ბიუროზე 20 თებერვალს, 28 თებერვალს საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვა დამუშავდა ერთ ცვლაზე, რომელსაც დაესწრო 46 პარტიული, 15 კომკავშირელი და 19 უპარტიო. კამათში მონაწილეობა მიიღო 11 კაცმა. შემმოწმებელ კომისიებს შორის განაწილებულია სოცშეჯიბრების უჯრედის ცალკე სექტორების შესამოწმებლად. შემოწმების უკეთ ჩატარებისათვის, კომისიებს აჯილდოვებს კოლექტივის ბიურო. კოლექტივის ბიურომ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია მექანიკური ქარხანა.

საკანდიდატო ფაბრიკაში საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის სადირექტივო წერილი დამუშავდა პარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ ღია კრებებზე, დაესწრო 35 პარტიული, 60 კომკავშირელი, 40 უპარტიო. კამათში მონაწილეობა მიიღო 4 კაცმა, გამოყოფილია ბრიგადა 7 კაცის შემადგენლობით.

მაკარონის ფაბრიკის უჯრედმა საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვა დაამუშავა 19 თებერვალს — პარტიისა და კომკავშირის უჯრედების საერთო კრებაზე, უპარტიოებთან ერთად.

სატრიკოტაჟო ფაბრიკაში („საქართველოს აბრეშუმის") პარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ ღია კრებაზე მიმართვა დამუშავდა 19 თებერვალს.

საქართველოს ს. მ. უ. საბჭოში საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვა დამუშავდა პარტიისა და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ კრებაზე 22 თებერვალს. კამათში გამოვიდა 8 კაცი. უჯრედმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია საქართველოს მომარაგება-ვაჭრობის სააქციო საზოგადოების უჯრედი.

ამხ. მოლოტოვის სახელობის ამიერ-კავკასიის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში მიმართვა დამუშავდა პარტკომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ კრებაზე 21 თებერვალს. დაესწრო 27 პარტიული, 65 კომკავშირელი, 43 უპარტიო. კამათში მონაწილეობა მიიღო 7 კაცმა.

ხე-ტყის სახერხ ქარხანაში № 1 19 თებერვალს გაიმართა პარტუჯრედის ღია კრება, რომელზედაც დამუშავდა საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვა.

თბილისის წყალსადენის სამმართველოს პარტუჯრედში, კომკავშირელებთან ერთად—მიმართვა დამუშავებულ იქნა 19 თებერვალს. დაესწრო 42 პარტიული, 13 კომკავშირელი და 32 უპარტიო. კამათში გამოვიდა 6 კაცი. თვითშემმოწმებელ ბრიგადებში გამოყოფილია 12 კაცი.

ქალაქის სასაკლაოს უჯრედმა მიმართვა დაამუშავა 19 თებერვალს. დაესწრო პარტიულების 90 პროც., 32 კომკავშირელი და 44 უპარტიო. კამათში გამოვიდა 8 კაცი.

საანგარიშო-საგადარჩევო კამპანიასთან დაკავშირებით ერთმა საამქრომ თავი გამოაცხადა ხუთწლედის მესამე წლის სახელ. დამკვრელად. შემმოწმებელ ბრიგადებში გამოყოფილია 18 კაცი, როგორც თვითშემმოწმებელ ბრიგადებში, ისე კამპანიის ჩატარებაში ჩაბმულია შეფობის ქვეშ მყოფი საბჭოთა ნაწილები.

ქალაქის მილიციის კოლექტივის ბიუროში საკითხის დამუშავების შემდეგ, მიმართვა დამუშავდა უჯრედების კოლექტივის კრებაზე 19 თებერვალს. დაესწრო პარტიულების 90 პროც.

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქ. კომიტეტის მიმართვა 22 თებერვალს დამუშავდა აგრეთვე ცალკე უჯრედებში კომკავშირელებთან ერთად.

კამათის დროს გამოსული ამხანაგები კონკრეტულად მიუთითებდნენ კომისიებს, თუ როგორ უნდა აწარმოებიათ შემოწმება. კრებებზე და თათბირებზე შემმოწმებელი ბრიგადები ღებულობდნენ ინსტრუქციებს. ბრიგადები უკვე შეუდგნენ მუშაობას სექტორებში. მათ უკვე აქვთ მუშაობის შემოწმების გეგმა.

შ. ასათიანი.

ჩამოვაყალიბოთ შემმოწმებელი ბრიგადები

(მკერავის მეორე ფაბრიკა)

მკერავის მეორე ფაბრიკის ყველა უჯრედში დამუშავდა საქ. კ. პ. (ბ) ა-კ. საოლქო კომიტეტის მიმართვა ქვედა პარტორგანოების გადარჩევის შესახებ. კრებებზე ფართოდ გამოძახილი ჰპოვა საოლქო კომიტეტის მიმართვის დამუშავებამ. მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 15 კაცმა, რომლებმაც ბოლშევიკური თვითკრიტიკის ნიშნის ქვეშ გამოააშკარავეს საუჯრედო მუშაობის სუსტი ადგილები: სექტორების მუშაობა უჯრედებში მიძინებულია, ამ გარემოებას ბიურო კოლექტივი ყურადღებას არ აქცევს, არ ხდება სექტორების ხელმძღვანელობის თათბირი, თუ როგორ უნდა მუშაობდეს სექტორები.

სოც-შეჯიბრებაში და დამკვრელობაში პარტიის ზოგიერთი წევრები სიტყვით არიან ჩაბმული, ფაქტიურად კი ისინი არ აწარმოებენ დამკვრელობას. პარტიის ასეთ წევრებზე უნდა მივიღოთ ზომები. პარტიის წევრი მაგალითის მიმცემი უნდა იყოს საწ.-საფინანსო გეგმების ყველა მაჩვენებლების გადაჭარბებით შესრულების საქმეში, ის უნდა იდგეს დამკვრელობის მოწინავე რიგებში.

მოისუსტებს მასიურ-პოლიტიკური მუშაობა უპარტიო მუშებს შორის. უჯრედებს ჯერ კიდევ არ დაურაზმავთ მუშათა ყურადღება საწ.-საფ. გეგმების ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

კამათში გამოსული ამხანაგები ამბობდნენ, რომ ქვედა პარტორგანოების გადარჩევამდე ბიუროების მუშაობის შემმოწმებელმა ბრიგადებმა უნდა მისცენ კონკრეტული პრაქტიკული წინადადებები მუშაობის გარდაქმნის და „პირით საწარმოო საკითხებისაკენ" შემობრუნების საქმეში. კამათის დამთავრების შემდეგ გამოყოფილი იქნა 17 შემმოწმებელი ბრიგადა. შემმოწმებელ ბრიგადებში არიან ჩაბმული პარტიის ყველა წევრები.

უჯრედებმა სოც-შეჯიბრებაში გამოიწვიეს ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის მექანიკური ქარხნის და ფეხსაცმელების ფაბრიკის უჯრედები, ბიუროების გადარჩევების უკეთესად ჩატარებისათვის.

სა—შა.

კიდევ უფრო გავაძლიეროთ ორ ფრონტზე ბრძოლა

(საქონლის სადგური)

საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვის—ქვედა პარტორგანოების გადარჩევის დასამუშავებლად 22 თებერვალს საქონლის სადგურის აუდიტორიაში შესდგა საქონლის სადგურის კომუჯრედის ღია კრება, კომკავშირის ორგანიზაციასთან და უპარტიო მუშა-მოსამსახურეებთან ერთად.

მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია, კამათში გამოსული მუშები ერთხმად იწონებდნენ საქ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიმართვას ქვედა პარტორგანოების გადარჩევის შესახებ და ამავე დროს აღნიშნავდნენ, რომ ქვედა პარტორგანოების გადარჩევის კამპანიის საფუძვლად უნდა დაედვას ტრანსპორტზე შრომის დისციპლინის განმტკიცებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას, თვითღირებულების შემცირებას, საუკეთესო დამკვრელი მუშების პარტიაში მიღებას; კამპანიასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს თვითეულ რგოლის მუშაობის შეჯამება, ფართოდ უნდა გაიშალოს ბოლშევიკური თვითკრიტიკა, უმაღლეს საფეხურზე უნდა აიყვანოთ სოციალისტური შრომის ახალი ფორმები—სოცშეჯიბრება და დამკვრელობა დამკვრელი ტემპებით უნდა უზრუნველვყოთ 5 წლედის მესამე წლის გეგმის შესრულება, კამპანიასთან დაკავშირებით პარტიის თვითეული წევრის ამოცანას შემდეგშიაც უნდა შეადგენდეს დაუცხრომელი ბრძოლის წარმოება, მემარჯვენე„მემარცხენე" ოპორტუნისტების—ამ კულაკურ აგენტურასთან პარტიაში და მემარჯვენე „მემარცხენო" ბლოკის ნაშთების წინააღმდეგ.

ჩვენ, მტვირთავი მუშები ფიცს ვდებთ, რომ ერთ წუთსაც არ შევანელოთ ჩვენი ყურადღება საგაზაფხულო ტვირთგადაზიდვისათვის; შრომის ახალი ფორმების კიდევ უფრო მაღლა აწევით შევძლებთ 5 წლიან გეგმის 4 წელიწადში შესრულებას.

კამათის და მომხსენებლის საბოლოო სიტყვის შემდეგ კრებამ მიიღო სათანადო რეზოლიუცია.

დამკვრელი მუშები შედიან პარტიაში

(თბილისი)

ამას წინად „სახელგამის" სტამბის კომუჯრედმა, უპარტიო მუშებთან ერთად, დაამუშავა ამხ. სტალინის სიტყვა, წარმოთქმული მრეწველობის მუშაკთა საკავშირო კონფერენციაზე. კრება აღფრთოვანებით შეხვდა ამხ. სტალინის მოწოდებებს ტექნიკის დაუფლების და 1931 წლის საკონტროლო ციფრების ბოლშევიკურად შესრულების შესახებ.

უჯრედმა ამხ. სტალინის სიტყვას დაუკავშირა სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესრულების საკითხი. სტამბაში და გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებანი იანვრის ჩამორჩენის გამოსასწორებლად. კრებამ მოუწოდა ყველა მუშებს კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შრომის ახალი ფორმები—სოცშეჯიბრება და დამკვრელობა, მიემაგრონ წარმოებას ხუთწლედის დასრულებამდე, იბრძოლონ შრომის დისციპლინის გაძლიერებისათვის და სხვ.

ამხ. სტალინის მოწოდების საპასუხოდ ასოთამწყობ სამქროს დამკვრელი მუშა ამხ. ეპეზუამ, (19 წლის საწარმოო სტაჟით) განცხადება შეიტანა ლენინის პარტიაში მიღების შესახებ.

პარტიაში შედიან აგრეთვე მუშადამკვრელები ამხ. დავიდოვი, ივანოვი, ასოვსკი, სიზატენკო, კარდაშევი, წამალაშვილი, კარაპეტოვი და სხვ. მუშა მიხაილოვმა თავი დამკვრელად გამოაცხადა და მოუწოდა ყველა მუშებს წარმოებაზე მიმაგრება. მუშა დროზდოვმა შეჯიბრებაში გამოიწვია მუშები წარმოების ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

უჯრედმა თავი დამკვრელად გამოაცხადა იანვრის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის და 1931 წ. საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების საქმეში. უჯრედმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია პირველი და მეორე სტამბის უჯრედები.

მუშკორი მახაბელი.

კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის, სანარდო სისტემის გატარების შესახებ

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის დადგენილება

კოლმეურნეობათა შრომის ნაყოფიერების აწევის და მოსავლიანობის გადიდების, აგრეთვე არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცების საქმეში შრომის სანარდო ორგანიზაციის პრაქტიკამ ნათლად დაამტკიცა ყველა უპირატესობანი შრომის ორგანიზაციის დანარჩენ სისტემებთან შედარებით.

ამიტომ სანარდო მუშაობის წესი, როგორც არსებულ კოლმეურნეობათა განმტკიცებისა და შემდგომი მშენებლობის ერთ-ერთი მთავარი ღონისძიება, საგაზაფხულო თესვის მოსამზადებელ პერიოდში დაუყოვნებლივ უნდა იქნეს დაყვანილი თვითეულ კოლმეურნეობამდე და კოლმეურნემდე, როგორც შრომის ორგანიზაციის საუკეთესო მეთოდი.

ამ ამოცანის პრაქტიკულად განხორციელება უნდა ხდებოდეს სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გაშლით საკოლმეურნეო სისტემის ყველა განაყოფებში.

ზემოდ აღნიშნულის მიხედვით საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობა წინადადებას აძლევს რაიკოლმეურნეობათა კავშირებს და ყველა სახის კოლმეურნეობების ხელმძღვანელ ორგანოებს განახორციელონ ადგილებზე შემდეგი ღონისძიებანი:

სამუშაოს დანორმვა და შეფასება

1) კოლმეურნეობათა წევრების შრომის ანაზღაურება სანარდო სისტემის დროს უნდა ემყარებოდეს მომუშავის მიერ შესრულებულ სამუშაოს ხარისხსა და რაოდენობას; სამუშაოს შეფასება კი უნდა ხდებოდეს გამომუშავების ნორმებისა და შესრულებულ სამუშაოს ხასიათის (მსუბუქი, საშუალო, მძიმე და კვალიფიციური) გათვალისწინებით.

2) სამუშაოთა შეფასება, როგორც წესი, უნდა ხდებოდეს შრომა-დღეებში, დაუშვებელია სამუშაოთა შეფასება ფულად ნიშნებში (მანეთი და კაპეიკი).

3) თვითეულ კოლმეურნეობაში შედგენილ უნდა იქნეს ძირითად დარგებზე სამუშაოების შეფასებითი სია სას.-სამ. დარგების მიხედვით.

4) სამუშაოთა შეფასება უნდა ხდებოდეს შემდეგი ორი წესით:

ა) შესრულებულ სამუშაოს ფართობის მიხედვით—მაგალითად: ერთი ჰექტრის მოხვნა, ჰექტრის დაბარვა, ჰექტრის გათოხნა და სხ.

ბ) გამომუშავებულ პროდუქციის მიხედვით—მაგალითად: პურის გალეწვა ცენტნერებით, ჩაის მოკრეფა კილოგრამობით, ბამბის მოკრეფა კილოგრამობით და სხვ.

5. სამუშაოთა შეფასება უნდა ხდებოდეს შესრულებულ სამუშაოთა ხასიათის მიხედვით, ე. ი. მძიმე სამუშაოს შეფასება უნდა განსხვავდებოდეს კვალიფიციურ სამუშაოსგან და მსუბუქი სამუშაოსი კი—საშუალო სამუშაოსაგან; ამის და მიხედვით ყველა სამუშაოები დაიყოფა ჯგუფებად და შეფასდება შრომა-დღეებში შემდეგნაირად:

მსუბუქი	¾ შრომადღე
საშუალო	1 „
მძიმე	1¼ „
კვალიფიციური	1½ „

სამუშაოს შეფასება, რომელიც მოითხოვს კვალიფიციურ შრომას არ უნდა აღემატებოდეს 100 პროცენტზე მეტად მსუბუქ სამუშაოს შეფასებას. სამუშაოთა დანორმვისა და შეფასების სიადვილისათვის მოგვყავს შეფასებითი სიის ნიმუში:

სამუშაოთა დასახელება	გამომუშ. ნორმა ათსაათიან სამუშაო დღეში	სამუშაოს დახასიათება ხასიათის მიხედვით	დღიური ნორმის შეფასება შრომა დღეებ.		სამუშაოთა ერთეულის შეფასება შრ. დღეებში		
			მთელი შრომა დღე	შრომის დღის მეასედი	სამუშ. ერთეული	მთელი შრომა დღე	შრომის დღის მეასედი
1. ერთ-სახნისიანი გუთნით მ. ხვნა/-ღმ. საქ. პირობებში ცოცხალი გამწევი ძალით	0,5 ჰექტ.	მძიმე	1	25	1 ჰექტ.	2	50
2. დაბარვა 10 ვერშოკის სიღრმეზე ჩაისათვის	8 კვ. საჟ	„	1	25	1	343	75
3. ღორების მოვლა კვებით	30 თავი	მსუბუქი	—	75	—	—	—
4. ნაკელის მიზიდვა 2 კილომ. მანძილზე	4 ურემი	საშუალო	1	—	—	—	—
5. საფუტკრის მოვლა	30 სკა	კვალიფ.	1	5	—	—	—
6. ცხვრის გაკრეჭა	25 ცხვარ.	მძიმე	1	25	—	—	—
7. ჩაის ფოთლის მოკრეფა	12 კილ.	მსუბუქი	—	75	—	—	—
8. კომბოსტოს დარგვა	1200 ძირი	საშუალო	1	—	—	—	—
9. ტრაქტორით მოხვნა	2 ჰექტ.	კვალიფ.	1	5	1 ჰექტ.	—	75
0 ცოცხ გამწ. ძალით სათესით თესვა	2 ჰექტ.	მძიმე	1	25	1 ჰექტ.	—	0,6

6. ამ ცხრილის განმარტებისათვის მოგვყავს მაგალითი:

1) გამომუშავების ნორმების თანახმად ერთ კოლმეურნეს შეუძლია დაბაროს 8 კვ. საჟენი ათ საათიან სამუშაო დღეში, რაც შეფასებულია 1,25 შრომა-დღით, ხოლო ერთი ჰექტარი შეფასდება 343,75 შრომა-დღით (ჰექტარი—2.200 კვ. საჟ.: 8 1,25) შეფასების ასეთი წესი საჭიროა იმისათვის, რომ თვითეულ კოლმეურნე ადვილად გაერკვიოს რამდენი შრომა-დღე ჩაეწერება მას გარკვეულ სამუშაოს შესრულებისათვის.

7. სანარდო მუშაობის გამოყენება და სამუშაოთა შეფასება საწარმოებში (ყველ-კარაქის დამამზადებელი ქარხნები, წისქვილი, სამჭედლო და სხვ.) უნდა ეყრდნობოდეს გამომუშავებულ პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის აღრიცხვას, მაგალითად:—გამომუშავებული კარაქის თვითეული კილოგრამის, დაჭედილი ხარების და ცხენების რაოდენობის კვალობაზე და სხვ.

8. დარაჯის, მოანგარიშის, კულტმუშაკის და სხვ. სამუშაო, რომელზედაც ნორმის დაწესება შეუძლებელია შეფასებულ უნდა იქნას ნამუშევარი დღეების მიხედვით და მიეკუთვნება რომელიმე დანორმილ სამუშაოთა ჯგუფს (კვალიფიციური, მძიმე, საშუალო და მსუბუქი).

გამომუშავების ნორმების შედგენის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ შემდეგი გარემოებანი:

ა) რა თვისებისაა დასამუშავებელი ნიადაგი;

ბ) რამდენად დაშორებულია მინდორი, ვენახი, ჩაის პლანტაცია და სხვა კარმიდამოს ან სოფელს;

გ) რამდენად მექანიზაციაქმნილია მეურნეობა;

დ) რამდენად გამოსადეგია ინვენტარი მუშაობისათვის და რა მდგომარეობაშია იგი.

ე) როგორია კოლმეურნეთა კვალიფიკაცია და სხვ.

9.—გამომუშავების ნორმების განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ საუკეთესო დამკვრელი კოლმეურნის შრომის ნაყოფიერება.

10.—სამუშაოთა შესრულების პროცესში უნდა ვადევნოთ თვალყური შედგენილ ნორმების სისწორეს და იმ შემთხვევაში, თუ ნორმები მცირეა, ან გაზვიადებულია უნდა მოხდეს მათი გადასინჯვა და შესწორება.

11. გამომუშავების ნორმების დაწესება და საჭირო შემთხვევაში შესწორება უნდა ხდებოდეს კოლმეურნეობათა საწარმოო თათბირებზე.

ბრიგადების შესახებ

1) სანარდო სამუშაოთა შესრულების საუკეთესო ფორმებად უნდა ჩაითვალოს:

ა) ინდივიდუალური,

ბ) ჯგუფური და

გ) ბრიგადული.

2) ბრიგადები შეიძლება მოეწყოს შემდეგი სახის:

ა) გაერთიანებული (კომბინიური), როდესაც ერთი და იგივე ბრიგადა მთელ რიგ სას.-სამ. სამუშაოებს ასრულებს—მაგალითად: ხვნა, თესვა, ფარცხვა, მოსავლის აღება, გალეწვა და სხვ.

ბ) სპეციალიზაციაქმნილი, როდესაც ბრიგადა ასრულებს ერთ-ერთ სას.-სამ. სამუშაოს—მაგალითად:—მიწის დაბარვა, ჩაის ფოთლის მოკრეფა, ვენახის შეწამვლა და სხვ..

შენიშვნა: ისეთი ბრიგადების მოწყობა, რომელნიც მიმაგრებულნი არიან ერთ განსაზღვრულ ნაკვეთზე და ბრიგადის შრომის ანაზღაურება დამოკიდებულია ამ ნაკვეთის შემოსავალზე, ე. ი. ბრიგადების მოწყობა სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე, უნდა ჩაითვალოს ყოვლად დაუშვებლად.

3. სამეურნეო მიზანშეწონილობის და კოლმეურნეთა კვალიფიციური მუშა-ხელის სწორად გამოყენების, აგრეთვე მისი სპეციალიზაციის მიზნით კოლმეურნე მიმაგრებულ უნდა იქნეს ისეთ სამუშაოზე, რომელიც მოითხოვს კვალიფიციურ შრომას, დახელოვნებას და გამოცდილებას. ასეთია:

ა) **მემინდვრეობაში:** მუშაობა ტრაქტორზე, სათეს, სათიბ, ძნის შემკონავ, სალეწ მანქანებზე, მემანქანეები და მზეთავები, ძნის მიმწოდებლები და სხვა.

ბ) **მეცხოველეობაში**—მეჯინიბეები, მეჯოგეები, მწველავი, მეღორე, მეფრინველე, მეყველე და სხვა.,

გ) **სახელოსნოებში**—ზეინკალი, მჭედელი, დურგალი, მეუნაგირე და სხვა.

დ) დანარჩენ სამუშაოებზე—დარაჯი, მეკუჭნავე, მეურმე და სხვა.

4. ბრიგადის სიდიდე საქართველოს პირობებში საერთოდ—20-25 კაცს არ უნდა აღემატებოდეს. დასაშვებია გადიდება განსაკუთრებულ შემთხვევებში, თუ ამას მოითხოვს ნაკვეთის სიდიდე და სამუშაოს ხასიათი.

5. მუშაკთა შერჩევა ბრიგადებში უნდა ხდებოდეს, როგორც ნებაყოფლობით, ისე გამგეობის მიერ დანიშვნის წესითაც.

6. იმ სას.-სამ. დარგებში, სადაც შეიძლება გამოყენებულ იქნას ქალთა შრომა (მეაბრეშუმეობა, მებოსტნეობა, მეფრინველეობა, ჩაის მოკრეფა და სხვ) უნდა მოეწყოს ქალთა ცალკე ბრიგადები.

7. შრომის მაღალი ნაყოფიერების უზრუნველსაყოფად და სამუშაოთა შესრულების აღრიცხვის სისწორისათვის ბრიგადები შეიძლება განაწილდეს ჯგუფებად, რომელნიც თავის მხრივ შეადგენენ ბრიგადის ნაწილებს; ბამბის მკრეფავი ბრიგადა შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად:—მკრეფავთა ჯგუფი, საწყობში გადამზიდავთა ჯგუფი და სხვა.

გეგმა-განწესის შედგენა უნდა სწარმოებდეს შემდეგი ფორმით:

სამუშაოთა დასახელება	იარაღ-მანქ. რაოდენობა	საჭიროა		ნაყოფიერება ათ-საათ. სამუშ. დღ.	სამუშ. შეფას. (შრომ. დღ.)		[illegible]
		მუშაკები	გამწევი ძალა		1 ჰექტ. შ. ფას.	მთელი ფართ. შეფას.	
1	2	3	4	5	6	7	8
ხვნა ტრაქტორით	2	2	—	4 ჰექტ.	0,75	15	20 ჰექ
ტრაქტორისათვის დახმარების გაწევა	—	1	—	—	0,25	5	20 „
ფარცხვა	4	8	16 ხარი	4 ჰექტ.	2	40	20 „
თესვა მწკრივად, მთესავი მანქანით	2	4	12 „	4	1,25	25	20 „
სულ..	—	15	28	—	—	85	
1. თესლის, წყლის, საწ. მასალის, მიზიდვა სამ კილომეტრის მანძილზე	1 ურ.	1	2 ხარი	3 ურ.	1	2	6 ურ.
2. საჭმლის დამზადება	—	1	—	—	—	5	—
სულ..	—	17	—	—	—	92	—

ასეთი წესით განწესის გეგმა საშუალებას იძლევა თვითეულ კოლმეურნემ წინდაწინ იცოდეს რა ევალება მას, რა ვადაში უნდა შეასრულოს დავალება და რამდენი შრომა—დღე დაეწერება მას შესრულებულ სამუშაოს რაოდენობისა, ხარისხისა და ხასიათის მიხედვით.

მოგვყავს კიდევ მაგალითი:

ვსთქვათ კოლმეურნეობამ უნდა გაკრიჭოს—1000 ცხვარი. დაწესებულ ნორმების თანახმად ერთ კოლმეურნეს ათ-საათიან სამუშაო დღეში შეუძლია გაკრიჭოს 25 ცხვარი. დავუშვათ შეფასებითი სიის თანახმად, ცხვრის გაკრეჭა ითვლება მძიმე სამუშაოდ, რომელიც შეფასებულია 1¼ შრომა-დღედ. დავუშვათ, რომ ამ სამუშაოს შესრულებისათვის გამოიყო სპეციალური ბრიგადა ათი კაცის შემადგენლობით; მთელი ბრიგადის და თვითეული მისი წევრის მუშაობა შეფასდება: მთელი ბრიგადის 1.000:25=40. 1,25=50 შრომა-დღეს, ხოლო თვითეულ კოლმეურნეს მოუწევს 50:10=5 შრომა-დღეს.

ამ მაგალითის თანახმად მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ იმ ბრიგადაში, სადაც არ არიან შრომის დისციპლინის დამრღვევი პირები და ყველა წევრები შეთანხმებულად მუყაითად მუშაობენ და ერთსულოვნად კეთილ-სინდისიერად ასრულებენ სამუშაოს ერთმანეთისათვის შრომითი დახმარების გაწევით, შემოღებულ უნდა იქნეს სანარდო მუშაობის ბრიგადული სისტემა, ე. ი. ასეთ შემთხვევაში შეფასდება მთელი ბრიგადის ნამუშევარი დამოუკიდებლად იმისა, თუ ვინ რამდენს შეასრულებს და შრომა-დღეები ბრიგადის ყოველ წევრს თანაბრად ჩაეწერება.

7. ბრიგადის სათავეში ინიშნება ბრიგადის ხელმძღვანელი (ბრიგადირი), რომლის მოვალეობასაც შეადგენს:

ა) მიიღოს სამუშაოთა გეგმა-განაწესი, რომელიც უნდა გააცნოს ბრიგადის წევრებს;

ბ) აწარმოოს შესრულებულ სამუშაოს აღრიცხვა.

შენიშვნა: შრომის აღრიცხველათვის ბრიგადაში შეიძლება გამოყოფილ იქნეს სპეციალური აღმრიცხველი, რომელიც იმუშავებს ბრიგადის ხელმძღვანელობით და პასუხისმგებლობით;

2) არც ბრიგადირი და არც აღმრიცხველი არ შეიძლება განთავისუფლებულ იქნას ფიზიკური შრომისაგან, ისინი ბრიგადის დანარჩენ წევრების თანაბრად ეწევიან ფიზიკურ შრომას.

გ) ბრიგადირი პასუხისმგებელია იმ იარაღ მანქანების დაუზიანებლად შენახვისათვის, რომელიც სამუშაოდ მიცემული აქვს ბრიგადას—ბრიგადირის წინაშე თავის მხრივ პასუხისმგებელია ბრიგადის თვითეული წევრი.

დ) ბრიგადირი პასუხისმგებელია სამუშაოს თავის დროზე კეთილ-სინდისიერად შესრულებისათვის;

8. სამუშაოთა დაწყების წინ თვითეულ ბრიგადისათვის უნდა შესდგეს გეგმა-განწესი, რომელშიაც გაითვალისწინება შემდეგი:

ა) რომელი და რა ზომის ნაკვეთი უნდა დამუშავდეს;

ბ) ბრიგადის შემადგენლობა.

გ) ბრიგადისათვის გამწევი ძალა და სას.-სამ. ინვენტარი;

დ) სამუშაოთა შესრულების ვადა;

ე) მთელი ბრიგადის და თვითეული წევრის მუშაობის შეფასება შრომა-დღეებში.

დაჯილდოება

1) **დაჯილდოება:**

ა) ყველა კოლმეურნეობებში კოლმეურნეთა დაჯილდოებისათვის უნდა შეიქმნას გადაირიცხება დასაჯილდოებელ ფონდში;

შენიშვნა: ამ მიზნით საზოგადოებრივი ფონდის (არანაკლებ) ერთი-მეხუთედი გადაირიცხება დასაჯილდოებელ ფონდში:

ბ) დაჯილდოების სიდიდე და წესი ყოველ ცალკე შემთხვევაში განხილულ უნდა იქნეს კოლმეურნეობათა საწარმოო თათბირებზე;

გ) ჯილდოს გაცემა უნდა ხდებოდეს საჯაროდ და ამისათვის უზრუნველყოფილ იქნეს მოზიდვა კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ გლეხთა ფართე მასის.

2) **დაჯილდოება უნდა ხდებოდეს:**

ა) გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისა;

ბ) გამომუშავების ნორმების გადაჭარბებისა;

გ) საწარმოო დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისა;

დ) საწვავ მასალის, საკვების და სხვა ეკონომიისა;

ე) ცხოველების წესიერად მოვლისათვის და ბინების სუფთად შენახვის და

ვ) საზოგადოებრივ ორგანიზაციებში ფართო და აქტიურ მონაწილეობის შემთხვევებში.

ზეგავლენის ზომები

საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომები გამოყენებულ უნდა იქნეს იმ კოლმეურნეების მიმართ, რომლებიც არღვევენ შინაგან განაწესს და შრომის დისციპლინას. ზეგავლენის ზომები შემდეგია:

ა) საზოგადოებრივი გაკიცხვა (საერთო კრებაზე, გაზეთის, საამხანაგო სასამართლოს საშუალებით და სხვა).

ბ) საყვედური გამგეობის სახელით;

გ) დაბალი შეფასების სამუშაოზე გადაყვანა;

დ) სამუშაოზე არ დაშვება განსაზღვრული ვადით და

ე) გაუსწორებელთა კოლმეურნეობიდან გარიცხვა.

4 დასჯის წესი, ისეთსავე საზოგადოებრივ ხასიათს უნდა ატარებდეს, როგორც საუკეთესო კოლმეურნეთა დაჯილდოება;

5. ქონების განზრახ გაფუჭებისა და მავნებლობისათვის დამნაშავენი კოლმეურნეობიდან გარიცხვის გარდა მიცემულ უნდა იქნან პასუხისგებაში.

შრომის აღრიცხვა

შრომის ზუსტად აღრიცხვის გარეშე შეუძლებელია კოლმეურნეობის მოსავლის და შემოსავლის სწორად განაწილება, ამისათვის საჭიროა:

1) ბრიგადის თვითეულ წევრზე დახარჯული შრომა აღირიცხოს იმის და მიხედვით, თუ როგორი ხასიათის, რა რაოდენობის და ხარისხის სამუშაო შეასრულა მან.

2) შრომა-დღეები უნდა აღირიცხოს ტაბელში ყოველდღიურად სამუშაო დღის დასრულებისას და შემდეგ კი შეჯამდეს ხოლმე თვითეულ დეკადაში ერთხელ, ანუ განსაკუთრებულ დაწესებულ ვადებში. ტაბელიდან შრომა-დღეები გადატანილ უნდა იქნეს კოლმეურნეთა საწევრო წიგნაკებში.

3) შრომის აღრიცხვის საქმეში საზოგადოებრივი კონტროლის გასაწევად აუცილებელია ტაბელი გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილას.

საწარმოო თათბირების მუშაობა, სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა

დასახულ ამოცანების გადაჭარბებით შესრულების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საკოლმეურნეო მასის დარაზმვას მათი აქტივობის საფუძველზე შრომის სოციალისტური ფორმების და მეთოდების ფართოდ გამოყენებას. ამისათვის საჭიროა სოციალისტური შეჯიბრება-დამკვრელობა და საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანის წესი ფართოდ გაიშალოს ძირეულ საკოლმეურნეო მასაში.

ამიტომ საქართველოს კოლმეურნცენტრის გამგეობა ავალებს თავის საკოლმეურნეო სისტემის ხელმძღვანელ ორგანოებს:

ა) გამოჰყონ ყველა კოლმეურნეობებში საწარმოო კომისიები და თათბირები, შეადგინონ მათთვის სამუშაო გეგმა იმ ანგარიშით, რომ უკანასკნელთა მუშაობა დაკავშირებულ იქნეს სოფლის საბჭოებთან არსებულ საწარმოო თათბირების მუშაობასთან.

ბ) იმ კოლმეურნეობებში, სადაც გამოყოფილ იქნება სპეციალური ქალთა ბრიგადები, უნდა მოეწყოს მათი ცალკე საწარმოო თათბირები;

გ) საგაზაფხულო თესვა, მოსავლის აკრეფის კამპანია და სხვა სამეურნეო სამუშაოები კოლმეურნეობებში უნდა ტარდებოდეს სოცშეჯიბრების ფართოდ გაშლით. არ უნდა დარჩეს არც ერთი ბრიგადა, კოლმეურნეობა, რაიკოლმეურნეობათა კავშირი სოცშეჯიბრებაში და დამკვრელობაში მონაწილეობის გარეშე.

დ) საწარმოო თათბირებზე აუცილებელია თვითკრიტიკის უფრო მეტად გაძლიერება უარყოფითი მოვლენების აღსაკვეთად მმართველ ორგანოების მუშაობაში.

ე) შემოღებულ იქნეს საუკეთესო დამკვრელების რაიონული შეკრება, სადაც განიხილება შრომის ნაყოფიერების აწევის, სოცშეჯიბრების, შემხვედრი გეგმების შედგენის და სხვა საკითხები.

ვ) სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებანი კოლმეურნეობებს, ბრიგადებს, ჯგუფებს და ცალკე კოლმეურნეებს შორის უნდა იხილებოდეს და მოწმდებოდეს საწარმოო თათბირების სხდომებზე.

ზ) ამ ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტისათვის აუცილებელია მომარჯვებულ იქნას მასიურ მუშაობის ყველა ფორმები და მეთოდები, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კედლ-გაზეთის და ადგილობრივი რაიონული ბეჭდვითი ორგანოების გამოყენებას.

თ) ფართოდ გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივ ბუქსირზე აყვანის მეთოდი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩამორჩენილი კოლმეურნეობა გაუტოლდეს მოწინავე კოლმეურნეობას და ამით მივაღწიოთ საკოლმეურნეო მშენებლობის საერთო გაძლიერებას

კ) შრომის სოციალისტურ ფორმების და მეთოდების სისტემატიურად გამოყენებისათვის, აუცილებელია ჩაბმულ იქნენ ამ საქმეში სოფლად მომუშავე ყველა კულტურულ-განმანათლებელი ძალები (მასწავლებლები, აგრონომები, ექიმები და სხვ.).

ლ) შემოღებულ იქნეს სოცშეჯიბრების ხელშეკრულების გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულების სისტემატიური გამოკვლევა-შემოწმება და ყველა მიღწევების და დეფექტების ადგილობრივ და ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნება.

კოლმეურნეობათა მუშა-ხელის გარე სამუშაოზე გასვლა

კოლმეურნეობათა მუშა-ხელის გარე-სამუშაოზე გეგმიანად და მოწესრიგებულად გასვლა ერთ-ერთი ძირითადი საკითხია სახალხო მეურნეობის მუშა-ხელით მომარაგების საქმეში. ამასთანავე იგი წარმოადგენს როგორც კოლმეურნეებისათვის, ისე კოლმეურნეობისათვის დამატებით შემოსავლის წყაროს.

ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეთა, გარე-სამუშაოზე ორგანიზაციულ გასვლას, როგორც მუდმივი ისე სეზონურ სამუშაოებზე (ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა, რიონჰესი, ხე-ტყის დამზადება, ჩაის საბჭოთა მეურნეობები, ბამბა და სხვ.).

1. თვითეულ კოლმეურნეობაში წლიური საწარმოო გეგმის საფუძველზე უნდა შესდგეს მუშა-ხელის და სას.-სამ. იარაღ-მანქანების გამოყენების კალენდარული გეგმა, რათა თავისუფალ დროზე შესაძლებელ იქნეს მათი მეზობელ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ინდივიდუალურ მეურნეობებში გამოყენება.

2. სასტიკად უნდა იქნეს დაცული წესი გარე-სამუშაოზე გასულ კოლმეურნეებისათვის განსაზოგადოებული, მკვდარი და ცოცხალი ინვენტარის მიცემის შესახებ.

3. სასტიკად აღკვეთილ იქნას გარე-სამუშაოზე გამსვლელი კოლმეურნეების ხელფასიდან მაქსიმალური პროცენტული ანარიცხების მოთხოვნის შემთხვევები და დაწესდეს ანარიცხის მინიმუმი 2-5 პროცენტამდე.

4. გარე-სამუშაოზე გასვლის საუკეთესო ფორმად ძირითადად მიღებულ იქნეს ბრიგადული და ჯგუფური წესი, აგრეთვე მისაღებად ჩაითვალოს ინდივიდუალურად გასვლაც; ამისათვის საჭიროდ იქნეს ცნობილი სათანადო ხელშეკრულებების დადება სამეურნეო ორგანოებთან შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების შემწეობით.

მოსავლისა და შემოსავლის განაწილება შრომა - დღეების მიხედვით

1) მოსავლის და შემოსავლის განაწილებაში დღემდე საგრძნობლად გავრცელებული წესები:—მჭამელთა, კომლთა, განსაზოგადოებულ მიწის, შენატანი პაის და სხვა მიხედვით სასტიკად აკრძალულია.

2) მოსავლის და შემოსავლის განაწილება, როგორც სავალდებულო წესი, ყველა სახის კოლმეურნეობებში უნდა ხდებოდეს მხოლოდ დახარჯულ შრომის, ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

3) მთელი მოსავლიდან, აგრეთვე განსაზოგადოებული პროდუქტიულ პირუტყვის შემოსავლიდან 5 პროცენტიანი ანარიცხი უნდა განაწილდეს კოლმეურნეებს შორის პროპორციულად მათ მიერ განსაზოგადოებულ ქონებისა, ხოლო განსაზოგადოებულ მუშა-საქონლის ღირებულებაზე ამ ფონდიდან უნდა მიეცეს ორჯერ მეტი, ვიდრე დანარჩენ განსაზოგადოებული ქონების ღირებულება.

მთლიანი შემოსავლიდან და მრავალ-წლიან ნარგავების მოსავლიდან 10 პროც. უნდა განაწილდეს იმ კოლმეურნეებს შორის, რომელთაც შეიტანეს მრავალწლიანი ნარგავები კოლმეურნეობის განსაზოგადოებულ ფონდში, განაწილება უნდა მოხდეს პროპორციულად განსაზოგადოებულ ნარგავების ღირებულებისა.

4) გამგეობის წევრებს, ცალკე დარგების ხელმძღვანელებს და ბრიგადირებს (კოლმეურნეობის წევრები) არ ეძლევათ მტკიცე ხელფასი, არამედ ისინი მონაწილეობას ღებულობენ მოსავლის და შემოსავლის განაწილებაში მათ მიერ ნამუშევარი შრომა-დღეების მიხედვით. მათი შრომა ფასდება შრომა-დღეებში ისე, როგორც დანარჩენი კოლმეურნეების შრომა. შრომა-დღეების რაოდენობა დაწესდება კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით.

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობა

სამრეწველო საქონელი ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავეთათვის

დამკვრითი ერთთვიურის ჩამტარებელი შტაბის დადგენილება

ხე-ტყის დამზადების დამკვრითი ერთთვიური კამპანიის წარმატების და გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, აგრეთვე მუშა-ხელის წასახალისებლად, ერთთვიურის ჩამტარებელმა შტაბმა, რომელსაც ამხ. გ. ყურულაშვილი თავმჯდომარეობს, დაადგინა:

იმ მუშებს, რომლებიც თავიანთ სამუშაო ნორმებს შეასრულებენ ას პროცენტზე მეტი რაოდენობით, ხელფასის ანგარიშში მიეცემათ სამრეწველო საქონელი. ის მუშები, რომლებიც ნორმებს შეასრულებენ 100 პროცენტიდან 110 პროცენტამდე, მიიღებენ ხელფასის 10 პროცენტის საფასურ სამრეწველო საქონელს. 110 პროცენტით ნორმის შემსრულებლები მიიღებენ 11 პროცენტის საქონელს, ხოლო ნორმის 120 პროცენტით შემსრულებლებს მიეცემათ ხელფასის 12 პროცენტათ ღირებული სამრეწველო საქონელი.

ამასთან ერთად შტაბმა შეიმუშავა ხე-ტყის დამზადებაზე მომუშავეთა დღიური ხელფასის მტკიცე განაკვეთები. ხე-ტყის დამზადება იწარმოებს ნარდი სამუშაოების სახით, მაგრამ იმ ვარაუდით, რომ საშუალო დღიური ხელფასი მაგარი ჯიშის ხეების მჭრელებისათვის არ იქნეს 3 მან. 57 კაპიკზე ნაკლები, რბილი ჯიშის ხეების მჭრელებისათვის 3 მან. 5 კაპ., ხის მთლელებისათვის 3 მან. 57 კაპ., ამდენივე მიეცემათ მზიდავებს და სხვ.

ის მუშები, რომლებიც ნორმებს 100 პროცენტზე ნაკლები რაოდენობით შეასრულებენ, ხელფასს მიიღებენ ფულად და მათ ხელფასის ანგარიშში სამრეწველო საქონელი არ დაურიგდებათ.

სავენახე მიწის დამუშავება ტრაქტორებით ვაშევი საბჭოთა მეურნეობაში

საბჭოთა საქართველოს ათი წლის თავის გამო

მისალმებანი

საკავშირო კომუნისტური აკადემიის პრეზიდიუმისაგან

მოსკოვი, 27 თებერვალი. საკავშირო კომუნისტური აკადემიის პრეზიდიუმი ძმურ სალამს უგზავნის საქართველოს მშრომელებს საბჭოთა საქართველოს 10 წლის თავის დღეს. საქართველო, სადაც მენშევიკები — ბურჟუაზიული დიქტატურის აპოლოგეტები წარსულში და ახლა— საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციონისტული ომის მოწყობის აქტიური მონაწილენი, ცდილობდნენ მშრომელთა დამონების და ეროვნული შუღლის გაღვივების გზით შექმნათ ქართული ბურჟუაზიის სახელმწიფო,—განვლილი 10 წლის განმავლობაში სწორი ლენინური ნაციონალური პოლიტიკის წყალობით გადაიქცა სოციალიზმის შენებლობის ქვეყნად. საქართველოს მუშათა კლასი და ღარიბი და საშუალო გლეხობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და ამიერ-კავკასიის და მთელი საბჭოთა კავშირის ყველა ერებთან ერთად იყენებენ თავისი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეს და სოციალისტური ეკონომიკის საფუძველს ქმნიან. კომაკადემიის პრეზიდიუმი ღრმად დარწმუნებულია, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელები, მარქსისტულ-ლენინური თეორიის ნაცადი იარაღით აღჭურვილნი, პარტიის და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ხუთწლიან გეგმას შეასრულებენ ოთხ წელში, მრეწველობის ძირითად დარგებში კი—3 წელში.

გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს—სოციალიზმისათვის მებრძოლთა ერთ-ერთ მოწინავე რაზმს!

გაუმარჯოს საქართველოს ბოლშევიკების კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ)!

გარდა ამისა, საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტის, საქ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და საქ. სახკომსაბჭოს სახელზე მიღებულია მისასალმებელი დეპეშები: ლენინაკანის ქალაქის საბჭოს საზეიმო სხდომისაგან, ბაქოს საქარხნო-საფაბრიკო რაისაბჭოს პლენუმის პრეზიდიუმისაგან, ა.-კ. თავდაცვა-ავიაქიმის გამგეობის პრეზიდიუმისაგან, ბაქოს რკინის გზის გადაღმა რაიონის რაისაბჭოს პლენუმისაგან, კომუნისტური პარტიის ცენტრალური აზიის კომიტეტისაგან, სომხეთის 2.000 დამკვრელ საბ. მეურნეობის მუშების, ტრაქტორისტების და სპეციალისტების შეკრებისაგან, მოსკოვის გეოდეზიურ ინსტიტუტის ამიერ-კავკასიელ სტუდენტებისაგან, საკავშირო მთავრობასთან არსებულ ა.-კ. მთავრობის წარმომადგენლობისაგან, სტალინგრადის მეტალურგიულ ქარხანაში პრაქტიკაზე მყოფ ა.-კ. სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტის სტუდენტებისაგან, აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმისაგან, სოხუმის ქალაქის საბჭოს, პარტიულ, კომკავშირულ, პროფესიონალურ ორგანიზაციებისა და წითელი არმიის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომისაგან, ბოგდანოვკის რაიონის კოლმეურნეთა პირველ ყრილობისაგან, აფხაზეთის პროფკავშირების საბჭოსაგან, ვანო ალიხანაშვილისაგან, ჩხოროწყუს რაიონის პარტიულ კომიტეტისაგან, აბჭესის მუშათა კომიტეტისაგან, ჩხარის რაიონის კომკავშირელ და უპარტიო ახალგაზრდობის რაიონული კონფერენციისაგან, საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტისა და მუშფაკის მსმენელთა და თანამშრომელთა საერთო კრებისაგან, კასპის რაიონის მუშებისა და გლეხების გაერთიანებულ მიტინგისაგან, სტალინისის საბავშო სახლის ბავშვებისა და თანამშრომლებისაგან, ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეთა ყრილობისაგან, ლაგოდეხის რაიონის საბჭოს საზეიმო სხდომისაგან, ბაღდათის რაიონის კოლმეურნეთა მეორე ყრილობისაგან, ძველი რევოლუციონერებისაგან, გურჯაანის მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო სხდომისაგან.

სრ. საკავშირო სარეწაო კოოპერაციის საბჭოს პლენუმისაგან, ზანგეზურის რაიაღმასკომის საზეიმო სხდომისაგან, ბაქოს ავტომობილების შემკეთებელ სახელოსნოს მუშებისაგან, წალკის რაიონის გლეხობის საზეიმო მიტინგისაგან.

საბჭოთა საქართველოს ათი წლის თავის აღსანიშნავად

ამხ. სტალინის სახელობის ინსტიტუტი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების ათი წლის თავის აღსანიშნავად მოწვეულმა საქართვ. საინჟინერო-საამშენებლო ინსტიტუტის სტუდენტთა, ლექტორების, პროფესორების და მუშა-მოსამსახურეთა საერთო საზეიმო კრებამ დაადგინა ინსტიტუტს ეწოდოს ლენინის საუკეთესო მოწაფის, სოციალიზმისთვის შეუდრეკელ მებრძოლის, რევოლუციის ქარ-ცეცხლში გამობრძმედილი, მსოფლიო მუშათა კლასის საუკეთესო დარაჯის, ბოლშევიკური პარტიის ბელადის ამხ. სტალინის სახელი.

ამხ. ლ. სუხიშვილის სახელობის თეატრი

საქართველოს გასაბჭოების 10 წლის თავის აღსანიშნავად დუშეთში საძირკველი ჩაეყარა ამხ. ლადო სუხიშვილის სახელობის სახალხო თეატრს.

ქუთაისი, 25 თებერვალი. საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავის აღნიშვნასთან დაკავშირებით ქუთაისის საბრეშუმო ინდუსტრიალურ ტექნიკუმს ეწოდა დამსახურებულ რევოლუციონერის ამხ. ლადო სუხიშვილის სახელი.

ზეიმი პროვინციაში

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 10 წლის თავის დღესასწაულისთვის ქუთაისი ადრევე შეუდგა სამზადისს. უკვე 23-24 თებერვალს ქალაქი მორთო წითელი დროშებით, მწვანეულით, გირლიანდებით. ყველა თვალსაჩინო ალაგზე გაიკრა ლოზუნგები, პლაკატები, გაძლიერდა ქალაქის ილუმინაცია.

24 თებერვლის საღამოს 6 საათია. ქალაქის თეატრი გაჩირაღდნებულია, თეატრში შესავალ კარებთან აურაცხელ ხალხს მოუყრია თავი, ყველა ცდილობს შიგ შესვლას. შედიან რიგრიგობით. დარბაზი თანდათან ივსება. 7 საათზე აიხადა ფარდა. საზეიმოთ მორთულ სცენას ამშვენებს მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ვ. ი. ლენინის წითელ დროშებში ჩაფლული ბიუსტი. ვებერთელა სურათები **სტალინის, მოლოტოვის, ვოროშილოვის, კალინინის, მახარაძის...**

გაისმის ტაში და ინტერნაციონალი. ამხ. დ. შეროძე ხსნის რა საზეიმო სხდომას, თავის სიტყვაში ეხება თუ რა მიღწევები აქვს ქუთაისს ათი წლის მანძილზე.

ვრცელი მოხსენებით საბჭოთა ხელისუფლების მიღწევების შესახებ გამოდის ამხ. დ. თხილავა.

საზეიმო სხდომას ესალმება რიონჰესის დამკვრელი ბრიგადა ამხ. აშორდიას მეთაურობით, რომელიც აცნობს დამსწრეებს, რომ რიონჰესის სამუშევრებზე გვირაბი № 2 გათვალისწინებულზე ერთი თვით ადრე დამთავრდა, რითაც აღმშენებლობას მიეცა 25 ათასი მანეთის ეკონომია.

მისალმებით გამოდიან: ბარიტის ქარხნიდან ამხ. აბულაძე; № არტ. პოლკიდან წითელი არმიელი ბირკოვი; კოოპერაციიდან ბარათელია, წითელი ჯარის ქართული ნაწილებიდან კასკეიძე, კოლმეურნეობის კავშირიდან ნ. უნგიაძე და სხვ.

დაბოლოს დამსწრეთათვის დაიდგა პიესა „სიგარეტ"-ი.

25 თებერვალია, დილის 9 საათი. ინტერნაციონალის ქუჩიდან პარიზის კომუნის მოედნამდე, წერეთლის და 905 წლ. რევოლუციის ქუჩებზე ნელ-ნელა მიდიან მშრომელთა კოლონები... 12 საათზე პარიზის კომუნის მოედანი ვერ იტევს ზღვა ხალხს ჯარის ნაწილებთან ერთად. აღლუმს იღებს დივიზიის მეთაურები. ალაძე, კვირაია, ადგილობრივ ორგანიზაც. წარმომადგენლებთან ერთად... გაისმის ვაშა... გუგუნებენ სასულე ორკესტრები ინტერნაციონალს.. და ამ საერთო სადღესასწაულო ყიჟინის დროს გაისმის ზარბაზნის გრიალი...

აღლუმის შემდეგ დემონსტრანტთა კოლონებმა ჩაიარეს ქალაქის ბაღის წინ, სადაც სპეციალურად გაკეთებულ ტრიბუნიდან მათ ესალმებოდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლნი..

1 საათიდან—3 საათამდე კოლონების სვლა არ შეჩერებულა.

საღამოს ყველა კლუბებში, კინოებში, თეატრებში... მოეწყო უფასო გასართობები..

ვ. ლ—ი.

ახალი მიღწევები

ზუგდიდი, 27 თებერვალი. (საქ. კორ.). 25 თებერვალს ზუგდიდში გაიხსნა აგურის უდიდესი ქარხანა, რომელიც გამოუშვებს ყოველ გამოშვებაზე 250 ათას აგურს. ქარხანას საზეიმო მიტინგის დადგენილებით ეწოდა **ლავრენტი ქართველიშვილის** სახელობის ქარხანა.

26 თებერვალს გაიხსნა ინგურის რკინის გზის ხიდი და მატარებელი პირველად შევიდა ქალაქ გალში. რკინის გზის სადგურის გახსნას დაესწრო საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხანაგი **ფილიპე მახარაძე.**

შავი ზღვის რკინის გზის მშენებლობა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს.

იზორია.

უზრუნველვყოთ კაპიტალური მშენებლობა საამშენებლო მასალით

(მუშათა ბრიგადის მასალებიდან)

მიმდინარე წელს საქართველოში კაპიტალურ მშენებლობაზე უნდა დაიხარჯოს 185 მილიონი მანეთი. მშენებლობაში ასეთი დიდი თანხის დაბანდება და გათვალისწინებული გეგმის წარმატებით შესრულებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მშენებლობის შეუფერხებელი მომარაგება საამშენებლო მასალებით. გასული წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმა მთლიანად ვერ იქნა შესრულებული და ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იყო საამშენებლო მასალების თავის დროზე მოუმარაგებლობა.

როგორია ამ მხრივ მიმდინარე წლის საამშენებლო სეზონის პერსპექტივები? უზრუნველყოფილია თუ არა კაპიტალური მშენებლობა საჭირო საამშენებლო მასალებით?

ამის გამოსარკვევად აღმშენებელთა კავშირის ცენტრალური გამგეობის მიერ გამოყოფილმა მუშათა ბრიგადამ შეამოწმა კაპიტალური მშენებლობის საამშენებლო მასალებით მომარაგების მდგომარეობა და თავისი დასკვნა გადასცა სათანადო ორგანოებს. ბრიგადის მიერ შემოწმებული ცნობებით, მოთხოვნილებები საამშენებლო მასალებზე მშენებელი ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წლისათვის უმრავლეს შემთხვევაში თავის დროზე გადაეცა საქ. სახ. საგეგმო კომისიას. ამ უკანასკნელმა დეკემბრის ბოლო რიცხვებამდე მიღებული ყველა მოთხოვნები აღრიცხა, შეამოწმა და აუცილებელი ცვლილებების შეტანის შემდეგ გადასცა ა.-კ. საგეგმო კომისიას, აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გამოთხოვილი მასალების გამოანგარიშება ხდებოდა უმაღლესი საზომის მიხედვით და უმრავლეს შემთხვევაში ის არ შეეფერებოდა სინამდვილეში არსებულ მოთხოვნილებებს. ამის გამო მთელ რიგ ორგანიზაციების მიერ პირველად წარმოდგენილი მოთხოვნილებები რეალური არ გამოდგნენ, ხოლო ზოგიერთი ორგანიზაციები შეგნებულად ადიდებდნენ მათთვის საჭირო მასალების რაოდენობას, ამჟამად რეალური მოთხოვნილება საამშენებლო მასალებზე ჯერ კიდევ არა საბოლოო ცნობებით შემდეგ რაოდენობაში გამოიხატება: აგური—132 მილიონი ცალი, ქვა—747.240 კუბომეტრი, სილა და ხრეში—858.066 კუბომეტრი, ცემენტი—638.990 კასრი, კირი—990.057 ტონა, გაჯი და ალიბასტრი—48.110 ტონა, დაუხერხავი ხე-ტყე—225.030 კუბომეტრი, დახერხილი ხე-ტყე 808.198 კუბომეტრი, სახურავი მასალა—980.336 კუბომეტრი, ხარისხოვანი რკინა—12.084 კუბომეტრი, სხვადასხვა რკინეულობა—3.954 ტონა, რკინისა და თუჯის მილები—77.980 ტონა, ლურსმანი—1.748 ტონა, ფანჯრების შუშა—252.118 კუბომეტრი, ზეთი—372 ტონა.

მიმდინარე წლის საწარმოო მაჩვენებლების მიხედვით, ადგილობრივი საამშენებლო მასალის წლიური პროდუქცია შემდეგია: თბილისის საამშენებლო მასალათა ტრესტმა უნდა დაამზადოს: 32 მილიონი ცალი აგური, 77.800 ტონა გაჯი, 44 ათასი კუბომეტრი სილა და ხრეში, 30 ათასი კუბომეტრი დამტვრეული ქვა, 12 ათასი კუბომეტრი მსხვილი ქვა და 1.760 ტონა კირი. საქართველოს საამშენებლო მასალათა ტრესტმა უნდა დაამზადოს: 15 მილიონი ცალი აგური, 8 ათასი ტონა კირი და 50 ათასი კუბომეტრი საამშენებლო ქვა. შინამრეწველთა სარეწაო კოოპერაციამ უნდა დაამზადოს 30 მილიონი ცალი აგური, 5 მილიონი ცალი კრამიტი, 28 ათასი ტონა კირი, 12 ათასი ტონა გაჯი და 17 ათასი კუბომეტრი ხე-ტყე. ადგილობრივმა აღმასკომებმა—27 მილიონი ცალი აგური და 9 მილიონი ცალი კრამიტი.

გარდა ზემოდ-აღნიშნულისა ა.-კ. და საქ. გაერთ. სახ. სამმართველოებისათვის გათვალისწინებულია 15 მილიონი ცალი აგურის მიცემა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საამშენებლო მასალების დამამზადებელ ზოგიერთ ორგანიზაციებს დღემდე არა აქვთ მტკიცე საწარმოო პროგრამა. ამ გარემოებას ისინი იმით ასაბუთებენ, რომ მტკიცე დავალების შესასრულებლად მათთვის არ არის შექმნილი სათანადო პირობები.

მაგალითად, შინამრეწველთა სარეწაო კავშირის სატყეო განყოფილება, რომელმაც უნდა დაამზადოს 17 ათასი კუბომეტრი ხე-ტყე, დღემდის არ შესდგომია მუშაობას და ამის მიზეზად ასახელებს საქ. მიწსახკომის მიერ მოსაჭრელი ტყის ნაკვეთის გამოუყოფლობას.

თბილისის საამშენებლო მასალათა ტრესტი უარს ამბობს შემხვედრი გეგმით გათვალისწინებულ 32 მილიონი ცალი აგურის დამზადებაზე და კმაყოფილდება მხოლოდ 30 მილიონი ცალით. ამ გარემოებას ტრესტი ასაბუთებს სათბობი მასალის ნაკლებობით, მუშა-ხელის ცვალებადობით, დახურული გამაშრობლების უქონლობით და სხვა მიზეზებით.

ორი ახალი მექანიზაციაქმნილი აგურის ქარხნები, რომელთა სიმძლავრე თითოეულის წელიწადში 6 მილიონ ცალ აგურს უდრის, საქართველოს საამშენებლო მასალათა ტრესტის მიერ მიმდინარე წელს დატვირთულია თითოეული მათგანი მხოლოდ 4 მილიონი ცალი აგურით. ნედლი მასალის თავის დროზე მოუმარაგებლობის გამო ერთმა ქარხანამ იანვრის გეგმა შეასრულა მხოლოდ 76 პროცენტით, ხოლო ამჟამად ორივე ქარხანაში მუშაობა შეწყვეტილია.

საამშენებლო მასალების დამამზადებელი მთელი რიგი წვრილი ორგანიზაციები გაურბიან მათ მიერ დამზადებული პროდუქციის მთლიანად გამოჩენას და საქ. ვაჭრობა-მომარაგების სააქციო ამხანაგობასთან ხელშეკრულებების დადებას თავიანთი პროდუქციის ჩაბარების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ საგანზე არსებობს საქ. და ა.-კ. სახკომსაბჭოთა დადგენილებები.

საქ. სახ. საგეგმო კომისიის საამშენებლო სექციის ცნობებით, ადგილობრივი საამშენებლო მასალების დამზადება გათვალისწინებულია შემდეგი რაოდენობით: ქვა—360 ათასი კუბომეტრი, სილა და ხრეში—250 ათასი კუბომეტრი, აგური—119 მილიონი ცალი, კირი —900 ათასი ტონა, გაჯი და ალიბასტრი—29 ათასი ტონა; კრამიტი—14 მილიონი ცალი, სახურავი მასალები—8000 ტონა.

საამშენებლო მასალების დამზადების შედარებითი ზრდის მიუხედავად, მასზე მოთხოვნილება იმდენად გაიზარდა, რომ 1931 წლის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება არსებულ პირობებში ძალზე ძნელია. ამჟამად მშენებლობის სიძნელეები განსაკუთრებით შესამჩნევია შემოზიდულ საამშენებლო მასალების სიმცირის გამო.

თუ ავიღებთ შეფარდებას ადგილობრივ საამშენებლო მასალების დამზადებასა და მოთხოვნილებაზე 1931 წლისათვის, მივიღებთ შემდეგ სურათს:

უნდა დამზადდეს აგური—119 მილიონი ცალი, საჭიროა—132 მილიონი, მოთხოვნილება დაკმაყოფილდება 90 პროცენტით, ქვა უნდა დამზადდეს—360 ათასი კუბომეტრი, საჭიროა—747.940 კუბომეტრი, მოთხოვნილება დაკმაყოფილდება—48 პროცენტით. სილა და ხრეში უნდა დამზადდეს—250 ათასი კუბომეტრი, საჭიროა —858.060 კუბომეტრი, მოთხოვნილება დაკმაყოფილდება 30 პროც., კირი უნდა დამზადდეს 900 ათასი ტონა—საჭიროა 990051 ტონა, მოთხოვნილება დაკმაყოფილდება—90 პროც., გაჯი და ალიბასტრი უნდა დამზადდეს 29 ათასი ტონა, საჭიროა 48.100 ტონა, მოთხოვნილება დაკმაყოფილდება 60 პროც., ამრიგად დაკმაყოფილების საშუალო პროცენტი უდრის 63 პროცენტს. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზემდგომ ორგანოების დირექტივების თანახმად, საამშენებლო ორგანიზაციებმა უნდა აწარმოონ თვით დამზადება ისეთი ადგილობრივი საამშენებლო მასალების, როგორიცაა: სილა, ხრეში, ქვა, გაჯი და სავსებით უნდა უზრუნველვყოთ თავი ხსენებული მასალებით. რაც შეეხება აგურის ნაკლებობას, ასეთი შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნას არტიკის ტუფით.

კაპიტალური მშენებლობის საამშენებლო მასალებით უზრუნველყოფის და გათვალისწინებული გეგმის შესრულების მიზნით, ბრიგადა საჭიროდ სცნობს შემდეგი ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას. საამშენებლო მასალების დამამზადებელ ყველა ორგანიზაციებზე ხელმძღვანელობის გაძლიერების და დახმარების აღმოჩენის მიზნით მობილიზაციაქმნილი უნდა იქნას ყველა დაინტერესებული პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება. გადამჭრელი ღონისძიებები უნდა იქნას მიღებული საამშენებლო მასალათა დამამზადებელი საწარმოების საჭირო მასალებით, პირველ რიგში სათბობი და ნედლი მასალით თავის დროზე და გეგმიანი მომარაგებისათვის, საწარმოების მექანიზაციისათვის, ახალი კადრების მომზადებისათვის, მუშათა ცვალებადობის წინააღმდეგ და სათანადო პირობების შესაქმნელად. რომლებიც უზრუნველყოფენ დავალების შესრულებას.

კაპიტალურ მშენებლობაზე სწორი ხელმძღვანელობის უზრუნველყოფისათვის და საამშენებლო მასალების გეგმიანი განაწილების მიზნით, გადამჭრელი ბრძოლა უნდა იქნას წარმოებული გეგმიანი დავალებების ჩაშლის ყოველგვარი ცდების წინააღმდეგ.

ბრიგადა მიზანშეწონილად სცნობს საქ. საგეგმო კომისიის საამშენებლო სექტორის ღონისძიებებს საამშენებლო მასალებზე რეალური მოთხოვნილების გამომჟღავნების მიმართ და საჭიროდ მიაჩნია ამ მუშაობის შემდგომში გაფართოვება ადგილებზე სისტემატიური ზედამხედველობის და გამოკვლევების გზით.

განსაკუთრებით სადეფიციტო შემოსაზიდ საამშენებლო მასალების ნაცვლად, ყოველმხრივ უნდა იქნას გამოყენებული ადგილობრივი, ნაკლებ სადეფიციტო საამშენებლო მასალები.

საწარმოო გეგმების მუშებამდე თავის დროზე დაყვანით, მტკიცე საწარმოო გეგმისათვის ბრძოლით, სოც-შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლით უნდა უზრუნველვყოთ საამშენებლო მასალების დამზადებაზე შემხვედრ საწარმოო-საფინანსო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

საშეფო ორგანიზაციების პირველი ყრილობა

ყრილობის გახსნა

გუშინ, საღამოს, მელითონეებისა და ტრანსპორტელების ცენტრალურ კლუბში გაიხსნა სრულიად საქართველოს საშეფო ორგანიზაციების პირველი ყრილობა. ყრილობა გახსნა თბილისის საშეფო საზოგადოების ერთ-ერთმა დამაარსებელთაგანმა ამხ. ე. ასრიბეკოვმა, რომელმაც თავის შესავალ სიტყვაში აღნიშნა საშეფო ორგანიზაციების მუშაობის მნიშვნელობა საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის დირექტივების შესრულების საქმეში, სოციალისტური მშენებლობის წარმატების საქმეში.

საქმიან პრეზიდიუმში ყრილობამ აირჩია 43 კაცი, რომელთა შორისაც არიან— ამხ. ასრიბეკოვი, ვანო სტურუა, ბ. მაჩაიძე, პავლე მელაძე, ამხ. ხოშტარია, ჩილავა და სხვ.

ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში მხურვალე ოვაციებით იქნენ არჩეულნი— ამხ. **სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, კალინინი, ვოროშილოვი, სერგო ორჯონიკიძე, კიროვი, კოსიორი, რუძუტაკი, კუიბიშევი, ანდრეევი; მიქოიანი; ტელმანი; კრუპსკაია, მენჟინსკი, მიხა ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, ლ. ქართველიშვილი, მამია ორახელაშვილი, სამსონ მამულია, ლ. სუხიშვილი, დევდარიანი და მაქსიმ გორკი.**

მისალმებანი

ყრილობის დანარჩენი ორგანოების არჩევისა და დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ, ყრილობას მიესალმა თბილისის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე ამხ. პ. მელაძე.

— თბილისის პროლეტარიატის დიქტატურის ორგანო,—ამბობს ამხ. მელაძე,—მხურვალე ბოლშევიკურ სალამს უძღვნის სრულიად საქართველოს საშეფო ორგანიზაციების პირველ ყრილობას. პარტიისა და ხელისუფლების წინაშე სოფლად მდგარი ამოცანები მოითხოვენ მუშათა კლასისაგან სასოფლო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის ხელმძღვანელობის გაძლიერებას. საქართველოს საშეფო ორგანიზაციებმა დაამტკიცეს, რომ მათ შეუძლიათ ყველა იმ ამოცანების შესრულება, რომელთაც მათ წინაშე აყენებს მიმდინარე რეკონსტრუქტიული პერიოდი.

ამხ. მელაძე შეჩერდა იმ კონკრეტულ ამოცანებზე, რომელთა გადაჭრისაკენ უნდა წარმართონ თავიანთი საქმიანობა, საშეფო ორგანიზაციებმა, და აღნიშნა, რომ ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი უნდა იქნეს საშეფო მუშაობის უმაღლესი განვითარების წელიც.

ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის მუშებისაგან ყრილობაზე გამოცხადდა დელეგაცია, რომლის სახელითაც მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მუშა **ამხ. ფოფხაძე.** დელეგაციამ ყრილობას გადასცა სტალინის ქარხნის მუშების საჩუქარი—ძვირფასი დროშა, რომელიც მიიღო ყრილობის სხდომის თავმჯდომარემ ამხ. ასრიბეკოვმა.

ქალაქის რაიონის ძველი შეფაქტივის სახელით ყრილობაზე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა მუშა ამხ. **ფერაძემ** და მანაც ყრილობას მიუძღვნა შეფაქტივის საჩუქარი —დროშა. მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ამხ. **გოფმანსკი**, პიონერების წარმომადგენელი კოლესნიკოვი და დუშეთის რაიონის კოლმეურნეობათა წარმომადგენელი ამხ. **ნ. არჩვაძე.**

მისალმებების დამთავრების შემდეგ ყრილობამ მიიღო შემოტანილი წინადადება, **რომ ყრილობა გამოცხადებული იქნას დამკვრელად** და ყრილობის წევრებისაგან გამოიყოს დამკვრელი ბრიგადა, რომელიც შეამოწმებს გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის სხვადასხვა ცენტრალური ორგანიზაციების მოსამზადებელ მუშაობას. შემმოწმებელ დამკვრელ ბრიგადებში, რომელიც დღეს შეუდგება მუშაობას ყრილობამ გამოყო 31 წევრი.

საშეფო ორგანიზაციების ამოცანები გაზაფხულის სას.-სამ. კამპანიაში

ამხ. შაგანოვის მოხსენება

ყრილობის საქმიანი მუშაობა დაიწყო საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილის—ამხ. შაგანოვის მოხსენებით გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისა და მასთან დაკავშირებით საშეფო ორგანიზაციების წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ.

თავის მოხსენებაში ამხ. შაგანოვმა აღნიშნა, რომ მომავალი სასოფლო-სამეურნეო კამპანიის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტექნიკური კულტურების პრობლემის გადაწყვეტას, მესაქონლეობის პრობლემის მოგვარებას და მებაღეობა - მებოსტნეობის საქმის გაუმჯობესებას. ამხ. შაგანოვი აღნიშნავს, რომ საქართველო წარმოადგენს ისეთ ქვეყანას, სადაც შეიძლება და უნდა შეიქმნეს მრეწველობის სხვადასხვა დარგებისათვის საჭირო ნედლეულის ბაზა. ხოლო მესაქონლეობის პრობლემის გადაწყვეტა კი, აუცილებელ პირობას წარმოადგენს მშრომელი მოსახლეობის ეკონომიური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად.

გასულ წელთან შედარებით, 1931 წლის განმავლობაში საქართველოში საერთო ნათესის სივრცე უნდა გაიზარდოს 757.400 ჰექტარით, რაც წინა წლის ნათესის ფართობს 18 პროცენტით აღემატება. სათესი ფართობის ზრდა უნდა მოხდეს უმთავრესად ჭაობების ამოშრობის, მოურწყავი ადგილების მორწყვის და დაუმთავრებელი სარწყავი სისტემების განახლების საშუალებით. მარტო ალაზნის ველის მორწყვით წელს მიღებული იქნება 15 ათასი ჰექტარი სათესი მოედანი. კოლხიდის ველზე მიიღებენ 3.000 ჰექტარ მიწის სივრცეს, მაზეველის ველზე—2.000 ჰექტარს. ტირიფონის ველზე დაითესება 3.800 ჰექტარი და სხვ.

უნდა მოხდეს აგრეთვე ანეულის ფართობის გადიდებაც: თუ გასული წლის გაზაფხულზე დაითესა მხოლოდ 1.300 ჰექტარი მიწა, მომავალ გაზაფხულზე უნდა დაითესოს 1.320.000 ჰექტარი მიწის ფართობი. ტექნიკური კულტურებიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბამბას, ჩაის, საერთოდ სუბტროპიკულ კულტურებს და სხვ. უნდა იქნეს გამრავლებული აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების რიცხვი. თუ 1930 წელს საქართველოში არსებობდა 83 საბჭოთა მეურნეობა, მიმდინარე წლის ბოლოს უნდა გვქონდეს 155 საბჭოთა მეურნეობა.

მესაქონლეობის განსავითარებლად მიმდინარე წლის განმავლობაში უნდა იქნეს დახარჯული 62.428.000 მანეთი,—გასულ წელთან შედარებით 482 პროც. მეტი.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ასეთი ამოცანების შესრულებას სოფლად ხელს შეუშლიან ყველა ანტისაბჭოთა ელემენტები და კულაკობა, რომელთა წინააღმდეგაც საჭიროა ბრძოლის გაძლიერება ამ ბრძოლაში დიდი როლის შესრულება შეუძლიათ საშეფო ორგანიზაციებს, რომელთა ამოცანასაც წარმოადგენს განმტკიცება სოფელთან კავშირი და გაუმჯობესება სოფლის სოციალისტურ სექტორის ხელმძღვანელობა. საუკეთესო დამკვრელი მუშები. საუკეთესო შეფაქტივი უნდა იქნას გადასროლილი სოფლად სამუშაოდ, რომ ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელიწადში შევსძლოთ ყველა იმ ამოცანების შესრულება, რომლებიც დააყენა ჩვენს წინაშე პარტიამ და ხელისუფლებამ.

მოხსენების შემდეგ ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს.

ამით დამთავრდა ყრილობის პირველი სხდომა.



აზნავთშენი ახალი მოტორის დადგმა

პროფ. მ. ფ. მგალობელი

27 თებერვალს ოპერაციის წარმოების დროს მოულოდნელად გარდაიცვალა პროფ. მ. მგალობელი. ის დაიბადა 1887 წ. ქუთაისის გიმნაზია დაამთ. 1904 წ., საექიმო ფაკულტეტი დაამთავრა ვენაში, ხოლო დისერტაცია დაიცვა ბაზელში (1910) დიდი წარჩინებით, შემდეგ ბრუნდება საქართველოში და ექიმად მუშაობს ჯერ პროვინციაში, შემდეგ ტფილისის საავადმყოფოში (სამეანო-გინეკ. დარგში).

განსაკუთრებული სამოღვაწო ასპარეზი გაეშალა მას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მას იწვევენ მაშინ (1921) ჯერ ახლად გახსნილ ტფ. უნ. გინეკოლოგიურ კლინიკაში უფროს ასისტენტად. აქ ის ეწაფება მეცნიერულ მუშაობას, აბარებს სადოქტორანტო გამოცდებს, აქვეყნებს მრავალ სამეც. შრომას და სწერს დისერტაციას.

მეტად დიდი წვლილი შეიტანა მან სამეანო - გინეკოლოგიური დარგში. აქ ის ეხება ყოველ აქტუალურ საკითხს — სივსივნების (ფიბრომიომების) წამლობა, სეპტიური აბორტების წამლობა, საერთოდ აბორტი, ტუბერკულოზი და სხვ. მრავალი. ის აქვეყნებდა მხოლოდ ისეთ შრომას, რომელიც საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი, დამუშავებული. ამიტომ იყო რომ მისი დასკვნები და შეხედულებანი მუდამ გარკვეული სახელმძღვანელო იყო გინეკოლოგიის დარგში მომუშავე ექიმთათვის. მისი რამოდენიმე შრომა გამოქვეყნებულია გერმანულ ენაზედ. პროფ. მგალობელის დისერტაცია „საშვილოსნოს ფიბრომიომების ეთიოლოგიის საკითხისათვის", — მეტად დიდი საგანძურია, გინეკოლოგიის მეცნიერებაში. ფიბრომიომების ეთიოლოგიის საკითხში მან შეიტანა ახალი, მეტად დასაბუთებული ახსნა, მან პირველმა დაასაბუთა და დამუშავა საკითხი ფიბრომების დამოკიდებულებისა საკვერცხეების ფუნქციის აშლილობაზე. უკანასკნელ წლებში ევროპის ყველა მეან-გინეკოლოგებმა საკვერცხეს ასეთ აშლილობის იმავე წესით და იმავე მოსაზრებით სხვა დაავადებაც დაუკავშირეს — საშვილოსნოს ლორწოვან გარსს — ჰიპერპლაზია. ასე რომ განსვენებულმა უცბათ მოიხვეჭა სამეცნიერო სახელი და ავტორიტეტი, რაც სწორედ ასეთ დიდ ინტუიტურ ნიჭს უნდა მიეწეროს.

დისერტაციის დაცვისა და მედ. დოქტორის ხარისხის მიღების შემდეგ (1925) ის უკითხავს არა სავალდებულო კურსს სტუდენტებს, რომლებსაც არაჩვეულებრივად აინტერესებს და იზიდავს თავისი კარგი გადმოცემით.

ორი წლის წინად ის იღებს პროფესორის წოდებას. გასულ წელს ის მიწვეული იქნა სტომატოლოგიურ ინსტიტუტში კათედრაზე „ქალის ბიოლოგია და პათოლოგია".

უკანასკნელ ხანებში ის გატაცებით მუშაობდა წით. ჯვ. საავადმყოფოს სამეანო - გინეკოლოგიურ განყოფილების გამგეთ, აწყობდა ლაბორატორიას და ხარბად სწადდა და ცდილობდა აქ სამეცნიერო ბაზის შექმნას.

ყოველივე ამასთან ერთად ის უშუალო და მეტად ახლო მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ მუშაობაში. თავიდანვე ის მტკიცედ და ურყევად იდგა საბჭოთა ნიადაგზე და ამ მხრივ ის იმ პირველთა შორის უნდა ჩაითვალოს, რომლებიც გულწრფელად ჩაებნენ ახალი ქვეყნის მშენებლობაში.

ექ. ა. უსტიაშვილი

ბოლშევიკური ტემპებით სწავლებისაკენ

პირველ მარტიდან ფრუნზეს სახელობის დივიზიის ნაწილებში იწყება ახალგაზრდა მებრძოლთა დაწყებითი მზადება.

წარსულში წვევამდე მზადების ნაცვლად წელს უკვე ახალგაზრდა ფრუნზელი თავიდან იწყებს მეცადინეობას თავის ნაწილში— აქედანვე ეცნობა მის ხელმძღვანელ და აღმზრდელ უფროსთა შემადგენლობას.

ეს მდგომარეობა კიდევ მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს დივიზიის ნაწილებში გამოწვეულ მებრძოლთა შემადგენლობას.

ძირითადი ამოცანა, რომელიც გამომდინარეობს მთელი საბჭოთა კავშირის თანამედროვე მდგომარეობიდან—ეს არის მებრძოლთა მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ინტერვენციის საშიშროების სრული გაგება.

ახალგაზრდა მებრძოლები მოსვლისთანავე უნდა გაერკვნენ იმ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანებში, რომელიც მათ ეკისრებათ სოციალიზმის მშენებელ მუშათა სახელმწიფოს დაცვისათვის; მებრძოლებმა მტკიცედ უნდა შეითვისონ მათი საპატიო როლი მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის მებრძოლებისა.

ახალგაზრდა მებრძოლმა მოსვლისთანავე უნდა შეითვისოს, რომ ბოლშევიკური პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მიერ წარმოებული გიგანტური სოციალისტური მშენებლობა, გაშლილი სოციალისტური შეტევა კაპიტალისტურ ელემენტების წინააღმდეგ მთლიან კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის მოსპობა—მოითხოვს განსაკუთრებულ სიფხიზლეს.

გამწვავებულ კლასიურ ბრძოლის პირობებში საჭიროა შეუნელებელი პროლეტარული სიფხიზლე, რომ ვერც ერთმა ხმა ჩამორთმეულმა, ვერც ერთმა კულაკმა და ანტი-საბჭოთა ელემენტმა ვერ შესძლოს ჩვენი სამოსწავლო ამოცანების წარმატებით შესრულებაში ხელის შეშლა.

მთელი სამოსწავლო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ საბრძოლო იარაღის შესწავლას, რომლითაც შეიარაღებული იქნება ახალგაზრდა ფრუნზელი.

მიღწეული უნდა იქნეს თანამედროვე ტექნიკის შესწავლისათვის ყველა შესაძლებლობის ამოწურვა, ახალგაზრდა მებრძოლების მიერ ბრძოლის ტექნიკურ საშუალებათა და მათი შესწავლისათვის უდიდესი ინტერესების გაღვივება.

დაწყებითი შეკრებებზე, წელს განაყოფებში (ასეულებში, ბატარეებში) პირველად ეწყობა პარტიული და კომკავშირის უჯრედები.

პარტკომკავშირის ორგანიზაციის ხვედრითი წონის გადიდება არმიაში საბრძოლო მომზადების საქმეში—მოითხოვს ყველა შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას თვიური გეგმის აუცილებლად შესასრულებლად. პარტიული და კომკავშირული მავალითის მაჩვენებელი უნდა იყოს სიძნელეების გადალახვის საქმეში, მათ, თავიანთი აღტყინებით უნდა გაიყოლიონ ახალგაზრდა მუშები, კოლმეურნეები, ღარიბ-საშუალოები გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ამოცანა, რომელიც სდგას პარტორგანიზაციის და მეთაურთა შემადგენლობის წინაშე და რაზედაც გამახვილებულ უნდა იქნეს მთელი ყურადღება—არის ნაცუმცირესობათა მომსახურეობის საქმე. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ახალგაზრდა ფრუნზელმა ნაცუმცირესობმა იგრძნოს ნამდვილი მზრუნველობა, როგორც სამოსწავლო, ისე მატერიალური უზრუნველყოფის საქმეში. უნდა დავარტყათ ბიუროკრატიულ გულგრილობას, რომელიც „ობიექტიური მიზეზებით" ხსნის ნაცუმცირესობათა მიმართ უყურადღებობას. ნაცუმცირესთა მომსახურეობის შეუფასებლობა ქართული შოვინიზმის პირდაპირი გამოხატულებაა, რაც სასტიკად დაგმობილია ჩვენი პარტიის მიერ.

ჩვენს წინაშე მდგომ ყველა ამოცანების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ფართოდ გამოყენების გზით. სოციალიზმის მშენებელი ენტუზიასტი ქალაქად და სოფლად, რომელიც ჩვენთან არის მოსული—უნდა იყოს ენტუზიასტი დივიზიის და მთელი მ.-გ. წითელი არმიის საბრძოლო მომზადების განმტკიცების საქმეში.

მეთაურთა შემადგენლობამ და პარტორგანიზაციებმა დროულად უნდა უხელმძღვანელონ ამას და გამოიყენონ ის სწავლების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

დაწყებითი მომზადების ამ ფორმების გატარება პირველად,—მოითხოვს ყველა პირობების შექმნას იმისათვის, რომ საუკეთესოდ იქნას შესრულებული სამოსწავლო გეგმები. ბინა, კვება, გათბობა, სანიტარული მომსახურება უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ ხელი შეუწყოს გეგმის შესრულების საქმეს.

საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, პარტიამ, კომკავშირმა, პროფკავშირმა და ადგილობრივმა აღმასკომებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი შეკრების წარმატებით ჩატარებას.

მხოლოდ, ყველა ამ ამოცანების შესრულებით, განუხრელი ხელმძღვანელობით, დეტალურად წინასწარ მომზადებით ყოველდღიურ მეცადინეობათათვის, პარტკომკავშირის ორგანიზაციის გაძლიერებულ მუშაობით შესაძლებელი იქნება დაწყებითი მომზადების შესრულება და გადაჭარბებით შესრულება.

ფრუნზელებმა უნდა მიაღწიონ ამ წარმატებებს და იყვნენ ღირსი ატარონ სოციალიზმის მშენებლობის დამცველის და მსოფლიო ოქტომბრის რევოლუციის მებრძოლის სახელი.

ხ. ბუაჩიძე.

რას მოუღო ბოლო 25 თებერვალმა*)

1918 წ. 25 სექტემბერს გაიმართა „საქართველოს რესპუბლიკის" წარმომადგენლების თათბირი მოხალისეთა არმიისა და ყუბანის მთავრობის წარმომადგენლებთან. ამ თათბირზე ე. გეგეჭკორი ტყავიდან ძვრებოდა. რომ დაემტკიცებინა მოხალისეთა არმიის და მენშევიკურ საქართველოს მიზნების ერთიანობა—ულმობელი ბრძოლა ბოლშევიზმთან.

ე. გეგეჭკორი ძლიერ ააღელვა გენ. **ალექსეევის** საყვედურებმა იმის შესახებ, რომ საქართველოში სდევნიან რუს ოფიცრებს და სხვ. და „პატივცემულ გენერალს", რომელსაც „იცნობს მთელი რუსეთი" და რომელსაც პატივს სცემენ მენშევიკები „თუმცა არ იზიარებენ მის პოლიტიკას და შეხედულებებს" (აქ ე. გეგეჭკორმა თავის თავს უღალატა—მთელი მისი სიტყვა იმის დამტკიცებას მოუნდა, რომ მენშევიკები და მოხალისეები „ერთ წერტილში სცემენ") ასეთი პასუხი ჰკადრა[13].

„... რაც შეეხება საქართველოს მთავრობისათვის წაყენებულ ბრალდებას—რუს ოფიცრების დევნას, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური წარმომადგენელი, მოვალედ მიმაჩნია კატეგორიულად განვაცხადო, რომ ეს ბრალდება სრულიად უსაფუძვლოა. **სად, თუ არ საქართველოში იწყეს თავმოყრა ოფიცრებმა იმ დევნის შედეგად,** რომელიც მათ წილად ხვდათ რუსეთში? და ჩვენ ვიღებდით მათ, ჩვენ მცირედ საშუალებებიდან ვუნაწილებდით მათ, ვაძლევდით ხელფასს, ვკვებავდით და ვაკეთებდით ყველაფერს, რომ საკუთარი შევიწროებული მდგომარეობის ფარგლებში დავხმარებოდით მათ.

...ამასთან ერთად, ჩემი მოვალეობა მიმაჩნია მოგაგონოთ თქვენ, რომ **არ უნდა იქნას დავიწყებული ისიც, თუ რა დახმარება აღმოგიჩინეთ თქვენ ბოლშევიზმთან ბრძოლაში და ეს დახმარებაც მხედველობაში უნდა მიიღოთ...**

..ჩვენს ამოცანას შავი ზღვის სანაპიროებზე და წინსვლის დროს წარმოადგენს ბრძოლა ბოლშევიზმთან... ჩვენ თქვენთან ერთად ვსცემთ ერთ წერტილში, რომელიც მოასწავებს მტრულ ძალას თქვენთვისაც და ჩვენთვისაც...

..მე შემიძლია წინადადება მივსცე მოხალისეთა არმიას და ყუბანის მთავრობას იყოლიონ თავისი ოფიციალური წარმომადგენლები საქართველოს მთავრობასთან.

..ბოლშევიკებთან დამოკიდებულების შესახებ შემიძლია განვაცხადო, რომ **ბრძოლა ბოლშევიზმთან ჩვენს საზღვრებში ულმობელია. ჩვენ, ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებებით ვებრძვით ბოლშევიზმს,** როგორც ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას, და მე ვფიქრობ, **რომ ამ მხრივ ჩვენ მოგცეთ უკვე მთელი რიგი დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ"...**

ვფიქრობთ, რომ კმარა. მოყვანილი ამონაწერიც „თავისთავად მეტყველობს" და კომენტარიები ზედმეტია.

საქართველოს მენშევიკური მთავრობა ზოოლოგიური შოვინიზმის პოლიტიკას აწარმოებდა აზერბეიჯანისა და სომხეთის მიმართ. მენშევიკებს, რასაკვირველია, არ ჩამორჩებოდნენ არც დაშნაკები და არც მუსავატელები. ამიერ-კავკასიაში გაჩნდა რამდენიმე „ელზას-ლოტარინგია"—ბორჩალოს მაზრა, ლორი-ბამბაკის რაიონი, ახალქალაქის მაზრა. მხეცური შოვინიზმით მოწამლულ ამ ატმოსფერაში იფეთქა სომხეთ-საქართველოს ომმა, რომლის დროსაც ორივე მხარე ახალგაზრდა „დამოუკიდებელი" რესპუბლიკებისათვის უჩვეულო რეპრესიებს მიმართავდა და ცდილობდნენ კაციჭამიაობაში ერთმანეთს არ ჩამორჩენოდნენ...

როგორ რესპუბლიკას აშენებდნენ მენშევიკები

ახლა გადავიდეთ მენშევიკების შინაური საქმიანობის დახასიათებაზე.

როგორი სახელმწიფოს აშენებას აპირებდნენ მენშევიკები, როგორი იყო მათი პოლიტიკა სამეურნეო დარგში, რა მისცეს მათ მუშებსა და გლეხებს?

„ჩვენ ვფიქრობთ—ამბობდა **ნ. ჟორდანია** ამიერ-კავკასიის სეიმის 1918 წ. 15 თებერვლის სხდომაზე[14],—რომ ახლანდელი რევოლუცია არც თავისი შინაარსით და არც თავისი პოლიტიკური მიზნებით არ სცილდება საკერძო მეურნეობის ფარგლებს, რომ ეს რევოლუცია არ ეხება ბურჟუაზიული წყობილების საფუძვლებს... ჩვენ, მენშევიკები რევოლუციის დაწყებიდანვე ვფიქრობდით და ვფიქრობთ, რომ ჩვენი რევოლუცია იძლევა არა შრომის განთავისუფლებას კაპიტალისგან, არამედ პირობებს ამ განთავისუფლებისათვის".

ნაციონალურ საბჭოს 1918 წ. 18 ივნისის სხდომაზე **ნ. ჟორდანია** ასე აწყნარებდა ნაციონალ-დემოკრატებს), რომლებიც სრულიად უსაფუძვლოდ შიშობდნენ, რომ ვაი, თუ დაპირების მიუხედავად, ნ. ჟორდანიამ სოციალურ ექსპერიმენტებს მოჰკიდა ხელი[15]:

„...თქვენ ფიქრობთ, რომ თუ მთავრობა სოციალისტურია, მან უნდა განახორციელოს სოციალიზმი... ეს არის ბოლშევიკების შეხედულება... ბურჟუაზიული წყობილებაშიც გვაქვს ჩვენ გასაკეთებელი საქმე".

ნათქვამია გარკვევით. საქართველოს მენშევიკები ოდნავადაც არ ფიქრობდნენ სოციალისტური საქმის კეთებას. ისინი თავისი ხელით აშენებდნენ ბურჟუაზიულ ეკონომიკის შენობას, რადგან ვერ ანდობდნენ ამ საქმეს „გამოუცდელ" ნაციონალ-დემოკრატებს, რომელთა სიმპატიები იმ ხანებში იყოფოდა ფეოდალებსა და ბურჟუაზიას შორის. სოციალ-დემოკრატიის მზრუნველობა ბურჟუაზიაზე ამაზე შორს ვერ წავა!

აშკარაა, თუ ეკონომიკა რჩება (და შენდება) ბურჟუაზიული, მიუხედავად მენშევიკურ-„დემოკრატიული" ზედნაშენისა, რჩება კაპიტალისტური ექსპლოატაცია, რჩება მკაცრი სოციალური უთანასწორობა. მენშევიკები კი არავითარ ზომებს არ იღებდნენ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამრიგად, „მუშებისა და ღარიბ გლეხების სამსახური „საქართველოს სახელმწიფოში" უტოპიად იქნა გამოცხადებული. სოციალისტების მიერ მოწყობილი ამ სახელმწიფოს მოწოდებად გამოცხადდა ბურჟუაზიის სამსახური ასე თუ ისე[16]".

მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ფრონტის ლიკვიდაციის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე აურაცხელი დოვლათი დარჩა და გარდა ამისა საქართველო თურქეთ-გერმანიის (და შემდეგ მოკავშირეების) საშუალებით დაკავშირებული იყო ევროპის ბაზართან, მშრომელი მასები განიცდიდნენ უკიდურეს გაჭირვებას, რასაც კიდევ უფრო ამწვავებდა შეუზღუდავი, თავაშვებული სპეკულიაცია, რომელიც გამეფდა „დემოკრატიულ" საქართველოში ათასგვარ ავანტიურისტების და საერთაშორისო სპეკულიანტების თავმოყრის შედეგად. 1920 წ. მიწურულში მდგომარეობა იმდენად აუტანელი შეიქნა, რომ პრესა (განურჩევლად მიმართულებისა) ერთხმად ალაპარაკდა ცხოვრების აუტანელ პირობებზე.

მოვიყვანთ რამდენიმე ამონაწერს[17]:

„საქართველო" (1920 წ. 12 ნოემბერი):

„სიძვირე ჩვენში არაჩვეულებრივად იზრდება. იგი ბორკავს მუშას და გლეხს, აღრჩობს წვრილ ხელოსნებს, მოხელეებს, ჰყიტავს ბავშვებს... არის მხოლოდ ერთი ჯგუფი, რომელიც კარგად გრძნობს თავს, უკანასკნელ სისხლს სწოვს ქართველ ხალხს. ესენი არიან ადგილობრივი და უცხოელი სპეკულიანტები"..

„სახალხო საქმე":

„სიმშილი და სიცივე სახლში, სიმშილი და სიცივე სამსახურში,—აი როგორია ჩვენი დღევანდელი ცხოვრების სურათი.. ჩვენი ქვეყანა მივიდა კატასტროფიულ მდგომარეობამდე. სამეურნეო ანარქია, სრული არევ-დარევა და მოუწყობლობა— აი რა ახასიათებს ჩვენს სინამდვილეს... მუშა შიმშილობს, ვარდება უფსკრულში, ფიზიკურად ნადგურდება"...

„მიწა":

„რომ გვერდზე დავტოვოთ პოლიტიკური ცხოვრება და გადავხედოთ სოციალურ და ეკონომიურ ცხოვრებას, დავინახავთ, რომ გარშემო მეფობს სიცრუე და შანტაჟი და თითეული მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ რამე გამოსტყუოს ხალხს და სახელმწიფოს, ფიქრობს მხოლოდ ქამაზე, მოტყუებაზე და ყაჩაღობაზე"..

თვით ოფიციოზები—„ერთობა" და „ბორბა"-ც კი ვერ მალავდნენ მწარე სინამდვილეს და მასების დასაშოშმინებლად „მოითხოვდნენ" სპეკულიანტების ალაგმვას და სასურსათო საკითხის მოწესრიგებას, რაც რასაკვირველია, არ ძალუძდა მთავრობას, რომელიც „წმინდათა-წმინდათ" თვლიდა კერძო საკუთრებას და ინიციატივას (სპეკულიაციას).

ბუნებრივია, რომ გაჭირვების უკანასკნელ საზღვარზე მოქცეული მუშა-მოსამსახურეთა მასები ღელავდნენ, მიმართავდნენ გაფიცვებს. მაგრამ მენშევიკურ სამფლობელოებში გაფიცვები ფაქტიურად კანონის გარეშე იყო გამოცხადებული და მენშევიკები ყოველ ღონისძიებას ხმარობდნენ გაფიცვების ჩასაქრობად ან „შინაურულად", თავიანთი პროფბიუროკრატიის საშუალებით და, თუ ეს საშუალება არ გასჭრიდა, განსაკუთრებული რაზმის საშუალებით, რომლის შეფმა—კედიამ—საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულების მიუხედავად, ციხეები ბოლშევიკებით ამოავსო. მაგრამ ამან მაინც ვერ შეაჩერა მასებში რევოლუციონური განწყობილების ზრდის პროცესი, რომელმაც ყველაზე თვალსაჩინო სახე მიიღო პროფკავშირებში: მთელ რიგ პროფორგანიზაციებს, სადაც წინათ მენშევიკები ბატონობდნენ, ბოლშევიკები დაეპატრონენ.

მენშევიკებმა ვერც მიწის საკითხის გადაჭრა შესძლეს. ისინი გერმანიის იმპერიალიზმის ზეგავლენით იძულებული შეიქნენ არქივში ჩაებარებინათ ის მორცხვი განზრახვებიც, რომლებიც მათ ჰქონდათ აგრარულ საკითხში და ხელუხლებლად დაეტოვებინათ მიწადმფლობელობა, ღალა და ფეოდალური ურთიერთობის სხვა ნაშთები სასოფლო მეურნეობაში.

ჯერ კიდევ ამიერ-კავკასიის სეიმმა, გლეხობის დასაშოშმინებლად. გამოსცა დეკრეტი, რომლითაც დააწესა მიწის ნორმა, რომლის ზევით მიწა უნდა ჩამორთმეოდა მემამულეებს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დეკრეტს არავითარი ზიანის მოტანა მემამულეების საერთო მასისათვის არ შეეძლო, რადგან დაწესებული ნორმა საკმაოდ დიდი იყო. ცალკე მემამულეებმა კი, რომლებიც დიდძალ მიწებს ფლობდნენ, დეკრეტის გამოცემისთანავე მოახდინეს მიწების გადანაწილება „შინაურულად" თავისიანებს შორის, ისე რომ მთლიანად შეინარჩუნეს თავიანთი ადგილ-მამულები.

მიუხედავად ამისა მემამულეებმა ეს უბადრუკი აგრარული ღონისძიებაც კი ისეთ დიდ [illegible] ჩასთვალეს მენშევიკების მხრივ, რომ შესჩივლეს გერმანიის სარდლობას, რომელმაც მყის იკისრა მათი მფარველობა. ქვემოდმოყვანილი დოკუმენტები (მოგვყავს შემოკლებით) სავსებით ნათელყოფენ, თუ რა ფასი ჰქონდა მენშევიკური „დამოუკიდებლობას" და მეორე მხრივ აშკარავებენ მენშევიკების სიმხდალეს აგრარულ კანონმდებლობაში:

მიწერ - მოწერა მემამულეთა უფლებებზე[18])

I

„მის აღმატებულებას ბ-ნ რამიშვილს—შინაგან საქმეთა მინისტრს.

ბატონო მინისტრო!

მე გავიგე, რომ ყველა ჩემს ღონისძიებს და პირად თხოვნებს, რომლითაც მე პატივი მქონდა მივმართო თქვენი აღმატებულებისა და ბ-ნ მინისტრ—თავმჯდომარისათვის იმის შესახებ, რომ **მთავრობის დადგენილების თანახმად, გლეხებს გორის მაზრის მემამულეებისათვის გადაეხადათ საიჯარო გადასახადი 1917 წლის მოსავლისათვის,** დღემდე არავითარი შედეგი არ მოჰყვა...

... ვიღებ რა მხედველობაში ასეთ აუტანელ მდგომარეობას, მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს—**წინადადება მიეცეთ დაუყოვნებლივ შესდგეს კომისია საქართველოს** მთავრობის ორი წარმომადგენლის, მემამულეთა ორი წარმომადგენლის და დელეგაციის ერთი წარმომადგენლის შემადგენლობით. ამ კომისიამ ჯერ უნდა გამოარკვიოს საერთო ჯამი იმ თანხისა, რომელიც კიდევ მისაღები აქვთ სხვადასხვა მემამულეებს და შემდეგ შეუდგეს კუთვნილი საიჯარო გადასახადის შეკრებას.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, არ დაიზაროთ უახლოეს დროში პასუხის მიცემა ჩემს **აღნიშნულ წინადადებაზე, რომელიც, როგორც მე ვფიქრობ, წარმოადგენს ერთად ერთ საშუალებას გერმანიის ჯარების შეიარაღებული ჩარევის თავიდან ასაცილებლად...**

თბილისი, 1918 წ. 22 სექტემბერი.

ფონ-კრესს".

№ 1018.

II

„მის აღმატებულებას ბ-ნ რამიშვილს—შინაგან საქმეთა მინისტრს.

ბატონო მინისტრო!

ცნობამ გორის მაზრის მემამულეების თავად გიორგი და დავით ბაგრატიონ დავითაშვილის, დეკანოზიშვილისა და მათი მეგობრების დაპატიმრების შესახებ იმ წამსვე გამოიწვია ქალაქში მითქმა-მოთქმა, რომ ეს პირები დაპატიმრებული იქნენ გერმანიის დელეგაციისათვის მიმართვის გამოთხოვნით—დახმარება აღმოეჩინა მათთვის 1917 წ. მოსავლის საიჯარო გადასახადის შეკრებაში...

... ვინაიდან გერმანიის დელეგაცია ჩამოვიდა საქართველოში მთავრობის თხოვნით სახელმწიფოს აღსადგენად, უნდა ვაღიაროთ, რომ **ყველა მოქალაქეს,** რა პარტიასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, **უფლება აქვთ გამოსთქვან ჩემს წინაშე თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები და მომმართონ მე საჩივრებითა და თხოვნით...".**

თბილისი, 1918 წ. 25 სექტემბერი.

№ 1060.

ფონ-კრესს".

III

„იმპერატორობითი გერმანიის დელეგაციის უფროსს — გენერალ ფონ-კრესს.

თქვენო აღმატებულებავ!

პასუხად თქვენი პატივცემული წერილებისა 22 და 25 სექტემბრის თარიღით №№ 1018 და 1060, მაქვს პატივი განმეორებით მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რაც უკვე აღვნიშნე სიტყვიერად...

...საჭიროდ მიმაჩნია ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მთავრობა სდგას არსებულ კანონების მტკიცედ დაცვის თვალსაზრისზე. ამ კანონების ძალით მემამულეებს მინიჭებული აქვთ უფლება მიიღონ თავიანთი კუთვნილი შემოსავალი მამულებიდან...

...ვსარგებლობ შემთხვევით კვლავ დავადასტურო თქვენდამი ჩემი ღრმა პატივისცემა.

ნ. რამიშვილი".

თბილისი, 1918 წ. 27 სექტემბერი.

№ 6909

მკითხველისათვის ნათელია, რომ მენშევიკური მთავრობა ნაცვლად მიწის საკითხის გადაწყვეტისა შრომელი გლეხობის ინტერესების მიხედვით, მფარველობდა მემამულეთა—თავადებს. ამავე დროს იგი „პატივისცემის გრძნობას" უდასტურებდა იმპერიალისტების გენერლებს, რომლებიც შეიარაღებული ჩარევით ემუქრებოდნენ მას.

ყოველივე ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მენშევიკების ხელისუფლების არსებობის მთელი სამი წლის მანძილზე ერთი წუთითაც არ შეწყვეტილა მშრომელ გლეხობის ბრძოლა „მემამულეთა და თავადების მთავრობის" წინააღმდეგ.

ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოში

მას შემდეგ, რაც თურქეთის არმიების ინტერვენციის ზეგავლენით ამიერ-კავკასია „დამოუკიდებელ" რესპუბლიკად გამოცხადდა, მის მთელ ტერიტორიაზე არ შეწყვეტილა სამოქალაქო ომის ცეცხლი. ხან აქ, ხან იქ, გაძვალტყავებული და სასოწარკვეთილამდე მისული მასები აფრიალებდნენ ბოლშევიკურ დროშას. დასაწყისში ეს გამოსვლები სტიქიურ ხასიათს ატარებდნენ და მენშევიკები შედარებით იოლად ახერხებდნენ მათ ჩაქრობას. 1919 წლიდან ამ გამოსვლებს, რომელთაც ბოლშევიკური ორგანიზაციები ხელმძღვანელობდნენ, უფრო მწყობრი და ორგანიზაციული ხასიათი მიეცა. ა.-კ. და კერძოდ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აჯანყებები მენშევიკების კონტრ-რევოლუციური პოლიტიკის წინააღმდეგ ისეთ სერიოზულ ხასიათს ატარებდნენ, რომ მენშევიკებს ნამდვილი ომის წარმოება უხდებოდათ ამბოხებულებთან: არტილერია, ავიაცია, ჯავშნიანი ავტომობილები, ჯავშნიანი მატარებლები,—აი რას მიმართავდნენ მენშევიკები აჯანყებული მშრომელი მასების წინააღმდეგ.

მენშევიკების ობერ-ჯალათმა ვ. ჯუღელმა, დამსჯელი ექსპედიციების ალვირახსნილი ტერორის უკვდავი ძეგლი დასტოვა თავისი „მძიმე ჯვარის" სახით.

მედიდურ ინტელიგენტის სენტიმენტალურ განცდების აღწერასთან ერთად ჯუღელის დღიურებში, ავტორისათვის უნებურად, ჩვენ ვპოულობთ საბჭოთა ხელისუფლებისათვის საქართველოს მშრომელი მასების გმირული ბრძოლის სურათებს. კვლავ ავალაპარაკოთ დოკუმენტები:

„1918 წ. 26 თებერვალი, თბილისი.

გუშინ საღამოს დავბრუნდი თელავიდან. გუშინწინ, სწორედ ამ დროს, მე ვიყავი ბრძოლაში. ტყვიები ზუზუნებდნენ. ჩვენ განვაიარაღეთ მერვე ქართული პოლკი".

„1918 წ. 30 მარტი, თბილისი.

ჩვენ ახლახან ჩამოვედით ცხინვალიდან. ჩვენ როგორც იქნა მოვახდინეთ ცხინვალის სამწუხარო, მძიმე ტრაგედიის ლიკვიდაცია... ვეომებით პროვოკაციის ანკესზე წამოგებულ (?) უბედურ გლეხობას"...

„1918 წ. 4 აპრილი, სამტრედია.

ჩემი სოხუმი უკვე ბოლშევიკების ხელშია. სამეგრელოში კი ისინი უფრო და უფრო თავხედდებიან...

„კვლავ უბედურება: გარეშე ფრონტის მაგიერ მოვხვდით შინაურ ფრონტზე... აქ, სამეგრელოში, ბოლშევიზმის სახით თავი წამოჰყო ანარქიამ... ხვალ შეუდგებით გადამჭრელ და სწრაფ მოქმედებას".

„1918 წ. 6 აპრილი, ბანძა.

„ბანძაში ჩვენ თოფის გასროლით შევედით... მრავალი სახლები თითქმის დაცარიელდა. ეს არის ბოლშევიკური პროვოკაციის ნაყოფი...

ვლ. ჯიბლაძის რაზმი ბრძოლით უტევდა ახალ-სენაკის მხრიდან. მოწინააღმდეგე გამაგრდა ნაქალაქევის ციხეში და მოგვიხდა მისი გამოდენა არტილერიით".

„1918 წ. 8 აპრილი, ბანძა.

მარტვილიდან გუშინ გაშლილი ფრონტით გავედით ინჩხურისაკენ და ყოველი მხრიდან შემოვარტყით ალყა ამ უბედურ მთიან სოფელს"...

„1918 წ. 6 მაისი, ქალადიდი.

დიდი ეშელონით მივდივართ ფოთში, მივდივართ სოხუმში ისევ უბედურ შინაურ ფრონტზე.

„1918 წ. 15 მაისი, აძიუბა (აფხაზეთი)

გადავწყვიტეთ ხვალ დილით გადავიდეთ შეტევაზე... საღამოს ორი განმანადგურებლიდან ვესროდით რაიონს სოხუმსა და კოდორის შესართავს შორის"...

„1918 წ. 14 ივნისი, ხადახლო.

გუშინ იყო მძიმე დღე. ჩვენ ბრძოლით ავიღეთ სოფ. კიშა-კილისა".

„1918 წ. 27 ივნისი.

ახლახან ავიღეთ ბებრისციხე და ამ ძველი სიმაგრის მთელი რაიონი. ....დილის 5 საათზე ჩვენ 15 ზარბაზნიდან განმანადგურებელი ცეცხლი გავხსენით ბებრის ციხეზე, სადაც თავი შეაფარეს ამბოხებულებმა"...

„1918 წ. პირველი ივლისი,

მჭიდის ჯვარით მივდივართ დუშეთზე. აქამდე წინ მივიწევდით ბრძოლით".

„1918 წ. 3 ივლისი, დუშეთთან.

ახლა ვხსნით განმანადგურებელ ცეცხლს და მე შემომვლელი კოლონა მიმყავს კორიეთან შესაერთებლად".

„1918 წ. 6 ივლისი, ბაზალეთი

მარცხენა კოლონით ახლა გავდივართ მტრის ზურგში მოსავლელად. ჩემს განკარგულებაშია 250 კაცი, დ. ყანჩელის სამთო ოცეული და ქრისტეფორეს ოთხი ტყვიამფრქვევი... ფურცელაძე-გედევანიშვილის კოლონა უკვე გუშინ გავიდა ანანურისაკენ არაგვის ხეობით"...

„ფასანაური

საღამოს 9 საათზე შევედით, ფასანაურში, დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე გვქონდა ცხარე ბრძოლა... რამდენიმე კაცი, რომლებიც ტყვიამფრქვევის ლენტებით დაიჭირეს, იქვე დახვრიტეს".

სამოქალაქო ომის ამ სურათების აღწერით არის სავსე მთელი 250 გვერდიანი წიგნი, ვფიქრობთ რომ მოყვანილი ამონაწერებიც საკმაოა. ყოველივე ამის შემდეგ სასაცილო შთაბეჭდილებას სტოვებს მენშევიკების მტკიცება, თითქო ჟორდანიას მთავრობა დაამხო გარედან მოსულმა წითელმა არმიამ.

უკვე 1920 წლის მიწურულში მთელი ქართული პრესა, დაწყებული ნაციონალ-დემოკრატიული „საქართველო"-თი და გათავებული „ერთობით" ერთხმად გაჰყვიროდა ბოლშევიზმის საფრთხის ზრდას.

„დღის სურათი შეიცვალა,— სწერდა **1920 წ. 16 ნოემბერს გაზეთი „საქართველო"**, [19])—და ეს ცვლილება მოხდა ბოლშევიკების სასარგებლოდ.. დღეს საქართველოში ბოლშევიკებს აქვთ პარტიული ორგანიზაციები.. აქა-იქ მუშათა შორის მათ ჰყავთ უმრავლესობა, როგორც, მაგალითად, მეტრამვეთა კავშირში, სადაც არჩევნების დროს ნათლად სჩანდა მათი ბოლშევიკური განწყობილება. საერთოდ ბოლშევიკურმა მუშაობამ ჩვენში ფართო ხასიათი მიიღო".

იმ დროს, როცა ბოლშევიკური პარტია თანდათან ძლიერდებოდა მენშევიკების პოლიტიკით იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილებამდე მისული მასების ხარჯზე, მენშევიკური პარტია თანდათანობით იხრწნებოდა.

„ჩვენ სახელმწიფოს ვაშენებთ იმ დროს, როცა პარტია იხვრევა,—სწერდა „თვითონ" ცნობილი ჯუღელი „ერთობა"-ში [20]) და რამდენადაც უფრო იხვრევა პარტია. მით უფრო ინგრევა სახელმწიფო, მით უფრო იშლება სახელმწიფოებრივი შემოქმედება".

მართლა არაჩვეულებრივად უნდა გახრწნილიყო პარტია, არაჩვეულებრივ ზომამდე უნდა მისულიყო ქაოსი და ნგრევა „დემოკრატიულ" სახელმწიფოში, რომ კაცს, რომელიც მთელი ორი წლის განმავლობაში არაფერს აკეთებდა გარდა შინაურ ფრონტებზე ბრძოლისა „დემოკრატიულ" მთავრობის „განსამტკიცებლად", ასეთი სიტყვები წამოსცდენოდა.

მართლაც საკმაო შეიქნა თებერვლის ბოლშევიკური ქარი, რომ მენშევიკური ხუხულა დანგრეულიყო. ათეულ ათას მებრძოლიდან, რომელიც მენშევიკურ მთავრობას ჰყავდა ბორჩალოში ამბოხების დაწყების მომენტში, ნ. ჟორდანიას მთავრობას ბათომში მხოლოდ რამდენიმე ასეული შეიარაღებული კაცი ჩაჰყვა. დანარჩენები მას შემოეფანტა თბილისიდან სამტრედიამდე, სამხედრო-საველე სასამართლოების ამუშავების და დახვრეტის შემოღების მიუხედავად.

ასე უსახელოდ დასრულდა მენშევიკების სამი წლის ბატონობა.

ნ. რ—ძე.

---

*) დასასრული. იხ. „კომუნისტი" № 49.

[13]) „Док. и мат." გვ. 395 და შემდეგი დოკუმენტი №196.

[14]) ნ. ჟორდანია: „ორი წლის მანძილზე". გვ. 63—64 და შემდეგი.

[15]) ნ. ჟორდანია: „ორი წლის მანძილზე". გვ. 101.

[16]) М. Амиа: „Путь Грузинской жиронды".

[17]) ამხ. М. Амиа-ს ბროშურიდან: „Путь Груз. жиронды".

[18]) Мат. и док." დოკ. № 199.

[19]) „იხ. ამხ. М. Амиа-ს ბროშურა: „Путь Груз. жиронды„, გვ. 28.

[20]) იქვე, გვ. 28.

ფასანაურში შენდება 200 ძალიანი ელსადგური

მიმდინარე წლის აგვისტოში მთიულეთის სოფლებს გაანათებს ელექტრონის ლამფა. ფასანაურში შენდება 200 ცხენის ძალიანი ელსადგური. სადგური აშენდება საქ. სამხ. გზის პირზე, დაბა ფასანაურიდან ერთი კილომეტრის მანძილზე მდინარე ჩაბარუხის ხევზე. საჭირო მიწის ნაკვეთი უკვე დაგეგმილია. მდინარე შესწავლილია სპეციალისტების მიერ. პირველი სამუშაოებისათვის 15.000 მ. გადასდო საქ. მთ. კულტ. საზ-ბამ. ამ დიდ საქმეს გამოეხმაურენ სხვა ორგანიზაციებიც.

ამ საქმის დაჩქარებით წესით შესრულებისათვის განსაკუთრებით აქტიურად მუშაობენ დუშეთის პარტიის რაიკომი და რაიაღმასკომი. გლეხობა დიდი ინტერესით შეხვდა ელსადგურის მშენებლობის დაწყებას.

აღსანიშნავია, რომ საზეიმო სხდომაზე და სხვა გლეხებმა შემოიტანეს განცხადებები, მთელი თემის ორი სოფლის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის შესახებ.

არჩეულია ელსადგურის მშენებლობის ხელმძღვანელი კომიტეტი. საპატიო წევრებად არჩეულნი არიან ამხ. ფ. მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ლადო სუხიშვილი, სამსონ მამულია, დათიკო აფციაური, ვანო ბოლქვაძე, შალვა მათიკაშვილი, ალექსი ყამარაული და ბესო ჭიჭინაძე.

საქმიან კომიტეტში: ვალიკო ლეჟავა, ივლიანე ჯანელიძე, ბესო ბოცვაძე, იორდანიშვილი, ნიკო ნათაძე, შალვა ნადიბაიძე, ვანო ბურდული, ვალიკო მანჯგალაძე, პეტრე კავკასიძე, ილიკო აფციაური და ნიკო ქავთარაძე.

ელსადგურს გადაწყვეტილია ეწოდოს „ჩაბარუხესი". სადგურის მშენებლობა იწარმოებს ბოლშევიკური ტემპებით და დამთავრდება მიმდინარე წლის აგვისტოში.

წინასწარი გამოანგარიშებით „ჩაბარუხესის" აგება დაჯდება 40,000 მანეთი.

შ.



ბათომის რკინის გზის დეპო. ვაგონის ბორბლის შეკეთება

ამხ. ლ. ქართველიშვილის სახელობის მუშფაკი

საქ. სამედიცინო ინსტიტუტის მუშფაკის მსმენელთა და თანამშრომელთა საერთო კრებამ დაადგინა სამედიცინო ინსტიტუტის მუშფაკს ეწოდოს ამხ. ლავრენტი ქართველიშვილის სახელი.

უვარგისი მუშაობა

მუშკოოპის დეფიციტური საქონლის განყოფილებაში ბევრ ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი

მუშკოოპის დეფიციტური საქონლის განყოფილება—ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი განყოფილებაა. ამ განყოფილების მუშაობაზე საგრძნობლად არის დამოკიდებული მშრომელთა მომარაგება ფართო მოხმარების პროდუქტებით სწორად და შეუფერხებლად. როგორ მუშაობს მუშკოოპის დეფიციტური საქონლის განყოფილება, რამდენად ანხორციელებს იგი პარტიის დირექტივებს? დეფიციტური საქონლის გაცემას ძალზე ცუდი კონტროლი ეწევა. უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ნამდვილი კონტროლი არ ეწევა. სრულიად არ სწარმოებს კონტროლიორების მუშაობის აღრიცხვა და არავინ არ იცის, თუ რას აკეთებენ ისინი ფაქტიურად. საკონტროლო ქვეგანყოფილება არ არის დაკავშირებული იმ ორგანოებთან, რომელთაც შეუძლიათ ცნობების მიწოდება გასულ მეპაიეთა შესახებ. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ყველა კონტროლიორების მიერ მთელს თბილისში ჩამორთმეულია 115 სასურსათო წიგნაკი და შემოწმებულია მშენებლობაზე დროებით მომუშავეთა რამდენიმე სია. საკონტროლო ქვეგანყოფილება არ არის დაკავშირებული არც ერთ საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან, რომელიც საგრძნობ დახმარებას გაუწევდა მას სასურსათო წიგნების არასწორად მიღების შემთხვევების გამოაშკარავების საქმეში.

მაღაზიები და საწყობები წესიერად არ გზავნიან ცნობებს მიღებულ საქონლის რაოდენობის შესახებ და სააღრიცხვო ნაწილი სწორად არ აწარმოებს დარჩენილი საქონლის აღრიცხვას. ზუსტად არ არის განსაზღვრული დეფიციტური საქონლის განყოფილების ფუნქციები. დიდ არევ-დარევას და გაუგებრობას აქვს ადგილი ორდერების გაცემის დროს. არ სწარმოებს გაცემულ ორდერების აღრიცხვა და ამიტომ სავსებით შესაძლებელია ბოროტმოქმედება.

სწარმოებდა და სწარმოებს თუ არა სწორად სასურსათო წიგნაკების გაცემა? 1-ლ იანვრამდე თბილისში გაცემულია წიგნაკები 350 ათას სულზე. ქალაქის აღმასკომის სტატისტიკური ქვეგანყოფილების ცნობებით, თბილისის მთელი მოსახლეობა შესდგება 336 ათას სულისაგან. ამათგან საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებულთა და მათი ოჯახის წევრთა რიცხვი უდრის — 14.500. ამრიგად, თბილისში 28.500 წიგნაკით ნაკლები უნდა გაცემულიყო, ყოველდღიურად დიდი რაოდენობით იცემა დროებითი ტალონები პურზე, შაქარზე და სხვ., მაგრამ უსისტემოდ. შრომის დისციპლინა დეფიციტური საქონლის განყოფილებაში მეტად სუსტია. მუშათა რიცხვი სრულიად არ კმარა.

ყველა ეს ფაქტები მოწმობენ იმას, რომ საჭიროა დეფიციტური საქონლის განყოფილების მუშაობის დაუყონებლივ გარდაქმნა. ასეთი უმსგავსო მუშაობა კოოპერაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექტორში დაუშვებელია.

ქ.

რა ხდება ადგილებზე

საკოლმეურნეო მშენებლობა იზრდება

ახალსენაკი (საქ. კორ.) ახალსენაკის რაიონის კოლმეურნეობებს ყოველდღიურად ახალი წევრები ემატებიან. ამ მოკლე დროის განმავლობაში კოლმეურნეობებში მიღებული იქნა 273 ღარიბი და საშუალო გლეხი.

სოფ. შუახორში დაარსდა ახალი სასოფლო-სამეურნეო არტელი, რომელსაც ეწოდა „ოქტომბრის მონაპოვარი". ამ არტელმა უკვე შეადგინა წლიური სამუშაო საწ. გეგმა, აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გ. უჩანეიშვილი.

—.—

კოლმეურნეობათა სარაიონო ყრილობა

ზესტაფონი, 26 თებერვალი. 24 თებერვალს ზესტაფონში გაიხსნა კოლმეურნეობათა სარაიონო ყრილობა. ყრილობა შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. ვ. ბერიძემ.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია შემდეგი ამხანაგები: **სტალინი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, კალინინი, ვოროშილოვი, ანდრეევი, ქართველიშვილი, ორახელაშვილი, მახარაძე, მამულია, სუხიშვილი და გაიოზ დევდარიანი.**

ყრილობას ესწრება 167 დელეგატი, მათში 11 ინდივიდუალური მეურნეა.

შ. მგელაძე.

—.—

00 მანეთი დირიჟაბლ „კოლმეურნე"-ს ასაგებად

ხობი, 26 თებერვალი. ხობის რაიონის კოლმეურნეობათა მეორე ყრილობის დელეგატები დიდის აღფრთოვანებით შეხვდნენ საკ. მთავრობის მომართვას დირიჟაბლ „კოლმეურნე"-ს აგების შესახებ.

ყრილობის დელეგატებმა სამასი მანეთის ნაცვლად, სოციალისტური შეჯიბრების გაშლით, შეაგროვეს დირიჟაბლ „კოლმეურნე"-ს ასაგებად 500 მანეთი. თანხების შეგროვება გრძელდება.

ყრილობის პრეზიდიუმი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტში 2 მარტს, დილის 10 საათზე შესდგება თათბირი მოსკოვში გაზ. „პრავდა"-ს რედაქციასთან მუშკორთა მოძრაობის შესახებ შემდგარ თათბირის დადგენილებათა რეალიზაციის შესახებ, რედაქტორების, სექტორების გამგეთა, ყველა გაზეთების ხელმძღვანელ შემადგენლობის, სტალინის სახელობის შემკეთებელი ქარხნის, „26"-ის სახელობის ქარხნის, თამბაქოს და მაუდის ფაბრიკების კედლის გაზეთების რედაქტორების დასწრება სავალდებულოა, თათბირი შესდგება საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში.

—:—

საქ. კომკავშირის ქალაქის რაიკომში დღეს, საღამოს 4 საათზე შესდგება პროპაგანდისტების თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ პარტკოლექტივების ყველა ხელმძღვანელები და შემდეგი ამხანაგები: ახობაძე, მგალობლიშვილი, გიგაშვილი, მიშველიძე, კვირიკაძე (ფინ.-კოოპ. ინსტიტუტი), მეუნარგია, ეპანოიძე, გეგენავა (პედ. ინსტიტუტი), ლალიძე, გელავა (ა.-კ. კომუნივერსიტეტი), ჯიბლაძე (მუშკოოპი), ამიროვი (ცენტრ. პარტ-სკოლა), როპაქიძე (მუშფაკი), თვარელიშვილი (ცეკავშირი), ვაჩნაძე, ჩალბანდიშვილი (თბილისის აღმასკომი), ალხაზიშვილი (სას.-სამ. ინსტიტუტი), და მემალიშვილი (მედიკური ინსტიტუტი).

— **საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კადრების განყოფილებაში ამხ. ავეტისოვთან (ოთახი № 51) დღეს დილის 11 საათზე უნდა გამოცხადდნენ ქვემოდ დასახელებული შემდეგი ამხანაგები:** ვ. მექვაბიშვილი, ნ. გიორგობიანი, სოლდათოვი, ლუკა ჭელიძე, დავიდოვი, ანდრო თოდუა, აკაკი ბერიძე, შალვა ქუთათელაძე, სიმონ ზვანიაური, ირაკლი დავითაშვილი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, ილია ცაგარეიშვილი, გიორგი მირზოიანი, მიხეილ დარჩია, გაიკ ცატუროვი, ეკატერინე პეტროვა, დავით ჩხეიძე, აკაკი ჩოგინიძე, ლეო ოჰანეზოვი, ვლადიმერ მაჭარაძე, ილია ბაქრაძე, ქრისტეფორე ენუქიძე, მიხეილ მანუკოვი, მიხეილ აბრამოვი, ალექსანდრე ხახანაშვილი, პეტრე ზერეკიძე, სინა კოზაევა, მალხაზ ყაჯირიშვილი, აბრამ ვართანოვი, გიორგი ვოლოტკო, ოდიშარია, გიორგი კიკვაძე, დიმიტრი ლეჟავა, სერგო კორძაძე, ნიკოლოზ ბოკუჩავა, ჯემალ ომაროვი, ბესარიონ გვარამია, ანდრო ხარაიძე, კლიმენტი ცომაია, შალვა დოწონაძე, ანდრო მჭედლიძე, ილია ლომიძე, გიორგი უმიკაშვილი, მ. ჯორჯიკია, ს. კიკაჩეიშვილი, გიორგი თუხაშვილი, ვლადიმერ კვანტალიანი, ვიტალი ლეჟავა, ივანე მკრტჩიანი, ლუკა ორაგველიძე, კარაპეტ ქოჩორელი, მიხეილ სარიშვილი, არისტო ვადაჭკორია, ალექსანდრე აფაქიძე, კონსტანტინე ჩხეტია, ვლადიმერ ელიავა, ყარამან სირაძე, ურუმბეგაშვილი, კონსტანტინე კაპანაძე, აკაკი ტუკვია, ალექსი აივაზოვი, რაფიკ გალუსტოვი, კურასპედიანი, კეშელავა, ჩერქეზია, მიხეილ ტკაჩევი, ი. თვარიაშვილი, ბელოვი, ს. რატიანი, ა. თოფურია, ვლადიმერ პავლენკო, ბორის ჩისტიაკოვი, ვასილ ფირცხალავა, სარდიონ აბუთიძე, იასონ ბართაია, გრიგოლ ერემინი, პარმენ ბოკერია, დავით ზიფერტი, ნატაშა ჯიბუტი, ივანე სამუროვი, კირილე ხოშტარია, აკაკი შარაშიძე, მილოსი ჩხიკვიშვილი, გიორგი ბუხტური, ვლადიმერ ბოკერია, ეპიფანე დუდუჩავა, პეტრე ჩომახიძე გიორგი სიხარულიძე, სერგო სუქიაშვილი, გერასიმე აოქლეთია, ასტონ ანთიძე, ალექსანდრე დვალიშვილი, აბგარ დავრიშიანი, ვასილ ალავერდოვი, სერგო ვახტანგაძე, ნიკოლოზ მჭედლიშვილი, რუბენ მირზოიანი, სედრაკ მანუკიანცი, ალი კასუმ კადრიბაშევი, სარქის ბეჟანოვი, რუბენ ვარიკიანი, კონსტანტინე მნაცაკანოვი, სარა მდივნიშვილი, სტეფანე ბაბაიანი, კალენიკე მახარაძე, იოსებ მეხრიშვილი, კონსტანტინე ჩაბიევი, ალექსანდრე ერისთაშვილი, დ. ჰყონია, ქობულაშვილი (უმ. სამ. საბჭო), ახვერდოვი („სოიუზტრანსი"), ნიკოლოზ ქუთათელაძე.

— **საქ. კ. პ. (ბ) ცეკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს, გამოცხადდნენ ცეკაში, ამხ. გურჯიშვილთან (ოთახი № 21) ორ მარტს, ნაშუადღევის ორ საათზე.** სოსიაძე (გამოკვება), როპაქიძე (გამოკვება), სახურია (მეტყევეთა კავშირი), ახვერდოვი (მტვირთავთა კავშირი), ხეთაგური (მელითონეთა კავშირი), ისაკოვა (მედსანშრომის კავშირი), კობახიძე (მიწა-ტყის კავშირი), ქართველიშვილი (მკერავთა კავშირი), კილაძე (მიწა-ტყის კავშირი), ჩაჩავა (მუშკოოპი), ფოცხიშვილი („წერა-კითხვა"), ნადირაძე (საქ. სახკომსაბჭო), ჩანუაშვილი (ხელოვნების მუშაკთა კავშირი), შიუკაშვილი (ქალთა კომისია), დავლიშანიძე (საფეიქრო ვაჭრობა), შარაშიძე (სარეწაო კავშირი), ბოკერია (ცეკავშირი), ალანია (ხეზე-მომუშავეთა კავშირი), გუბათაშვილი (განათლების მუშაკთა კავშირი).

— **საქ. კ. პ. (ბ) ცეკას აგიტმასგანყოფილება წინადადებას აძლევს ამხ.** მოწონელიძეს, ალიაშვილს და ებრალიძეს გამოცხადდნენ ცეკაში (ოთახი № 46) დღეს, პირველ მარტს შუადღის 12 საათზე.

[illegible]

— **ამიერ-კავკასიის რკინის გზის საინჟინერო ინსტიტუტის** მე-23 აუდიტორიაში დღეს საღამოს 9 საათზე შესდგება პარტკოლექტივის და კომკავშირის საერთო კრება.

— **დღეს საღამოს 7 საათზე განათლების** მუშაკთა სახლში შესდგება ქალაქის რაიონის მასწავლებელთა კომუჯრედის ღია კრება.

— **დღეს დილის 10 საათზე ფინ. კოოპ. ინსტიტუტში შესდგება პარტკოლექტივის ბიუროს სხდომა** ფაკულტეტების კომუჯრედების ბიუროებთან და დეკანატთან ერთად. სხდომას უნდა დაესწრონ აგრეთვე ამხ. ურუშაძე, არევაძე და კვანტალიანი.

— **დღეს, საღამოს 7 საათზე ფინ. კოოპ. ინსტიტუტში შესდგება პარტიის წევრების, კომკავშირელების და იმ უპარტიო სტუდენტების** საერთო კრება, რომლებიც დაბრუნდნენ საწარმოო პრაქტიკიდან; უნდა დაესწრონ აგრეთვე საწარმოო პრაქტიკაზე მიმაგრებული ლექტორები.

სახელმწ. ოპერა

დღეს, 1 მარტს	ორშაბათს, 2 მარტს	სამშაბათს, 3 მარტს
ფატმა მუხტაროვას მონაწ. აბონემენტის გარეშე **კარმენი** 16 თებერვ. აღებული ბილეთები ძალაშია 1 მარტ.	მე-13 აბონ. მე-4 წარმოდგ. ს. ი. მიგაის მონაწ. **სევილიელი დალაქი**	მე-7 აბონ. მე-10 წარმოდგ. ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით **აიდა**

წარმოდგენის დასაწყისი საღამოს ზუსტ 8 საათზე. ბ. 490

[illegible] მარჯანიშვილის [illegible]

1 მარტს	3 მარტს
აბონემენტის გარეშე **ხატიჯე**	მე-8 აბონ. მე-5 წარმოდ. **არსენას ლექსი**

წარმოდგენის დღეს 2 საათზე ვინც არ შემოიტანს ცნობას შემოსავლის წარმოდგენას ვერ დაუწყება და მათი ადგილები გაიყიდება სალაროში. ბ. 497

საქართველოს სახკინმრეწვის კინო-თეატრები

აპოლო 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.

სპარტაკი დღის სეანსები I 12 ს., II 1—30 ს., III 3 ს.

სპარტაკი საღამოს სეანსები 1 სეანსი იწყება 6 ს., II—7-30, III—9, IV—10-30.

საზამთრო დარბაზი 1 სეან. იწყება 6 ს. II—7-30, III—9, IV—10-30.

საქართველოს სახკინმრეწვის ახალი ფილმი

მირაჟი

რეჟისორი შ. ხუსკივაძე

ოპერატორი შ. ალდგომელაშვილი

კინო აპოლოში პოლარ დამატებით „სამრეწვ. პარტიის" პროცესი

მხატვრული სურათი **არსენ ჯორჯიაშვილი** პროგრამის დამატებით—ადიღეა.

რ. ლიუქს. სახ. კინო (ყ. ძიძიონი) 1-ლი სეანსის დას. 6 ს. 30 წ. — მხატვრული სურათი **კატორღა** რეჟისორი - რაიზმანი

კინო პალასი 1-ლი სეანსის დასაწ. 7—30 — გმირული ფილმი **მიცვალებულთა შეთქმულება** რეჟისორი ტიმოშენკო

სახელმწ. ცირკი

დღეს **საიუბილეო ზეიმი** დახვალ

საქართველოში საბჭ. ხელისუფლ. დამყარების 10 წ. თავის გამო

გრანდიოზული დადგმა

I განყ ორატორია—პანტომიმა პოლიტ. მწერლის გ. ბუხნიკაშვილის სცენარის მიხედვით. დადგმა რუსთაველის თეატრის რეჟისორის [illegible] ახვლედიანის.

II და III განყ აგრეთვე ცირკის ძლიერი პროგრამა და ერნე ტ შუ.

სალარო ღია 1 ნახ. საათიდან დასაწყისი სრულ 7 ნახ. საათზე.

ხვალ 1 მარტს პირველი გრანდიოზული დილის წარმოდგენა.

მოსწავლეთა შეღავათიანი ლომბებით დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე. ბ. 486

ორშაბათიდან, 1931 წლის 2 მარტიდან

კინო პალასში

ახალი გერმანული ფილმი

PORI

სურათში გადაღებულია **ნადირობა** ლომებზე, ვეფხვებზე, სპილოებზე და სხვ.

პირველი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წუთზე.

რ. ლიუქსემბურგის სახელობის კინოში

ბელორუსიის სახკინმრეწვის ახალი მხატვრული ფილმი

ნამდვილი სიცოცხლე

რეჟისორები: ა. გავრონსკი ო. ჩლიცკაია

პირველი სეანსის დასაწყისი 6 ს. 30 წუთზე. ბ. 487

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად

2 მარტს, საღ. 6 საათზე, იუსტიციის სახალხო კომისარიატის სადგომში (მე-3 სართული, ტრიბუნალის ქ. № 3) დანიშნულია იმ კომისიის სხდომა, რომელმაც უნდა გამოაშკარაოს ყოფ. წითელგვარდიელები—პარტიზანები.

ყველა ყოფ. წითელგვარდიელების პარტიზანების დასწრება სავალდებულოა.

მოწვეული არიან ის პირები, რომლებმაც დაახასიათეს ყოფ. წითელგვარდიელები და პარტიზანები, აგრეთვე წითელ გვარდიელთა და პარტიზანთა რაზმების ყოფ. ხელმძღვანელები.

იმ პირთა სია, რომლებიც უნდა შემოწმდეს კომისიამ, გამოკრულია ყოფ. წითელგვარდიელების და პარტიზანების კომიტეტში რომელსაც გადაეცა აღმასკომში არსებული ყველა ანკეტები.

თავმჯდომარე: ს. ხმალაძე.

პ/გ. მდივანი: ა. ბერეჟიანი.

ბ. 491

ქუთ. სარეწაო კოოპერატიული არტელი „ძალა-ერთობაშია-ს"

ბალანსი

ანგარიშების დასახელება	1929 წ 10 XII-დან აქტივი	1929 წ 10 XII-დან პასივი	წლიური ბრუნვ. დებეტი	წლიური ბრუნვ. კრედიტი	1930 წლის 1 X აქტივი	1930 წლის 1 X პასივი
1. სალარო			184703-57	183410-95	1292-62	
2. პაი საკოოპ. კავშირში			1643-8		1643-83	
3. მხა ხაზარში	952-94		97945-05	86648-74	17849-15	
4. მასალები გზაში			2528-33	1885-73	652-60	
5. მასალები წარმოებისათვის	158		37843-13	2485-71	13 48-42	
6. საქონელი სავაჭროებში			98 6-94	9836-94		
7. წარმოება საკ. მასალებისაგან			16544-32	15200-53	3393-79	
8. ქონება.						
ა) შენობები და ნაგებობანი			200		200	
ბ) მანქანები და მოწყობილ.	3117-50		13 97-55	257-44	6857-61	
გ) დანარჩენი ქონება			1339-90		1339-90	
9. წევრები.						
ა) წილფასის ანგარიშსწორება			98836-37	101061-22		2224-85
ბ) სხვა ანგარიშ. წევრებთან		4228-44	12443-46	9508-8		1193-66
10. საოფწ. კავშ. (ანგარიშ. სწორ.)			39496-4	37678-71	1817-74	
სხვა და სხვა პირნი						
ა) მყიდველნი			17057-4	27571-6		0514-23
ბ) მუშა მოსამსახურენი			11578-83	12401-97		823 14
გ) ანგარიშვალდებული პირნი			11292 94	1056 -69	729-25	
დ) დანარჩენი ანგ. სხ. და სხ. პ. დაწ.			22998-93	26085-9		3087
თანხები.						
11. კაპიტალი საპაიო			202-87	16379-68		16106-81
12. საწევრო			621	62		
13. ფონდები (საშუალებანი)			3565-25	1328-69	2236 56	
14. მოგებანი			4542-84	4543-71		87
15. შემოსავალი			9445-69	9445-69		
16. გაყიდვა			143483-84	143483-84		
17. ხარჯები საწარმოო			11673-97	11673-97		
18. ხარჯები სავაჭრო			12116-18	12116-18		
19. %% [illegible] (ცვდაკლება)			324-15	224-15		
20. მოგება ზარალი			14746-50	46957-51		32211-01
ბალანსი	4228-44	4228-44	932919-32	932919-32	66101-57	66101-57

გამგეობის თავმჯდომარე—ა. ჟორჟოლიანი.

ბუხჰალტერი—შ. გელოვანი.

ა.-კავკ. კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელ-საკურსო სექტორი

დაიწყო დამატებითი მიღება

1. კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელი საკურსო სექტორი წარმოადგენს უმაღლეს პარტიულ სკოლას დაუსწრებელი სწავლების სისტემაში და ამოცანად ისახავს—მოამზადოს და გადაამზადოს კვალიფიციური პარტიული კადრები დამოუკიდებელი საპასუხისმგებლო მუშაობისათვის პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ-სამეურნეო მშენებლობის დარგში რაიონის მასშტაბით.

2. ისინი, ვინც კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელ-საკურსო სექტორს დაამთავრებენ, ყველამ იგივე უთანასწორდებიან იმათ, რომლებმაც ძირითადი კომუნისტური უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრეს.

3. სრული სასწავლო კურსი კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელ-საკურსო სექტორში სამ წელიწადია.

მუშაობა სწარმოებს რუსულ, ქართულ, სომხურ და თურქულ ენებზე.

ის ამხანაგები, რომელთაც საერთო განათლების საგნების შესწავლა სჭირდებათ, მიღებული იქნებიან მოსამზადებელ განყოფილებაში 6 თვის სასწავლო ვადით.

4. სრული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლის გარდა შეიძლება ცალკე დისციპლინების და ციკლების შესწავლაც.

5. დაუსწრებელ საკურსო სექტორში შეიძლება მიღებულ იქნან:

ა) საქ. კ.პ. (ბ) და კომკავშირის წევრები, რომლებიც იმყოფებიან ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კოოპერატიულ-სამეურნეო სამუშაოზე რაიონის მასშტაბით, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო პარტიული კომიტეტების ბიუროების წევრები და სხვილ საწარმოო საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების უჯრედების მდივნები

ბ) საქ. კ.პ. (ბ) და კომკავშირის წევრები, რომლებიც ეწევიან საპროპაგანდო მუშაობას პარტიული განათლების ქსელში და საზოგადო დისციპლინის მასწავლებლები საბჭოთა სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

გ) საქ. კ.პ. (ბ) წევრები, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული „ა" და „ბ" პუნქტებში და რომლებსაც აქვთ არა ნაკლებ 2 წლის პარტსტაჟი და საზოგადოებრივ პოლიტიკური მომზადება ძირითადი ან დაუსწრებელი საშუალო პარტსკოლის ფარგლებში.

6. კომუნისტური უნივერსიტეტის დაუსწრებელ საკურსო სექტორში შესვლის მსურველებმა ა. კ. კომუნივერსიტეტის სამანდატო კომისიას არა უგვიანეს 10 მარტისა უნდა წარუდგინონ:

ა) საქ. კ.პ. (ბ) რაიკომის მიწერილობა;

ბ) პარტიული დახასიათება და ცნობები უკანასკნელი პარტწმენდის შესახებ;

გ) შევსებული და შემოწმებული ანკეტა;

დ) მოკლე ავტობიოგრაფია.

საქ. კ.პ. (ბ) ა. კ. საოლქო კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე იზმაილოვი.

ა.-კ. კომუნივერსიტეტის დაუსწრებელი სექტორის გამგე კრავცოვა.

ბ. 493

საჭიროა

ბუხჰალტრები და მოანგარიშეები

როგორც ქართული, ისე რუსული ენის მცოდნეები, რაიონებში სამუშაოდ გასაგზავნად.

მსურველები გამოცხადდნენ პირობების გასაგებად საქართველოს მეაბრეშუმეობის კავშირში ამხ. გრ. ხუნდაძესთან (ლუნაჩარსკის ქ. № 8, ყოფ. ევანგულოვის).

ბ. 493

ვასწავლი

მათემატიკას

ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია, არითმეტიკას

და ვამზადებ მოწაფეებს

უმაღლეს სასწავლებლისათვის, სამხედრო აკადემიაში. ყველა სხვადასხვა დარგზე პროფ. № 164 მუშფაკისათვის, მუშ. უნივერ., საბუხჰალტ. კურსებზე, და მეექვსე, მეშვიდე ჯგუფში შესასვლელად. ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტ მოწაფეებსაც.

მისამართი: პლეხანოვის № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხე № 5. ნახვა 1—7 საათამდე. 3—2 1360

1-ლ მარტს, საღამოს 6 საათზე, სახ.-სამ. ინსტიტუტის კლუბში ვაკე შესდგება სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტის ახლად კურსდამთავრებულ აგრონომთა გამოშვების აღსანიშნავად

საზეიმო კრება

ვიწვევთ ყველა დაინტერესებულ სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენლებს დაესწრონ.

ბ. 498 სუბტროპ. კულტ. საკავშ. ინსტიტუტის დირექცია

საქ. მემინდვრეობის კავშირის კონტრაქტანტები: გიორგი ბაღრიაშვილი, გიორგი ნაცვლიშვილი და ვალერიან შავგულიძე, რომელთაც დაამთავრეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ვალდებულნი არიან 5 მარტამდე გამოცხადდნენ მემინდვრკავშირის საორგანიზაციო განყოფილებაში.

ლუნაჩარსკის ქ. № 8, მესამე სართული.

ბ. 499 მემინდვრკავშირი.

ექიმი

ი. ი. ბერიშვილი

ვენერიული, საშარდე სასქესო ორგანოების, სიფილისისა და კანის ავადმყოფობა. დილით 9—1 საათ საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპა" (ყ. „ნოე"-ს) პირდაპირ. როდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8 25—1

მთავარ ხელოვნების ნებართვით მოქ. ალექსიძე. მიერ გაიხანა

პროფ. მ. მგალობლიშვილის გარდაცვალების გამო

საქართველოს ექიმთა საზოგადოებაში 1 მარტისათვის დანიშნული მორიგი სხდომა არ შესდგება.

სხდომის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული გაზეთებში, უწყებები აღარ დაიგზავნება.

1509 საზოგადოების მთ. მდივანი ი. ასლანიშვილი.

ამით ვაცხადებ, რომ ომის ბარათები, როგორც მთლიანი (ПОЛНЫЙ) ისე სასამართლო[illegible], რომელიც გაცემულია ხატარიოსთან 1427 1928/1929 წ. ჩემს მიერ [illegible] იაკოვის სახელობაზე გაბათილებულია. თუ ვინმეს რაიმე საბუთები აქვთ [illegible] ჩემ ან ამ რწმუნების ბათებით ვთხოვ წარმომადგინონ ორი დღის განმავლობაში, რომლის შემდეგ არავითარ პასუხს არ ვაგებ.

1502 მარიამ გიორგის ასული აკოფოვი.

გაუბედურებულნი: მეუღლე მა[illegible], შვილები: ლინა და გივი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას

მიშა მგალობლიშვილის

უეცრად გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. 1494

ღრმად დამწუხრებული ძმები სერგო და საშა, რძლები: დორია და ოლღა, ძმისშვილები: ლოლი, მერი, ოთარი, გოგული, თამარი, ლიახა და ელი იუწყებიან მათთვის საყვარელი ძმის და ბიძის

მიხეილ ფილიპეს-ძე მგალობლიშვილის

უდროოდ და მოულოდნელ გარდაცვალებას. 1494

ამხ. სერ. ორჯონიკიძის სახელობის საქ. წითელი ჯვრის საავადმყოფო და პოლიკლინიკა ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 27 თებერვალს მოულოდნელად გარდაიცვალა საავად. სამ.-გინეკოლოგიური განყოფილების გამგე

პროფ. მიხეილ ფილიპეს ძე მგალობლიშვილი

თბ. სახმედინსტიტუტის ჰოსპიტალური სამეან-გინეკოლოგიური კლინიკა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე კლინიკის ყოფილი უფროსი ასისტენტის ძვირფასი ადამიანის პროფ.

მიხეილ მგალობელის

უდროოდ დაკარგვას. 1507

საქართველოს ექიმთა საზოგადოება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საზოგადოების აქტიური და ენერგიული მუშაკი, მისი გამგეობის წევრი

პროფ. მიხეილ მგალობელი

1508

სამედიცინო ინსტიტუტის ადგილკომი აუწყებს საზოგადოებას, რომ თავის საექიმო მოვალეობის აღსრულების დროს უეცრად გარდაიცვალა ადგილკომის აქტიური წევრი და ბრიგადირი პროფესორი

მიხეილ მგალობლიშვილი

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1488

სამედიცინო ინსტიტუტის თვალის სნეულებათა კლინიკა და ჯ.ს.კ. თვალის სნეულებათა ინსტიტუტი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას

პროფ. მიხეილ ფილიპეს-ძე მგალობლიშვილის

მუშაობის დროს, პარასკევს 27 თებერვალს, უეცრად გარდაცვალებას. 1510

უახლოესი მეგობრები პოლია კალანდაძე და ლუბა ახობაძე დასტირიან იშვიათ ადამიანს, ძვირფას და დაუვიწყარ ამხანაგს

თამარა რაფიელის ას. ჩიხლაძის

უდროოდ დაკარგვას. 1478

მე-4 საფაბრიკო საქარხნო შვიდწლედის და მასთან არსებულ სალიკვიდაციო ჯგუფების თანამშრომლები მწუხარებას გამოთქვამენ ამავე სკოლის გამგის, თავადგილის ვლადიმერ შარაქაძის შვილის

პატარა ნოდარიკოს

გარდაცვალების გამო. 147

დამწუხრებული მშობლები: ბესარიონ და სოფიო, დაი თამარა ჩიჩუები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს. მათი ერთად ერთი იმედის, მუდამ ჟამს დაუვიწყარი

კოლია ბესარიონის-ძე ჩიჩუას

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება ფოთში, სამშაბათს 3 მარტს, 4 საათზე. ბ. 4 9

გულდათუთქული მამიდა ტასო, მამიდაშვილები: ბიჭიკო და მიშა ჩხეტიები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, საყვარელ

ნიკოლოზ (კოლია) ბესარიონის-ძე ჩიჩუას

ტრაგიკულად გარდაცვალებას დასაფლავება სამშაბათს, 3 მარტს 4 საათზე, ფოთში. ბ. 494

სახელმწიფო ბანკის ფოთის განყოფილების ადმინისტრაცია, ადგილკომი და თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას მათი საყვარელი ამხანაგის, ძველი თანამშრომლის და პატიოსან მუშაკის

ნიკოლოზ (კოლია) ბესარიონის-ძე ჩიჩუას

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა სამშაბათს, 3 მარტს 4 საათზე ფოთში. ბ. 494

გაუბედურებული მშობლები: დედა მარო, მამა სერაპიონ, დაი ნარო, ძმა კოლია, ბაბუა იესე იუწყებიან მათი ძვირფასი

ვალერიან სერაპიონის-ძე კუკულავას

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება 3 მარტს, სოფ. ზემო აკეთში (გურია). 1421

გულდაწყვეტილი მეზობლები: ევტიხი, დავითი, ბენია, ვალიკო, ალექსი, სონა, ევერიან და ემელიან ქახთარიები მთელი ოჯახით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი მეზობელი და ამხანაგი

ვალერიან სერაპიონის-ძე კუკულავა

დაკრძალვა 3 მარტს, ს. ზემო აკეთში. 1480

ღრმად დამწუხრებულნი ნიკო და პუპი ჭანთარია შვილებით, მეუღლე ქმრით და შვილებით, ბაბიკო ცუცუნავა სერაპიონ ცოლით ლავრენტი, ეფანე და ხოე იუწყებიან ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ

ვალერიან სერაპიონის-ძე კუკულავას

გარდაცვალებას. 1477

მირიან გრიგოლის ძე ჯაში ოჯახობით გულითადი მწუხარებით იუწყებიან, რომ 27 თებერვალს, სოფ. ახალშენში, უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი და

ელენა გრიგოლის ას. ჩიგოგიძისა

დაკრძალვა, სოფ. ახალშენში (ყ. ოზურგეთის მაზრა) სამშაბათს 3 მარტს. 15.6

გაუბედურებული ცოლი ნინა. შვილები ნადია, ვერა, ლუბა, ცოლისდები იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

ამბაკო გრიგოლის-ძე კუგლაშვილი

გამოსვენება დღეს, რკინის გზ. საავადმყოფოდან. ბინაზე ალაჯიშის № 5, ლენინის უბანი. დასაფლავება 3 მარტს, კუკიის სასაფლაოზე 4 საათზე. 486

ბებია მაგდა, ბიძები: არჩილ, კოლია, სტეფანე, ბიცოლები: მაგდალენა, თედოსია, ეკატერინე, ბიძაშვილები: სპირიდონ, დათიკო ხმალაძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს

გრიშა ივანეს-ძე ხმალაძის

უდროოდ დაკარგვას. 1491

ნადია ნინიანიძე თამარა ზუბაშვილი, ელენე ჩიქვაძე, შუშანა ნინიძე, მიტო გედევანიშვილი, გიორგი ხურციძე და ტიმოთე აფრიდონიძე დასტირიან ძვირფას [illegible] იშვიათ ადამიანის

გრიშა ხმალაძის

დაკარგვას. 1505

გულდათუთქული მშობლები: ტერეზა ცინცაძე ქინქლაძისა და ექიმი ხოე ქინქლაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პატარა ცისანა

დასაფლავება კვირას 1-ლ მარტს ქ. ოზურგეთში. 1479

ბებია მინა, ბიძები: აკაკი, ივ[illegible] და ლადო ცინცაძეები ოჯახობით, დეიდები: ელენე, მარუსა და გოგოლა ქმარშვილებით და ბიცოლა ანიჩკა შვილებით დასტირიან ტერეზა და ხოე ქინქლაძეების პატარა

ცისანას

დაკარგვას. 1479

გულდათუთქული მშობლები: შალიკო, თამარა, დები: მერი, ნათელა. [illegible]ერია ბურდგა, ბაბუა სამსონ ალანიები, ბებია ანასტა მაქაცარია, მამიდაშვილები: ლილი ლოლუა, მამიდა მარო, ბიძია ალექსი ჯანჯღავები იუწყებიან დაუვიწყარი პატარა

ჟორიკო შალიკოს-ძე ალანიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 მარტს, ქ. ახალ სენაკში, ძმათა სასაფლაოზე. 1484

გულდათუთქული მეგობრები: ანთიმოზ, ფაცია, ივდითი, ბუხუტი და დონოდა თეკზაძეები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის დაუვიწყარი

ჟორა შალიკოს-ძე ალანიას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 3 მარტს. ქ. ახალსენაკში 148

ღრმად დამწუხრებული დედა ალექსანდრა შვილებით: სიმონი, ამირანი, ელისო და თამარი, ციცაშვილი დავითი დედით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი საყვარელი

მარო დიმიტრის ას. ძამაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 4 ნახ. საათზე. გამოსვენება ბინიდან, (რიყე) ტიკის შესახ. № 4, ავლაბრის სასაფლ. ორხევის გზის გადაღმა. 14 8

უსეინაშვილი შალვა, ბახიერაშვილი გიორგი, ოსიპაშვილი შალვა, მახარაძე მიხეილ ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე

მარო ძამაშვილის

უდროოდ დაკარგვის გამო. 1490

თავზარდაცემული ქმარი ერასტი, შვილები: თეოფილე, პართენა, დათიკო, შალიკო, ალექსანდრა, ელემპი, ანიჩკა, ლიზა, ასმათი, სიძეები: ა. ხემსიწვერიძე, გალაქტიონ და ირაკლი ფარჯანაძეები აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს, რომ 8 თებერვალს სოფ. ვიკარწმინდაში (რაჭა) გარდაიცვალა დაუვიწყარი დედა

კესარია სტაჟაძე-სოხაძისა

1501

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ნადია, მამა მიხეილ მეუღლით თეოთით, დები: ლოლა და ძაღუსა, ძმა ავთანდილი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

გრიშა მიხეილის-ძე კაპიტაძის

უდროოდ გარდაცვალებას სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 6 საათზე. კალინინის ქუჩა № 15. გამოსვენება სამშაბათს, 3 მარტს, 5 საათზე 1485

დამწუხრებული სიმამრი ალმასხან მეუღლით ნატალი და შვილებით: ვალიკო, ბესიკო, კოლია და აგრაფინა მეუღლით. რძლები: ნადია და ვარვარა, ცოლისძმის შვილები ირა, ნაზიმა და ლამუშა, ცოლის ბიძა ივანე შვილებით: ოლია, ნინა, ნატაშა, სიმონ და ივანე ბებიაშვილები იუწყებიან ძვირფას

გრიშა კაპიტაძის

უდროოდ დაკარგვას. 1485

ღრმად დამწუხრებულნი: ბიძა ნესტორი, რძალი ნატალია [illegible] ასული. შვილიშვილები: ციცო, ნინა, თამარ, ვლადიმერი, დავითი და შოთა ჭანტურიები იუწყებიან, რომ 25 თებერვალს, მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

გიგო ანდრიას-ძე ჭანტურია

დაკრძალვა კვირას 1 მარტს, სოფ. კვათახეში, 4 საათზე. 1484

ღრმად დამწუხრებული კატო და დიმიტრი ფირცხალაიშვილები შვილებით: ცაცა და გოგი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს პირველის ბიძის და მეორეთათვის საყვარელი ბაბუას

ნესტორ აროშიძის

გარდაცვალებას. დასაფლავება სოფელ ქვიანში, სამშაბათს 3 მარტს, 3 საათზე. ბ. 4 6

ღრმად დამწუხრ. მეუღლე დესპინე, შვილები ვასო, არჩილ, შოთა. ივანე, პეტრიკო. რძლები ვერიჩკა, ელიკო, ნადია აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი

ნესტორ აროშიძე

დასაფლავება 3 მარტს. 3 საათზე სოფ. ქვიანში. ბ. 496

დამწუხრებული მშობლები: ხოლმაია და ლევანი, [illegible] გოგი, ნინა და თინა, ბებია ნატალია ჩაჩხიანები იუწყებიან, რომ კვირას, 1 მარტს, კუკიის სასაფლაოზე, 3 ნახ. საათ. დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

პატ. რეზიკო ჩაჩხიანის

ხსოვნის აღსანიშნავად. 1483

თავზარდაცემული მშობლები: დედა მართა, მამა ნიკიფორე, დები: კლარა, რაისა, ძმა ვალიკო კალანდარიშვილები აუწყებენ საზოგადოებას მათი საყვარელი

დავითის (შუტუ)

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 1 მარტს, სოფელ ლიხაურში. ბ. 49

მეუღლე შაქრო ჯიქიძე შვილებით: ეთერი და [illegible] ღრმა მადლობას უცხადებს ყველა მათ, ვინც პირადად დასწრებით, დეპეშის გამოგზავნით და გაზეთში გამოცხადებით გაიზიარეს მისი უსაზღვრო მწუხარება ძვირფასის

მარო საბას ასული კვირიკაძე-ჯიქიძის

გარდაცვალების გამო. 1 86

დამწუხრებულნი: ლადი მირცხულავა, ხეკუ ხარბედია, აკვ ენტი, ხარიტონ და ვალიკო ჩაჩიბაიები, შალიკო ეჯიბია, შალიკო სოსელია, მიშა ხუფერია, პანთეა გვათუა, ხუტა და პოკო [illegible], დიმიტრი ესებუა, არტემ ნადარეიშვილი, დათიკო ნიკოლაიშვილი, ბაგრატ არჩაია, სიმონ ჩილაჩავა იუწყებიან შალიკო ალანიას შვილის

ჟორიკოს

გარდაცვალებას. 1482

საქ. საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტის სტუდენტები: ვასო კალანდია, პლატონ აყობია, ხარიტონ ჯაჯანია, მელიტონ გაბუნია და აკაკი ჯომიდავა, მწუხარებით იუწყებიან უახლოეს ამხანაგის არტემის ძ. ის ლიის 7-წლედის გამგის, ს.კ.პ. (ბ) წევრის ამხ.

პორფილე ექვთიმეს-ძე მალანიას

უდროოდ გარდაცვალებას. ქ. ზუგდიდში. 1504

მარიამ ლუარსაბის ასული, ალექსანდრე და შაქრო, ელფრიდა და ვერა შაიშმელაშვილები, დეიდაშვილი დუსა მაისურაძისა იუწყებიან მათთვის დაუვიწყარ პირველის მეუღლის და მეორეთა ბიძის

ვასილ ზაქარიას-ძე შაიშმელაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა 27 თებერვალს სოფ. ანაგაში. 503

უსაზღვროდ დამწუხრებულნი დედ-მამა: სანდრო და ქეთო, ბებია თინა, ბაბუა ლატე, ბიძა გოგი, ბიცოლა ვასილისა და ბიძები თავიანთი ცოლშვილით, მამიდები: მარო და სოფიო იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პატარა

ნადიკო უმიკაშვილი

გამოსვენება დღეს, 4 საათზე, 19 თებერვლის ქუჩა, № 27 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 487

ღრმად დამწუხრებული შვილები: მარო, გრიშა, ნუცა და ანდრო ქუთათელაძეები, სიძე კოლია ნიჟარაძე იუწყებიან მათთვის საყვარელი დედის

ეკატერინე დავითის ასული მაჭავარიანი-ქუთათელაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ხონში დღეს, 1 მარტს, 4 ს. 1472

დამწუხრებული მშობლები: სონა და მიხეილი, ძმები სერგო და ირაკლი რამაზაშვილები და თამარი, სიძე ვახტანგი ყანჩაველები, იუწყებიან რომ 2 მარტს, 4 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

ნადია (ნადიკოს)

ხსოვნის აღსანიშნავად. 1511

გაუბედურებული მშობლები: ძიძუ და მიხა დანელიები [illegible] აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს მათი საყვარელი ბავშვის

თათო დანელიას

უდროოდ გარდაცვალებას სოფ. მარტვილში. დაკრძალვა იქნება 3 მარტს. 1495

ტირაჟი—71.000 საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904